პატიმარი

RED AID

INTERNATIONALE ROTE HILFE

რევოლიუციის

მებრძოლთა ლანძღვის

საერთაშორისო

დახმარება

1924

ლ.ქ.

ა 43.

კრთლუცკართშთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„რემედიას“

-ის სრულიად საქართველოს განყოფილების გამოცემა

№ 2.

1924 წ. ივლისი
ქ. თფილისი.

საქართველოს სახელმწიფო
თფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

მუშაობა უნდა გავაცხოველოთ

„დღეს-დღეობით ყველაზე დიდი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა,—ეს არის დახმარება იმ მუშებისა და გლეხების, რომელნიც კაპიტალისტურ ქვეყნების ციხე-კატორღებში მოექცენ, ან და მოექცევიან“.

ვ. ზინოვიევი.

თანამედროვე ხანას ახასიათებს კლასიური ბრძოლის უდიდესი გამწვავება. პირ-სისხლიანი შავი კაპიტალი ლამობს შეინარჩუნოს თავისი გაბატონებული მდგომარეობა. ის დღეს არას დაგიდევთ, მხოლოდ კი სიცოცხლის და არსებობის დღენი გაიგრძელოს. რა საშუალებებს მიმართავს კაპიტალი ყველა ამისათვის? ანგრევს და სპობს მუშათა ორგანიზაციებს, ამცირებს სამუშაო ხელფასს, ადიდებს სამუშაო დღეს, ერეკება მუშებს ფაბრიკა-ქარხნებიდან, მიმართავს მუდმივ ლოკაუტს და ასი-ათასობით ციხეში ყრის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილს. ერთი სიტყვით, დღეს მთელ ევროპაში გაბატონებულია შავი და თეთრი ტერორი, რომლის თავ-აშვებულებას, რომლის საშინელებას ასე სასტიკად განიცდის დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ ისტორიას არ ახსოვს მუშათა კლასის ასეთის საშინელი დევნა, ასეთი საშინელი შავი და თეთრი ტერორი, როგორც დღეს ეს ევროპაშია. თითქმის ყველა კაპიტალისტური ქვეყნების ციხე-კატორღები გავსებულია პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილით, და დღეს რამდენათ ეს ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ გრძელდება და მწვავდება, იმდენად ტანჯულ და გვემულთა რიცხვი მატულობს. დღეს თითქმის დღე არ გაივლის, რომ ნამდვილი გულწრფელისა და პირუთვნელი მუშების სისხლი არ დაიღვაროს ეგრედ წოდებულ „დემოკრატიულ“ რესპუბლიკების ქალაქებსა და ქუჩებში.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ამ ჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებში ციხეებში მომწყვდეულია 50.000 საუკეთესო რევოლიუციონერი, ეგრედ წოდებულნი, პოლიტიკური დამნაშავენი. რიცხვი დახოცილთა, დახრჩობილთა და დახვრეტილთა აუარებელია, მათი აღრიცხვა შეუძლებელია, ვინაიდან კაპიტალის აგენტები საიდუმლოთ, საზიზღარი საშუალებებით, მასების გაუგებლათ უსპობენ სიცოცხლეს ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს.

ციხეში მომწყვდეულთა და ბრძოლის ველზე დაცემულ ამხანაგების ოჯახის მდგომარეობა წარმოადგენს უსაშინელეს სურათს სიმშილობისას, სიცივისას და საერთოდ ადამიანის ღირსებისა და თავ-მოყვარეობის ფეხქვეშ გათელვისას. ვინ მოსთვლის რამდენი ბავშვი, საუკეთესო ახალგაზრდობა დღეს თახსირდება კაპიტალის საშინელი ზეგავლენით; ერთის მხრით ავადმყოფდება და ცივს და ნესტიან სარდაფებში, და პოლიციისა და ჟანდარმერიის მიერ დევნილი გარდახვეწილია უცხო ქვყნებში, სადაც მას მოელის არა ნაკლები ტანჯვა და ვაება, ვიდრე ეს მას მოელოდა თავის საკუთარ „სამშობლოში“

აშკარაა, რომ ეს სასტიკი ბრძოლა, პირველ ხანებში პროლეტარიატსა და კაპიტალს შორის, უკანასკნელის გამარჯვებით თავდება. მაგრამ ახალგაზრდა კლასმა—პროლეტარიატმა იცის, რომ დღეს თუ ხვალ ის გაიმარჯვებს და განწირული ისტორიის მიერ კაპიტალი ჩაეშვება ცივ სამარეში. დიდია მსხვერპლი დღეს პროლეტარიატის მიერ გაღებული, დიდია ის უბედურება, რომელიც მას დღეს თავზე ატყდება, მაგრამ ის გამარჯვება, რომელსაც პროლეტარიატი მოიპოვებს იქნება უკანასკნელი გამარჯვება, გამარჯვება უდიდესი და ულამაზესი.

რომ პროლეტარიატი გაიმარჯვებს, რომ ის მოსპობს კაპიტალის ბატონობას და დაამყარებს საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალიზმს და კომუნიზმს, ამის დამამტკიცებელი და უტყუარი ფაქტია პროლეტარიატის გამარჯვებაა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

პროლეტარიატს მუდმივ ახასიათებდა და ახასიათებს ერთსულოვნება, სოლიდარობა და ამიტომ არის, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის პროლეტარიატმა არ უნდა დაივიწყოს და არც დაივიწყებს არასოდეს, რომ მის მეზობლათ კაპიტალის სამფლობელოში მისი სისხლი-სისხლთაგანი და ხორც-ხორცთაგანი (პროლეტარიატი) ეწევა უთანასწორო ბრძოლას შავი კაპიტალის წინააღმდეგ, ვინაიდან დღეს საერთაშორისო ძალთა-განწყობილება (პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის) ისეთია, რომ საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატს ნებას არ აძლევს იარაღით ხელში ჩაერიოს ამ გადამწყვეტ ბრძოლაში. სამაგიეროდ არის მეორე გზა, გზა დახმარებისა იმ ამხანაგებისადმი, რომელნიც მომწყვდეულნი არიან კატორღა-ციხეებში, რომელთაც დარჩათ ცოლ-შვილი უპატრონოთ. დღეს ჩვენში ყველამ კარგათ იცის, რომ ამ დიდს საქმეს ემსახურება საზოგადოება „რემედიას“-ი. დღეს ამ საზოგადოებას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში ორ მილიონზე მეტი წევრი ყავს და ეს ორი მილიონი პროლეტარი ზრუნავს და ფიქრობს წამებულ რევოლიუციონერებზე. ჩვენშიდაც არსებობს საზოგადოება „რემედიას“-ი, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, სამწუხაროდ, რომ ეს საზოგადოება ისეთი ენერგიითა და გაცხოველებით ვერ აწარმოებს მუშაობას, როგორც ეს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის უმთავრეს ნაწილებშია. ამ მხრით ჩამორჩენილობა, ამ მხრით მუშაობის შენელება უდრის პირდაპირ ღალატს საერთაშორისო პროლეტარიატისას. სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ არა თუ



რევ. მებრ. დამხ. საერ. საზოგადოების სრულიად საქარ. განყოფილება ამხ. ხეივუდთან და შიფროთნთან ერთად

ფართო მასსამ არ იცის კარგათ „რემედასს“-ის დანიშნულება, მიზანი და ამოცანები, არამედ ბევრია შემთხვევა, როდესაც თვით პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგებიც ამ საზოგადოებას არ იცნობენ.

აშკარაა, რომ ჩვენში გაკეთებულია ამ მხრით ძალიან ცოტა მაგრამ ისიც აშკარაა, რომ სულ ამ მოკლე ხანში მთელი საქართველოს ტერიტორია უნდა მოიფინოს „რემედასს“-ის უჯრედებით. ამ მხრით დაყოვნება შეუძლებელია. ამ მხრით ყველა ძალებს მობილიზაცია უნდა ეყოს.

სექტემბერში განზრახულია სრულიად საქართველოს „რემედასს“-ის ყრილობის მოწვევა. ამ ყრილობისათვის ყველა სამაზრო ორგანიზაციები დღეიდანვე უნდა შეუდგენ სამზადისს, და ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ამ მხრით პირველობა, წინსვლა და ყველაზე მეტი წევრების ყოლა და თანხის შეგროვება უნდა ჰქონდეს დასახული მიზნათ სამაზრო განყოფილებას, სარაიონოს და თვით უჯრედსაც.

ჩვენთვის ყველაზე უფრო გაუგებარი და გასაკვირველი ის არის, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ადგილობრივად აი ამ საკითხით არ არიან აგრერიგად დაინტერესებული. ამას წინათ გამოქვეყნებული იყო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიარი, სადაც ის წინადადებას აძლევდა პარტიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ მიეღო ენერგიული და სწრაფი ზომები „რემედასს“-ის სათანადო დონეზე დასაყენებლად. ეს ცირკულიარი „რემედასს“-ის მომუშავეებმა სასწრაფოდ უნდა გააცნონ და ამის მიხედვით პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტული დახმარებით ჩვენი საზოგადოების მუშაობა და საქმიანობა სათანადოდ წინ წასწიონ.

ყველა მუშას, ყველა გლეხს, პატიოსან საბჭოთა მოსამსახურეს, და „რემედასს“-ის ყველა წევრებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ შავი და თეთრი ტერორი დღეს გაბატონებულია მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოში. უნდა ახსოვდეთ, რომ ასობით და ათასობით ეწირებიან კაპიტალს საუკეთესო კომუნარები და ჩვენი მორალური, ჩვენი მატერიალური დახმარება მათთვის ძვირფასია, მათთვის დაუფასებელია.

ჩვენ მიერ გაღებული დღეს 1 კაპეიკი ტანჯულ კომუნარების სასარგებლოთ, უდრის ვინტოვკის ერთ ტყეიას საზიზღარი და პირ-სისხლიანი ბურჟუის გულში მოხვედრილს.

მაშ დაუშინოთ ძვირფასო ამხანაგებო პროლეტარიატის მოსისხლე მტერს — ბურჟუაზიას ჩვენი ტყვია —კაპეიკები.

არ. კვირიკაძე

საერთაშორისო მუშათა სოლიდარობა საუკეთესოდ რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საქმეში გამოიხატება. ჩაეწერეთ რემედასსში!

„რემედასს“-ის მუშაობის შესახებ

ჟურნალ „რემედასს“-ის მორიგ ამოცანას შეადგენს გააცნოს თავის მკითხველებს, რა გააკეთა „რემედასს“-ის ორგანიზაციამ თავის მოკლე დროის წარსულში. რა უნდა გააკეთოს მან და ან როგორია ეხლა მისი მუშაობა საერთო მასშტაბით.

„რემედასს“-ი ჩქარი ტემპით იზრდება საბჭოთა მასშტაბში. უკანასკნელ ხანებში პირდაპირ ზღაპრული სისწრაფით იზრდება ეს ორგანიზაცია. უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში არ დარჩენილა არც ერთი შორეული სოფელიც კი რუსეთის მიწა-წყალზე, რომ არ ეწერებოდენ მუშები და გლეხები ამ ორგანიზაციაში. მარტო ცენტრალური ქალაქების მუშები არ არიან დაინტერესებული ამ ორგანიზაციის გაძლიერებით და გაფართოებით, არამედ გლეხობაც დაინტერესებულია და დიდი სიმპატიით ეპყრობა ამ საზოგადოებას. რის დამამტკიცებელი ფაქტები ხელთა გვაქვს; საკმარისია გავიხსენოთ როგორი დიდი ამბით იქნა ჩატარებული პირველი მაისობა რუსეთის მუშების და გლეხობის მიერ—გლეხები მარტო საწევრო ფულის გადახდით არ კმაყოფილდებიან, ისინი სწირავენ სურსათს, ძვირფას ნივთებს და ყოველივეს რაც კი მოეპოვება მათ და შეუძლია, და არ ენანება ამ საზოგადოებისთვის არაფერი. ჩვენ ამ გულწრფელ დახმარებიდან შეგვიძლია ასეთი დასკვნა გამოვიყვანოთ.

მუშებს და გლეხებს ნათლად აქვთ შეგნებული თავისი კლასიური მდგომარეობა. ხედავენ, რომ მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებით შეიძლება სრული განთავისუფლება შრომის, ბურჟუაზიის ექსპლოტიციისაგან. ამიტომ სრულიად შეგნებულად უწვდიან ხელს თავის მოძმეებს, რომლებიც ციხე ჯურღმულებში იტანჯებიან მშიერ მწყურვალნი. რაც შეეხება ჩვენში „რემედასს“-ის საერთო მუშაობას იგი რუსეთთან შედარებით სუსტია, ამას თავის მიზეზი აქვს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში დიდი გამოფხიზლება ეტყობა ჩვენ რემედასსაც. არა ნაკლებ—გულთბილად ეპყრობიან **რემედასს** ჩვენი ქვეყნის მუშები და გლეხები. აქაც უკვე შეიძლება ათასობით დაითვალოს წევრთა რიცხვი და ეს მისწრაფება ამ საზოგადოებისადმი დღითი-დღე იზრდება.

აგრეთვე **რემედასს** საქ. განყოფილებას აქვს გაღადგმული პრაქტიკული ნაბიჯი ახალ გეგმების განსახორციელებლად, რაც დიდ პერსპექტივებს იძლევა თავის მიზნების გამართლებისას. საქართველოს **რემედასი** უეჭველად გადაიქცევა დიდ სიმპატიურ საზოგადოებათ, რის ნიშნები უკვე სჩანს. ჯერ ერთი წელი არც კი შესრულებულა, მაგრამ **რემედასს** საქ. განყ. შესძლო ცენტრალურ კომიტეტისთვის გადაეგზავნა 61 000 მანეთი; შეიძლება ეს მცირე თანხა იყოს, მაგრამ უეჭველად დამაკმაყოფილებელია იმისთვის, რომ ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა ჩატა, რებული სპეციალურად არც ერთი დღე-რომელსაც კი ფართო დახმარების ხასიათი ჰქონოდეს. ეს აწი იქნება. მეტს ჩვენ არას ვიტყვით ამის შესახებ, რადგან „რემედასს“ საქ. განყოფილების ანგარიში იბეჭდება ამავე ნომერში. რაც შეეხება საერთაშორისო მუშათა მოძრაობას ჩვენ ჟურნალში საკმაო ცნობებია ქვეყნის ყველა კუთხიდან, თუ როგორ სდევნის თეთრი ტერორი და არ ინდობს მებრძოლ მუშათა ნაწილებს. ქყეყნის არცეთი კუთხე აღარ დარჩენილა, სადაც კი სასტიკათ არ იდევნებოდენ შავი რეაქციისაგან კომუნისტები. ბურჟუაზიული ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან მებრძოლ პროლეტარიატის ჩახრჩობაში. ჩვენს უცხო მოძმეებს ჩვენსკენ აქვთ მოპყრობილი თავის გულის ყური და ელიან ჩვენგან ხსნას და შველას.

ჩვენის მხრით მოვალებულია ყოველგვარი ზომები თანამოძმე ამხანაგების დახმარებისთვის, რომ არც მატერიალური და არც მორალური დახმარება არ მოაკლდეთ მათ.

მკითხველის საყურადღებოდ მოთავსებული არის ჟურნალში დაღუპულ ამხანაგების სურათები და ის ციხებიც სადაც სულს ღაფავენ ჩვენი თანამოძმენი.

ვიმედოვნებთ, რომ ყველა გულწრფელი მოქალაქე, ვინც კი კლასიურად დაკავშირებულია მუშათა კლასთან, შეეცდება ხელი შეუწყოს „რემედასს“-ის გაძლიერების საქმეს.

მუშათა ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესებულებებს და ყველა საწარმოებს პირდაპირ ევალებად შეექმნან ეხლავე **რემედასის** უჯრედი და გახდენ წევრი ამ საზოგადოების; არც ერთი მუშა-მოსამსახურე არ უნდა დარჩეს **„რემედასს“-ის** გარეშე, რადგან მის მიზანს შეადგენს მებრძოლ რევოლიუციონერების დახმარება, იგი ერთი საუკეთესო მუშათა კლასიური ორგანიზაციათაგანი არის მსოფლო მასშტაბით. ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მისი კარები ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის ღია იყოს. თვით ჟურნალი კი ეცდება მიაწოდოს მკითხველებს ყოველგვარი ცნობები, რომელიც კი შეეხება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მდგომარეობას ყოველივე შესაძლებლობის ფარგლებში.

ი. სოფლელი.



დუშეთის მაზრის რემედასსის გამგეობა და სარევიზიო კომისია.

ევროპის ციხეებში გამოკეტილ კომუნარებს

თქვენ გენატრებათ ნაჭერი ცისა
და გაზაფხულის მწვანე ველები.
თქვენ გენატრებათ ჟამი რისხვისა
ურაგანების ამეტყველებით.

თქვენი ბორკილი პატარა არი
ვერ დაამძიმოს მან თქვენი კალთა,
როცა ტირანის მაგარ ჯაჭვებსა
მთელი მსოფლიო შემოუსალტავს.

თქვენ გენატრებათ ნაჭერი ცისა
ზურმუხტის სუნთქვა გაზაფხულისა.

შენ იოგიხეს გმირო, მშიერო,
ჰოი მაკს გელეც, გენრიხ მიუზას,
ხვალ თქვენი ტანჯვის სამაგიეროს
მშრომელი ხალხი მტარვალს მიუზღავს.

განწმენდს ევროპას ლიბკნეხტის სისხლი,
წავა ქუჩებში ნიაღვარებათ
და ლიუქსემბურგის ნაზი ჭრილობა
ათას მილიონს კვლავ ეყვარება.

შურისძიების დღე ახლოვდება
უკვე შეირყა შავი კრებული,
ანტანტის ცაზე წყევლით გროვდება
მონების რისხვა მომატებული.

ტირანი მწარეთ დაიკლაკნება
თავისუფლებით ის გამწარდება,
როცა ევროპა თავის აკვნებით
სისხლის ღვართქაფში გადავარდება.

სალამი გმირებს და კომუნარებს
გაჩაღდეს ბრძოლა გარს დანთებული,
გაანგრევს ციხის ჩაკეტილ კედლებს
თქვენი, ტრიბუნა დამეხებული.

ალექსანდრე ულმობელი.

ევროპას

(სიკვდილის მარში)

მთელი მსოფლიო დღეს შუაზე გადაიროფა,
და მუშის მკლავებს ველარ უძლებს უშნო ლიპები.
მიდის წინ შრომა და იხევა უკან ევროპა,
„კმარა გეყოფა, ისმის ხმა -- დაიღუპები“.

ახალ ქვეყნიდან მოწოდება მოდის შმაგივით,
და ძველ სამყაროს ველარ შველის თმენა და რიდი.
ლენინიზმიდან მზე იფრქვევა მტკიცე მაგიით
და მსოფლიოზე იმართება ტანჯულთა ხიდი.

შ. ჯ—ძე.

ლორდ ჯონ სტერლინგი

(მასლენიკოვიდან).

ჩუმად.

ლორდ ჯონ სტერლინგი ჯერ კიდევ ძილს ინებებს. თქვენ ვალდებული ხართ დაბალი ხმით ილაპარაკოთ.

იაროთ ცერებზე.

— ყველაფერი მზად არის მათი ტუალეტისათვის!?

— მზათ არის: ყავა და სიგარები?

* * *

შუადღის თორმეტი საათია.

ლორდმა გაიღვიძა.

ყველაფერი გამოცოცხლდა—განათდა.

ათეული მოსამსახურეები ისწრაფიან ასიამოვნონ: ქვა ნახშირის მეფეს.

ლორდი ინებებს: მიირთვას ყავა.

ლორდი ინებებს: ჩაიცვას.

ლორდი ინებებს: გაიპარსოს.

ლორდი ინებებს: ილაპარაკოს.

— ვინ იცდის?

— მისტერ კრუგსტონი!—ინებებთ მიიღოთ?

— გაიგეთ რა უნდა!

— საყურადღებო ამბები. უკანასკნელი ცნობები.

— დაუძახეთ!

ბრწყინვალე ღიმილით შემოდის მისტერ კრუგსტონი.

— დილა მშვიდობისა ლორდ! დილა მშვიდობისა! მე მოვედი უკანასკნელი ამბებით. კიდევ მუშებმა...

ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ რაც შეგვეძლო. ჩვენ არა ვართ დამნაშავე თქვენს წინაშე. ისევ გაფიცვები

დამნაშავეა—კომუნისტები.

დამნაშავეა—კომინტერნი.

— სთქვით აზრიანათ!!!

— მე... მე... სოციალისტები.. მერწმუნეთ ლორდ, ჩვენ მუდამ თქვენს მხარეზე ვართ.. მუდამ თქვენს ინტერესებს ვიცავთ. ჩვენ ველაპარაკებოდით მუშებს, რომ თქვენ ლორდ, მათი კეთილისმყოფელი ხართ.

— სად არის გაფიცვები? რა უნდათ?

— თქვენთან. თქვენს მაღაროებში. მუშები თხოულობენ სამუშაო ქირის მომატებას. თხოულობენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცნობას.

კომინტერნით მზადდება—საერთაშორისო მუშათა გაფიცვები... ჩვენ კი.. გვინდა..

— ვირო! დაიკარგე!

— ლორდ ნუ მიჯავრდებით!

— დაიკარგე!..

ჯონ სტერლინგი აღელვებულია. აიღო ტელეფონის მილი.

— დაუძახეთ მაღაროების მთავარ ინჟენერს.

— მთავარი ინჟენერი ხართ? დაუყოვნებლივ გაუსწორდით მუშებს. დაითხოვეთ. დაიქირავეთ ახლები, უმუშევრები. დააყენეთ შეიარაღებული დარაჯები.

რაო? უმუშევრები არ მოდიან? მისტერ თქვენ რეგვენი ხართ!

ლორდი—სავარძელში გადაეშვა. სახეზე ოფლის ღვარი ასკდება. მოსამსახურეები გაფაციცებით უწმენდავენ სახეს.

— 100. 200. 300... 1000—სტერლინგი

— წაგება. წაგება. წაგება.

— ოლ-რაიტ! გამოსავალი ნაპოვნია.

— ტრრრ... ტრრრ... ტრრრ... რრრრ...

— ალლო! პარიზი № 7—8—9—10.

— მოსიე დე—ესტომაკ?—ლორდ ჯონ სტერლინგი გეც აპარაკებათ! დავივიწყოთ ძველი. ჩვენ ორივენი დამწუხრებულნი ვართ. მე ეხლა თანახმა ვარ თქვენი. განაგრძეთ რურის ოკუპაცია. ძლიერ მოხარული ვარ. არ შეგიძლიათ ეხლა მე დამეხმაროთ? ჩემთან—მალაროებში გაფიცვებია. აღმომიჩინეთ დახმარება. გამომიგზავნეთ თქვენი მუშაშევრები. როგორ? თქვენთანაც გაფიცვებია? კომინტერნი? მერე, შემთანხმებლები? ვერაფერი გააწყვეს? ვირები!! ლორდი ველარ ითმენს. ტლეფონის მილი გააგდო ხელიდან. მოშორდა.

— კომინტერნი. კომუნისტები... 400, 500, 600-ათასი გირვანქა სტერლინგი. წაგება. წაგება. წაგება.

ჩუმად. ლორდ ჯონ სტერლინგი ღელავს.

* * *

სამ დღეში:—დილით: ლონდონში, ნიუ-იორკში, პარიზში, რომში, პერლინში, ვარშავაში დარბოდნენ მეგაზეთეები.

— ერთა ლიგის სასწრაფო სხდომა.

— ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში, იტალიაში: მუშათა გაფიცვებია.

— კომინტერნი მოუწოდებს მუშებს არ წავიდნენ დათმობებზე.

— ამერიკელი მილიარდერი მისტერ **გუდ-ბოქს** მოითხოვს შეუწყნარებელ ბრძოლას გაფიცულთა წინააღმდეგ.

— საფრანგეთის კაპიტალისტი: **დე-ესტომაკ** მოითხოვს შეიარაღებულ ბრძოლის წარმოებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

— ამერიკელი მენშევიკი მისტერ **ფოქს-ტროტ** მოუწოდებს—შესწყვიტონ გაფიცვები.

— ლორდ ჯონ სტერლინგი მოუწოდებს ყველას გაერთიანებისაკენ და ბრძოლის წარმოებას საბჭოთა კავშირის დასამხობად.

— იტალიელი ფაშისტი: **ლოდზარონი—კამერიერე**—მოუწოდებს ჰთელი ქვეყნის ფაშისტებს—ამოსწყვიტონ კომუნისტები.

— გერმანელი კაპიტალისტი: **ფონ-გოლდკოფფერ**—ფიქრობს წესიერების დაბყარება შესაძლებელია მუშათა ასეულის ამოჟლეტით და სამშობლოს მმართველობის რუპრეხტისათვის მინიჭებით.

— პანი-**პადხალიმსკი:** საფრანგეთის დახმარებით ფიქრობს ექვს თვეში მოსპოს და მიწასთან გაასწოროს ბუდე მსოფლიო რევოლიუციისა კომინტერნი და ს. ს. რესპუბლიკების კავშირი.

— მილიუკოვმა: ჩერნოვმა და დანმა დაარსეს პარიზში ერთიანი ცენტრი ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

— მარკა აღარ მოძრაობს. ფასი დაეცა. ბირჟაზე აღელვებაა.

— უმუშევართა—დემონსტრაციები.

— კომინტერნი გაფიცულებს ფულით ეხმარება.

* * *

იმავე დღეს—საღამოს: იგივე მეგაზეთეები:

— მენშევიკების ცდა გადაბირებისა, მუშების დათმობის გზით წაყვანისა: გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდა.

— მუშები—კომინტერნს მიემხრენ.

— საერთაშორისო გაფიცვები—იმუქრება.

ხანგრძლივი: ცხარე და ქარიშხლიანი კამათის შემდეგ ერთა ლიგამ დაადგინა: დააკმაყოფილოს მუშების მოთხოვნილებები.

ხელფასი აწეულია 45 პროცენტით.

— დანიშნულია კომისია, რომელიც აწარმოებს რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებას.

— მილიუკოვი, ჩერნოვი და დანი ექვს დღეში დასტოვებენ ევროპას. მათ ახალ საცხოვრებლად განზრახულია კუნძული: **ნია ნიან.**

— **კომინტერნმა**—გაიმარჯვა.

* * *

ბირჟევიკები. ფაბრიკანტები. ვაჭრები—მძიმედ ოხრავდნენ:

— ო, ღმერთო! ო, მადონნა!

ო, დონნერ—ვეტტერ!

მალაროებში. ქარხნებში. რკინის გზის სახელოსნოებში. გიგანტურ ნავთსადგურებში: მუშები ემზადებოდნენ კაპიტალზე უკანასკნელ იერიშების მისატანად.

— ამხანაგებო! იმსხვრევა კაპიტალის ტახტი. ახლოა მისი დაღუპვის ჟამი. კიდევ ერთი შტევა. კიდევ ერთი სიძლიერე. კიდევ ერთი იერიში დ... გუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს: **კომინტერნს.**

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო კავშირს!

თოფებისაკენ—პროლეტარებო!

* * *

ლორდ ჯონ სტერლინგს დაესიზმრა: საჰაერო ფლოტი, ტანკები. ურიცხვი ზარბაზნები ანგრევენ საბჭოთა რუსეთს; მოსკოვი ნანგრევებათ არის გადაქცეული გვამების მთები—ოგვლივ. ყოველმხრიდან. ისმის: კვნესა. ვაება.

ლორდ ჯონ სტერლინგი დამშვიდებული სდგას. მკაფიოდ იძლევა ბრძანებებს:

— გააძლიერეთ ცეცხლი მარცხენა ფრთაზე.

— ალყა—მეათე არმიას.

— ააფეთქეთ რკინის გზის ხიდები.

— ტყვეები არ წამოიყვანოთ

დახოცეთ იქვე

ხედავს—როგორ ესევა ფაშისტური რაზმები რკინის გზის ხიდებს.

კიდევ წუთი და.. საშინელი აფეთქება.

ლორდმა გამოიღვიძა.

— ჯონ სტერლინგ, თქვენ დაპატიმრებული ხართ!

— ა? რაო? თქვენ--ვინა ხართ?!

— ჩვენ—კომინტერნის დამცველნი ვართ! კომუნისათვის მებრძოლნი. ყველაფერი ნათელი გახდა

მუშებმა—გაიმარჯვეს. ლორდ ჯონ სტერლინგი მწუხარებით იატაკზე გაგებულ ხალიჩაზე დაეშვა.

— ყველაფერი წაგებულია.

— ყველაფერი გათავდა.

—

მოედნებიდან. ქუჩებიდან—მოისმოდა მრავალრიცხოვან მშრომელთა გამარჯვების ძლიერი ხმა:

— ჩვენ, ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს,
არარას გავხდით ყველაფრად...

პ. ოდიშელი.

ეხმარები რა კაპიტალისტური რეაქციის მსხვერპლს, ამით შენ აახლოვებ მისი დამხობის საათს.

დიმიტრი სტეფანეს ძე პაპოვი

ყოფილი წევრი ბულგარეთის კომპარტიისა, წევრი ბულგარეთის ცეკას, წევრი კომინტერნის, ყოფილი დეპუტატი კომპარტიის ფრაქციისა ბულგარეთის სახალხო ყრილობაში. ამხ. პაპოვი, ერთი მსხვრეპლთაგანია ფაშისტურ ტერორისა ბულგარეთში.

ის არ მოუკლავთ, როგორც სხვები, იგი არ უწამებიათ ხიშტებით, და ხმალით არ აუკეპიათ. პაპოვი მოკლეს იმით, რომ წაართვეს ყოველგვარი საშუალება განკურნებულიყო იმ საშინელ ავადმყოფობისიგან, რომელმაც იგი სამარეში—ჩაიტანა.

1923 წლის 12 სექტემბერს, როდესაც დაიწყო მასიური დაპატიმრება კომუნისტებისა, ამხ. პაპოვი ლოვარნენის ოლქიდან. ამხანაგი პაპოვი იყო წევრი საგანგებო კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ბულგარეთის მთავრობის დანაშაულობანი 1912—13 წ. 1915—18 წლებში. ამ კომისიებში მისი ერუდიცია და რკინის ლოღიკა გამოკრთა ისე ნათლად, რომ როდესაც ბრალდებულნი, ბულგარეთის ხალხის მკვლელები, ხელ-ახლა დაუბრუნდენ მთავრობას 1923 წლის 9 ივნისის ღამით მომხდარ სამხედრო გადატრიალების წყალობით,—მათ გადაწყვიტეს მისი მოკვლა. ხოლო ვინაიდან მათ ეშინოდათ მიტოს საყვარელ მუშების აჯანყებისა, მათ აირჩიეს ამ მიზნით ის სხვა გზა, რომელიც უკვე ვიცით. მაგრამ აჩრდილი ამ წამებულისა მუდამ იქნება მომწამვლელი ბარბაროსულ რეჟიმის არსებობისა. და შორს არ არის ის დღე, როდესაც სხვა ათას წამებულ რევოლიუციონერთა აჩრდილთან ერთად, იგი წაიყვანს ბულგარეთის მასებს გადამწყვეტ ბრძოლისაკენ კაპიტალის ლაქიებთან, როგორც თვით მიტოს მიყავდა ხოლმე. მაშ პატივი ვცეთ წამებულ წინამძოლის დიმიტრი სტეფანის ძე პაპოვის ხსოვნას.

დაიბადა ბულგარეთში ოსმან ბაზარში 1878 წ. და გარდაიცვალა ვენაში 1924 წ. 16 მარტს.



დიმიტრი სტეფანეს ძე პაპოვი

გინში იწვა ავადმყოფი. მიუხედავად ამისა, იგი შეიპყრეს და ახდილ ურმით, ავდრიან შემოდგომის დღეს, გადაა! ახლეს ბულგარეთის ერთ-ერთ დაშორებულ და მიყრუებულ მხარეში.

მაგრამ მალე იმავე გზით, იმნაირისავე ცივს და ნესტიან შემოდგომის დღეს, მთებით წამოიყვანეს იგი ვარნაში. და მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ავადმყოფობა აღმოჩნდა განუკურნებელი, რომელსაც სიკვდილი მოყვებოდა აუცილებლივ, მხოლოდ მაშინ „დიდ სულოვნურად“ დართო ნება მთავრობამ საზღვარგარეთ გამგზავრების, ჯანმრთელობის აღსადგენად. პაპოვი ვენაში მოიყვანეს, აქ აღმოჩნდა, რომ მას ჰქონოდა ჭლექი (meninqitis tuberculosa), რისგანაც იგი 16 მარტს გარდაიცვალა.

პაპოვი, იყო ერთ-ერთ შემქნელთაგანი მუშათა მოძრაობისა ბულგარეთში, საუკეთესო თეორეტიკოსი და ყველაზე უფრო აქტიური მომუშავე კომპარტიის, საყვარელი და პატივცემული ვარნის სავაჭრო პორტის ღარიბ მოსახლეობის და მუშებისაგან, ის იყო არჩეული ქალაქის საბჭოში კომუნისტებისაგან. მრავალ წლის განმავლობაში იგი იყო მუდმივი წევრი ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციისა. პარტიულ საბჭოს დაარსების დღიდან, პარტიის ყოველ ყრილობაზე ირჩევდენ ხოლმე მას წევრად,

„დედის ალერსში“

(თარგმანი რუმინიულიდან)

„მინისტრი—დიდი პოეტის სულით“. ის რომ მინისტრი არ ყოფილიყო მისი უდიდებულესობისა, იქნებოდა მაშინ რუმინიის გიოტე“. ამ გვარ აზრს გამოსთქვამენ რუმინიის გაზეთები მისი უდიდებულესობის მინისტრის—ბანუ-ს შესახებ. ისინი—თავისებურად მართალნი არიან: ბატონ ბანუს უყვარს „სახეობითი“ ლაპარაკი. მაგალითად, „მწველ სიყვარულით ანთებულ დედას არ შეუძლიან არ დასაჯოს ბავშვები სახიფათო თამაშობისათვის“.

ეს—მხეცური ტერორის შესახებ ბესარაბიის მშრომელთა წინააღმდეგ, ან კიდევ: „განათლებულ ქვეყნებში მიღებულია ჭირიან თაგვების მოსპობა“. „ეს—პასუხად კომუნისტების დევნის შესახებ შეკითხვაზე“. კიდევ: „ბესარაბია—მთლიანი ბაღი, ერთი კუთხიდან მეორემდე. რუმინეთს მიაქვს ეს ბაღი, პირველად—მიტომ, რომ ის მოყვანილ-მოვლილი არის მისი წარსული თაობების მიერ, მეორეთ—იმიტომ, რომ მას უნდა და სწადია გამოიყენოს და შეჰქმნას ახალი აყვავებული კულტურანი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით“.

ასე ამბობს „მინისტრი—დიდი პოეტის სულით“.

რამდენიმე სიტყვა „მწველი სიყვარულის ანთებულ დედის“ შესახებ: „მწველობა“-შესდგება:

1. მთელი დღე-ღამეების განმავლობაში მომუშავე მაძებარ ფილიალებისაგან.

2. შპიკებისა და ჟანდარმების მოქმედებისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს „მიღებული“ და „სრუ-

ლებით შეუწყვეტელი“ გენერალი პაპოვიჩი, ის პაპოვიჩი, რომლის შესახებაც „თვით“ მეფე ფერდინანდი, გადაკვრის დროს ამბობს: — იტალიას — მუსოლინი, ინგლისს — კონსერვატორები, საფრანგეთს — პუანკარეს სიბრძნე, მე — პაპოვიჩიო!

საერთოდ — ფერდინანდი არ არის მართალი. — პაპოვიჩს მოწაფეებმა გადააჭარბეს ვერაგობასა და სისხლის სმაში თავის მასწავლებელს. პირველი მათგანი — გენერალი ვიტოიანუაა ის, რომელმაც, რუმინიის მთავრობის დავალებით, „გულში ჩახუტებით მიიღო ახალგაზრდა ქალიშვილი — ბესარაბია“.

3. საველე სასამართლოებისაგან, რომელთა გაიძვერა მოქმედებაც განისაზღვრებოდა სამი კითხვით: „ადგილობრივი მცხოვრები ხართ? ნაციონალისტი ხართ? გვარი, სახელი?“ შემდეგ კი — მოკლე და განუსაჩივრებელი: „უნდა დაიხვრიტოს!“

4. წამებისაგან, რომელთა ობიექტიც შეიქნენ, სულ ზერელეთ შეკრებილი ცნობებით, 100 ათას ბესარაბიელამდე. უფრო სწორი ცნობის შედგენის საშვალებას პლებისციტი მოგვცემდა, მაგრამ რუმინიის მთავრობას არ უყვარს პლებისციტი. და მართლაც — სად, როდის და რომელ პირობებში მოუხდენია პლებისციტი მწველ მოყვარულ დედას თავის შვილებში?

ყველაფერს დასასრული აქვს. მხეცობასაც. მით უმეტეს — „რუმინეთი განათლებული ქვეყანაა!“ და ამიტომ — უკანასკნელ დრომდე არ არის, ვინ იცის, „მოსპობილი“ მთელი წყება მეცნიერებისა, პროფესორებისა, ექიმებისა, რომელნიც ცხვირ-აწევით იცქირებიან ბოიარულ რუმინეთის მხარეს. სიმართლე, თავისთავად, თხოულობს აღინიშნოს: პირველი და არა ორ აზროვანი გაფთხილება მიიღეს ბესარაბიის ყველა ინტელექტუალურმა ძალებმა.

ასე, მაგ, პროფესორს იორდანსკის გადაეცა „ბესარაბიის კომენდანტურის შტაბის უფროსის“ ბრძანებიდან ამონაწერი: „ამა წლის 17 თებერვლის № 62/49 ბესარაბიის სამხედრო კომენდანტის ბრძანების თანახმად პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ ბესარაბიის სამხედრო კომენდანტმა ბატონმა გენერალმა ბრძანა, რომ პროფესორი იორდანსკი არ გამოდიოდეს კრებებზე. ეს აკრძალვა სამუდამოა“.


ნ. რ.

არის თუ არა სხვა იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, როგორიც სხვა ქვეყნების იმ მუშა-გლეხებისთვის დახმარების აღმოჩენა, რომლებიც მოჰყვენ, მოჰყვებიან ციხეებში. (სოლოვიევი, რემედასის საკავშირო კონფერენც. წარმ. სიტყვა).

ვერ მოსპობენ

თანამედროვე დონე კომუნიზმის განვითარებისა მისი ფესვის მოდგმაში გამოიხატება. ახალი მოძღვრება ატანს მიყრუებულს კუთხეებს ქვეყნისას და მიაქვს საამო იმედები. ცხოვრებითაა წარმოშობილი ეს საკითხები კომუნიზმს რომ დაუსახავს გადასაჭრელად, და ამიტომაც აგრე გაფაციცებით მისდევს მუშათა კლასი, სადაც კი ჩანასახი რამ არსებობს ამ უკანასკნელის. შერყეულა სამყარო თავის საფუძველზე, მყუდროება დარღვეულია, ევროპის მოსვენებულ კაპიტალისტების ცხოვრებისა. აკი ამიტომ არ ასვენებთ მათ ელვარება წითელ ვარსკვლავისა და მის ჩაბნელებას ცდილობენ! აკი ამიტომაცაა, რომ ლამის ნერონისებურად კომუნისტების დაწვით გაანათონ ბაღები თუ სხვა ადგილები რუმინეთისა და ბულგარეთის მშრომელი მასების სისხლის მსმელებმა?!. დევნაა ყველგან, აწიოკება, დასჯა, დაპატიმრება კომუნისტებისა. ციხეები სავსეა ევროპის ქალაქებში წიოკებულ კომუნისტებით არ არის ევროპის სახელმწიფოს არც ერთი მთავრობა, რომელიც რაიმე შევიწროებას არ აყენებდეს კომუნისტებს. და ყველას მიზანი იქითკენაა მიქცეული, რომ ძირშივე მოსპონ ჩანასახი კომუნიზმისა და გასაქანი არ მისცენ მას მომავალში. მაგრამ მათი ცდა სასტიკ დამარცხებას იგემებს და საპნის ქაფსავით გაქრება ისტორიის მსვლელობაში.

სადაა მიზეზი საქმის ამგვარი დასრულებისა და რაა ისეთი დამარწმუნებელი საბუთი, რომ გადაჭრით შეგვეძლოს ასეთი გარდამწყვეტი პასუხის მიცემა?—საქმე შემდეგშია. საკუთრივ დევნის ატანა იდეისათვის,—წამება და მით უმეტეს—სიკვდილი—ყველას არ შეუძლია. იდეას სისხლით მხოლოდ რჩეული განამტკიცებს. ძახილი ამა თუ იმ რწმენის აღიარებისა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცება აღიარების გულწრფელობისა. გრძნობის დამტკიცება—სისხლით განმტკიცებას თხოულობს. სიყვარულის გრძნობა: აქ რომელიმე მხარე ხშირად ეწირება თავის სიყვარულის ობიექტს. მაგრამ სისხლის დანახვა და დანთხევა ყველას რომ არ შეუძლიან?!—აი, აქ ხდება, ცნაურდება სინამდვილე: აქ ხდება გაწმენდა „პურისა ბალახის თესლისაგან, სიმტკიცისა—სისუსტისაგან, ღრმა რწმენისა—ზეპირი აღიარებისაგან. დასჯილი ამხანაგები სიმხნევეს პოულობენ და დიდ სულიერ სიმაგრეს განიცდიან იმ გარემოებაში, რომ ისინი მარტონი არ არიან, რომ მათ არმია ყავთ მებრძოლი ამხანაგებისა, რომელნიც მუდამ მზად არიან თავი გასწირონ იმ საქმისათვის, რისთვისაც ისინი ციხეში ლპებიან. ამის საუკეთესო მაგალითია „რემედასს“-ი. ეს ხომ დამტკიცებაა თქმულისა; ერთი ყველასათვის, და ყველა ერთისათვის. საწინდარი გამარჯვებისა აქაა სწორედ, პარტიის წევრთა ამგვარ ერთსულოვნებაში.



გამოძიების ქვეშ მყოფთა ციხე ბერლინში

კაცობრიობა—თითქოს დამძიმებულა კომუნიზმით, და თუ დღეს არა, ხვალ მაინც უნდა იშვას იგი. ცხოვრების ბორბალი კომუნიზმს გადმოისვრის და არავითარ სუროვილს ადამიანისას არ ძალუძს მისი პირუკუღმა შეტრიალება. ნათელია ყველასათვის, როგორა სდევნიან და ავიწროებენ კომუნისტებს ყველგან, პირდაპირ ალპობენ მათ ციხეებში. მაგრამ წარბის შეხრა არავის შესტყობია. მედგარი მებრძოლნი შერჩა პარტიას, მებძოლნი, რომელნიც მუდამ მზად არიან სიცოცხლე შესწირონ პარტიის განმტკიცებას—იდეას ჩარჩოებში ვერ ჩასვამთ, კომუნიზმს – ერთ ქვეყანში ვერ დაამწყვდევთ. იგი—საკაცობრიო ხაზების მატარებელია. და რამდენიც უნდა აწამონ, დაალპონ ციხე-სატუსაღოებში კომუნისტები,—მომავალი მაინც მათია. მედგარი მებრძოლების მტკიცე შეკავშირება საფუძვლად დაედება ახალი მოძღვრების გაღართოება-განმტკიცებას და შორს არაა ის დრო, როცა მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი სამაგიეროს გადახდით თვითონ გაისტუმრებს ციხეებისაკენ სისხლის ეხლანდელ მსმელებს.

აწინდელი ტანჯვა ამაგრებს მებრძოლთა სულს.

ყოველი გაბრძოლება ევროპის მოძველებული კლასებისა საბნის ქაფსავით ჰქრება და რა გასაკვირალია, რომ მათი წადილი ხელების ქავილი იქნება და მათი სწრაფვა—მოსპონ კომუნიზმი – წყლის ნაყვა.

დეე, გაილაშქრონ კაპიტალისტებმა კომუნიზმის წინააღმდეგ. ისინი მას ვერ მოსპობენ, რადგან ისტორიის ნება მეორეში მტკიცდება, პირველი კი განწირულია მოსპობისათვის.

არც ისე შორსაა ეს დრო.

პ. —ლი.

პუროპუაზიის ბრძოლის მეთოდი

ოქტომბრის რევოლიუციის სახით პროლეტარიატმა მკაცრი სილა გაარტყა საერთაშორისო ბურჟუაზიას; მშრომელმა კლასმა დუელში გამოიწვია ეს დრო მოჭმული კლასი, მაგრამ გარყვნილი ბურჟუაზია პირდაპირი შეხვედრას გაურბის; მას თავის მეთოდები აქვს ბრძოლისა; მისი მეთოდი დიპლომატიაა და იგი დღესაც ამ ხერხს მიმართავს თავის ბრწყინვალე გამარჯვებისთვის—რისთვისაც მოუხშირეს მარცხნივ და მარჯვნივ საზავო კონფერენციებს, სადაც სურთ ჩვეულებრივად ჩუმად და წარბ შეუხრელად დაამტკიცონ, რომ იგი მზად არის ემსახუროს და ანგარიში გაუწიოს ყველა მოთხოვნილებას, რომელიც კი ეხება პროლეტარიატს. იქ, სადაც ეს „კეთილი“ განზრახვა არ სჭრის; ბრძოლის მეორე ხერხს მიმართავენ ხოლმე, ეს არის ოქრო. ოქრო, რომელზედაც მშრომელი კლასის მრავალი სიცოცხლე არის შეწირული მსხვერპლად. მათ ბლომად აქვთ ეს დოვლათი და ამ სიმდიდრეს გაიღებენ უხვად, როდესაც საქმე ეხება გადამწყვეტ ბრძოლას ოქრო ყველგან იმარჯვებს—კარგი თვისების ლითონია, განა მარტო ოქრო? პოლიტიკაც საუკეთესოდ აქვთ შეთვისებული, როგორც ბრძოლის საშუალება თავიანთი ბატონობის შესანარჩუნებლად.

პოლიტიკურ გადატრიალებებს ახდენენ სახელმწიფოს ცხოვრებაში ურევოლიუციოდ. მაგალითად, ინგლისის ბურჟუაზიის ტაქტიკა ამ შემთხვევაში წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს; მთავრობის სათავეში წამოასკუპეს მუშათა კლასის წარმომადგენლები, მთელი ძალა-უფლება სახელმწიფო მართვა-გამგეობის მაკდონალდს და მის ამხანაგებს ეკუთვნის, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ ეს „მუშათა კლასის წარმომადგენლები“ რას აკეთებენ მთავრობის სათავეში? მუშათა კლასის საქმეს თუ ბურჟუაზიის საქმეს? „რა თქმა უნდა მუშათა კლასის საქმეს“?

უმუშევრებს, რომ საქმე ვაუჩინონ სამხედრო გემებს აშენებიებენ, რათა უსაქმოდ არ დარჩენ ინგლისელი მუშები და აი ამიტომ ამზადებენ ამ საომარ გემებს.

აქ არის ბურჟუაზიის გამოცდილი ხელის „ლამაზი“ საქმიანობა. თავის საქმეს მუშათა კლასის წარმომადგენლებს აკეთებინებენ.

გადავავლოთ ეხლა თვალი, რა ხდება სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი, მაგ. საფრანგეთში, სადაც „მოლიბერალო“ ხალხს ჩააბარეს ძალა-უფლება ერიოს სახით, რომლის მორიგ ამოცანას შეადგენს ხელახალი წამება გერმანიის ხალხის დევნა კომუნისტებისა; ასეთივე მთავრობების მოლოდინში არიან სხვა ბურჟუაზიული ქვეყნებიც. „სოციალისტ“ ვანდერველდეც ეპირება, როგორც მისი სიტყვიდან სჩანს, ურევოლიუციო გადატრიალება მოახდინოს ბელგიაში. მაგრამ გარყვნილი ბურჟუაზია მარტო ურევოლიუციონური გადატრიალებით არ კმაყოფილდება. თავის ბატონობის შესანარჩუნებლად მას აქვს კიდევ სხვა გზაც; ეს არის თეთრი ტერორი.

„განათლებული“ ევროპიდან ყოველდღე მოდის ცნობები თუ, როგორ სდევნიან კომუნისტებს და მებრძოლ რევოლიუციონერებს.

ევროპის მუშათა კლასის ერთი ნაწილი საკვებით დარწმუნდა, რომ სხვა გზა არ არსებობს ბრძოლისა, გარდა პირდაპირი შეტევისა და ასეთი ბრძოლისთვის თავგამოდებით გადადიან შეტევაზე პროლეტარულ რიგებიდან. რის დამამტკიცებელიც არის მათი აქტიური გამოსვლები გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ბულგარეთში და სხვა ქვეყნებში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აღმოსავლეთს, სადაც ნელ-ნელ ფეხს იკიდებს სოციალისტური რევოლიუცია. ასეთია იაპონია-ინდოეთი.

ჩვენთვის აშკარაა ორ-კლასთა ბრძოლა; ბურჟუაზიის შემოტევის ტაქტიკა და მეთოდი.

ჩვენ მოვალეობას კი შეადგენს ამ მხრით ზურგი გაუმაგროთ ჩვენ მოძმე ამხანაგებს, როგორც მატერიალურად ისე მორალურად, რათა მათ მეტი ხალისი და უნარი ექნეთ ბრძოლისა. ამ მხრით „რემედასსი“ საუკეთესო ორგანიზაციას წარმოადგენს ამხანაგების ზურგის გასამაგრებლად. ყოველი ჩვენთაგანის მოვალეობა არის გახდეს წევრი ამ საზოგადოებისა, რათა ძალას-ძალა დაუპირისპირდეს; თუ ჩვენ ამ საზოგადოებას სულით და გულით ამოუდგებით გვერდში და სიმშილით არ მოვკლავთ ჩვენი მებრძოლ ამხანაგების ცოლშვილს, გამარჯვებაც ჩვენ მხარეზე იქნება ყოველივე ეჭვის გარეშე. ბურჟუაზია კი აუცილებლად დამარცხდება.

და შორს არ არის ის დრო, როდესაც მთელი მსოფლიო გაწითლდება და მშრომელი კლასის ამდენი ხნის ტანჯვა-ვაება, შეიცვლება მშრომელთა დიქტატურით.

მ. ბ—ძე.

ციხეები და წამებანი ვერ უშველიან რუმინეთის გოლიარებს

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება მთელი ქვეყნის კომპარტიის ორგანიზაციების, მუშებისა, მშრომელი გლეხობისა და დამონებული ხალხებისადმი.

რუმინეთის ბანკირებსა და ბოიარებს არა სურთ დუნაის იქითა მხარის თეთრ-გვარდიელებს ჩამორჩენ. მას შემდეგ, რაც ბულგარეთის ბურჟუაზიამ მხეცურად გადაუხადა სამაგიერო რევოლიუციონურ მუშებსა და გლეხებს, ეხლა რუმინეთის პროლეტარიატი და მისი კლასობრივი ორგანიზაციები ქვეყნის ბატონ-პატრონი კლასის შემოტევის ქვეშ მოექცა.

ახლო წარსულში აფეთქებულ ფაშისტურ უწესოებების მოსპობის მომიზეზებით, რუმინეთის მთავრობამ განსაკუთრებული წესები გამოაცხადა მხარეში. ციხეებს კი არა ფაშისტებით, არამედ მუშებითა და მშრომელებით ავსებს. კომუნისტური გაზეთები და აგრეთვე პროფკავშირების საერთო გაერთიანებანი აკრძალულია. მთელს მხარეში დევნა გრძელდება. კომუნისტურ და პროფმოძრაობის ყველა მონაწილე ამხანაგები დატყვევებული არიან. მუშებს სდევნიან. არავითარი მუშათა გაზეთი, ან მუშური კრებები ნებადართული არ არის ციხეებში ამხანაგებს საშინლად აწამებენ. პროტესტის ნიშნად გამოცხადებული სიმშილობანი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცენ.


რუმინეთის დამცველი რაზმი უფრო სასტიკად და უსირცხვილოდ ბობოქრობს, რუმინეთის მიერ ანექსია ქმნილ ოლქებში. ჰუნგრეთის, რუმინეთისა და ბესარაბიის გლეხები ხელ-ახლად განიცდიან ტეროროის საშინელ წამებებს.

რუმინეთის ბანკირებმა და ბოიარებმა, რომლებიც თავის თავს ბარბაროსული აღმოსავლეთის საზღვარზე „ევროპის ცივილიზაციის“ მცველებათ სთვლიან, ჯერ კიდევ 1907 წელში გამოამჟღავნეს თავისი მტაცებლური ბუნება, როცა მათ ჩააქვრეს გლეხების აჯანყება, და რამდენი ათასი უმიწაწყლო გლეხი დახვრიტეს. მაგრამ მას შემდეგ, როცა რუმინეთის პლუტოკრატიამ მიითვისა სხვა სახელმწიფოებისაგან ჩამოგლეჯილი ვეებერთელა ოლქები, რაც დარბეული და შევიწროებული მუშა-გლეხთა მასების უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო იზრდება, -- მას შემდეგ თეთრმა ტერორმა ბრძანებელი სისტემის ხასიათი მიიღო სახელმწიფოში.

დაუვიწყარ დღეთ დარჩება 10 დეკემბ., 1919 წ., როცა ერთ დემონსტრაციის დროს ბუქარესტში ტყვიის მფრქვეველებით დახვრეტილ იქნა ას მუშაზე მეტი. 1921 წ. მაისში სოციალისტური პარტიის კონგრესის ყველა მონაწილენი დატყვევებულ იქნენ კომინტერნთან შეერთების შესახებ გამოტანილი რეზოლიუციისათვის. მას შემდეგ, რაც 14 თვის განმავლობაში ისინი საშინელ წამების ქვეშ იმყოფებოდენ ციხეებში, — გამართლებულ იქნენ სამართლის მიერ, როგორც უდანაშაულონი. — ციხეებში დაპატიმრებულნი განწირულნი არიან სასიკვდილოთ, რადგან მათ საშინელ ფიზიკურს და მორალურს წამებას აყენებენ.

ახალი მასიური დაპატიმრება და მასიური დევნა არის პასუხი კომპარტიის გაძლიერებისა, მუშათა მოძრაობის გაფართოვებისა და კომპარტიის ბრძოლისა მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის დაკლების წინააღმდეგ. იგი შედეგია გლეხებისათვის მიწების მიცემის, ნაციონალურ უმცირესობათა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობის და უუფლებობისა — სემიგორიის, ბუკოვინისა, ბესარაბიის და დობრუჯის მოსახლეობის თვითგამორკვევის სასარგებლოდ წარმოებული ბრძოლისა.

დევნა და შევიწროება რევოლიუციონურ მუშა-გლეხებისა იმ მომენტში ხდება, როცა რუმინეთის



პოლიციელებს მიყავთ დაპატიმრებული მუშები (გერმანიაში)

ბოიარები საბოლოოთ გახდენ იმპერიალისტური საფრანგეთის ვასსალები, როცა ისინი ჰკრავენ სამხედრო კავშირებს, იწყებენ გიგანტურ შენობებს, მასებისთვის სჭედავენ ახალ ბორკილებს და ქვეყნისთვის ახალ ავანტიურებს ამზადებენ. ამით მხოლოდ ისინი იმას ამტკიცებენ, რომ კომუნისტები არიან გადამჭრელი მოწინააღმდეგენი სამხედრო ავანტიურებისა, რომ ისინი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან მასების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.

რუმინეთის მთავრობა, რუმინეთის ბურჟუაზიასთან ერთად ფიქრობს, რომ მათ სძლიეს „შინაურ მტერს“, მაგრამ სტყუვდებიან. შინაური მტრები, —

ეს მილიონებია შევიწროებულთა, გაძარცულ და წამებულ მუშა-მოსამსახურეთა და გლეხობისა, ეს მთელი მშრომელი ხალხია. ამ მილიონიან მუშათა კლასის წინააღმდეგ მთავრობა სუსტია, მას არ შეუძლია თავისი მოწინააღმდეგე დაამარცხოს. მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც არჩეულ იქნება შევიწროებულ ხალხის უმრავლესობის მიერ, განახორციელებს ამ გაწამებული ხალხის თვითგამორკვევის უფლებებს და ყოველივე მიზეზს გარეშე,—კაპიტალისტებზე და ბოიარებზე გამარჯვებას იდღესასწაულებს.

რუმინელ აახანაგებო!

იყავით უშიშარნი ბრძოლაში. უკან არ დაიხიოთ. მტკიცეთ და მტკიცეთ შეჰკარით წყებები პოლიტიკურ თავისუფლებისათვის, მბრძანებელ კლასის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიენდევით კომპარტიას, ამ მოწინავე მებრძოლს მუშათა კლასისას სოფლისა და ქალაქის მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

კომუნისტებს სდევნიან, აწამებენ, სისხლიდან სცლიან, მრავალი დაიღუპა ჭრილობებისაგან, მაგრამ ისინი ცოცხლები არიან. ისინი კიდევ და კიდევ იკვლევენ გზას ქარხნებსა და ყანებში მომუშავეთაკენ. შეუდრეკელი ნდობა მათდამი მალე გამარჯვებას მოგანიჭებთ თქვენ. რუმინეთის კომუნისტები და კლასიურად შეგნებულნი მუშა-გლეხები მართონი არ არიან თავის ბრძოლაში. მთელი ქვეყნის მუშები და გლეხები მათი მტკიცე და ძლიერი მოკავშირენი არიან.

გაუმარჯოს რუმინეთის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს რუმინეთის პროლეტარულ ორგანიზაციებს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ბრძოლას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

კომინტერნის აღმასკომი.

24 აპრილი 1924 წ.

ცანკოვის ქვეყანაში

დღევანდლამდე ბულგარეთიდან მოდის კანტიკუნტი ცნობები. ბულგარეთის მთავრობამ თავის ქვეყანას შემოავლო სასტიკი ცენზურის ჩინური კედელი. იშვიათად მოაწევს ხოლმე ცნობა ვრანგელელებისა და რეაქციონერების მიერ ბულგარეთის გლეხებზე და მუშებზე ჩადენილ მხეცობის შესახებ.

ბულგარეთის ყველა საპატიმროები გავსებულია რევოლიუციონერ მუშა-გლეხებით. ციხეები ვერ იტევს ყველა დაპატიმრებულთ, რომელთა რიცხვი ათი-ათასამდე აღწევს, ბევრს სასწავლებელს გაუკეთეს რეკვიზიცია, კერძო დიდი შენობები ციხეებათ არის გადაკეთებული. ბოლგარეთის მებრძოლი რევოლიუციონერები, ოცობით და ხშირად ორმოცდა ათობითაც არიან თითო ოთახში მოთავსებულნი. ასეთ წარმოუდგენელს სივიწროვეში ატარებენ მთელ თვეებს თავიანთი ბედის გადაწყვეტის მოლოდინში. სალამოობით ციხის ოთახებში შეცვივდებიან ხოლმე ადმინისტრაციის მთვრალი წარმომადგენლნი, და ერთი მეორეზე გამოჰყავთ დაპატიმრებულნი შენობებიდან. სცემენ მათ რეზინის მათრახებით და შემდეგ შეიყვანენ ხოლმე უკან ოთახში თითქმის გრძნობა დაკარგულებს. დაპატიმრებულთ ეკრძალებათ კითხვა წიგნისა, გაზეთისა, ეკრძალებათ აგრეთვე რაიმეს გადაცემა გარეშე პირებისგან. აკრძალული აქვთ შეხვედრაც ვისთანაც არ უნდა იყოს იგი. გადასაცემად მიტანილი რაიმე სანოვაგეს თვით მეციხოვნენი იყოფენ, პატიმართ კი გადაეცემათ ხოლმე ნაჭამი კალბასის ქერქი, ძვლები – ხორცისა და თევზისა. ძნელია უფრო მეტი დაცინვის წარმოდგენა, ვიდრე ის, რომელსაც განიცდიან ბულგარეთის ციხეების პატიმრები. ეს უკანასკნელნი ნათესავების ხარჯზე იკვებებიან. იმ ფულიდან, რომელსაც ნათესავები გადასცემენ, პატიმრები მოვალენი არიან იყიდონ სურსათი ციხის საწვრილმანოში, ნაწილი ამ ფულის კი იფლანგება თვით ადმინისტრაციის მიერ. ამ საწვრილმანოებში პატიმრებს კიდევ ატყუებენ და მათ ექსპლოატაციას ეწევიან.

ამრევი.

საოლქო ციხე ქ. ძველ ზაგორში

საოლქო ციხე ქალაქის ცენტრშია. შენობა ძველია, ორსართულიანი, კედლები სქელი ქვისა, შიგნით მუდამ სინოტივე, უსუფთაობა. მთელი ციხის სიგრძეზე გაჭიმულია გრძელი, ვიწრო, და ძველი დერეფანი, რომელიც ნახევრათ ყოფს შენობას. დერეფნის ორივე მხარეს მოთავსებულია პატიმართა საკანები. სულ 23 საკანია. ყველას თითო პატარა ფანჯარა აქვს რკინის ბადით, სადაც არას დროს არ ატანს მზის სინათლე: ამას ხელს უშლის კედლის სისქე. საკანის სიგძე 6—10 არშ., სიმაღლე—3 არშ., თითოში 15—20 კაცია მოთავსებული. ხის საწოლები მხოლოდ 5—6 კაცს თუ ყოფნის, დანარჩენები იატაკზე იძინებენ. უკანასკნელ 7 თვის განმავლობაში პატიმართა უმეტესობა დასნეულდა—ლოგინისა და სუფთა ჰაერის უქონლობის გამო.

ღამით—საღამოს 6 საათიდან დილის 7 საათამდე საკანები იკეტება და პატიმართ უხდებათ დარჩენა მოწამლულ ატმოსფერაში. დღისით სეირნობა არის ციხის პაწაწკინტა ეზოში, რომელიც სიგძით – 20 მილიმეტრი, სიგანით კი 10 მილ. ხოლო, რადგანაც „თავისუფლებაზე“ გამოშვებულთა რიცხვი, როგორც ჩვეულებრივად, დიდია, პატარა ეზო არაა საკმარისი,

არამც თუ სეირნობისათვის, არამედ მიბრუნება-მობრუნებისათვისაც კი.

პატიმართა სავსებით მოსაწყვეტათ გარეშე ქვეყნიერებისაგან ფანჯრები გარედან დალურსმულია ფიცრებით.

ამგვარ მძიმე პირობებში, სინოტივეში, უჰაეროთ, უსაქმელოდ და ულოგინოთ იმყოფება რამდენიმე ასეული ახალგაზრდა ამხანაგი, სექტემბრის აჯანყების მონაწილენი.

ბურჟუაზიამ ყოველგვარი საშვალება მოუსპო მათ. მაგრამ ვერ აღმოფხვრა მათში ის სამარი განწყობილება, რომლითაც ისინი გამსჭვალულნი არიან იმის მოლოდინში, რომ დადგება საჭიროება რიგების ხელახლად შესამჭიდროებლად მუშურ-გლეხურ სიმართლისა—კომუნიზმისათვის საბრძოლველად.

ამ ჟამად ქ. ძველ ზაგორის ციხეში იმყოფება 350 პოლიტიკური მოღვაწე. მათ შორის 170-დე ძვ. ზაგორის კომუნისტია. აი სახელები ზოგი მათგანისა:

ციპორანოვი—კოსტა ხრისტოვიჩის ძე—(ნაფიცი ვექილი), სახალხო საკრებულოს ყოფილი წევრი; სტანევი მიია—მასწავლებელი,—ყოფილი წევრი სახალხო საკრებულოსი; დოქტორი ნეიჩევი მინჩო,—პარტიის საოლქო (საგუბერნიო) კომიტეტის წევრი.; ნაჩევი გიორგი (ნაფ ვექ.), პარტიის საოლქო კომიტეტის წევრი.; ალექსეევი ივანე—(პარიკმახერი)—პარტიის საოლქო კომ. წევრი. დასკალოვი ტაჩო, საოლქო ორგანიზატორი პარტიისა ძვ. ზაგორის ოლქში.

ამხანაგები შეპყრობილ იქნენ 1923 წ. 12 სექტემბერს, აჯანყების წინა დღით. მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი დატყვევებულები იყვნენ და აჯანყებაში არავითარ უშუალო მონაწილეობას არ იღებდენ, მათ წინააღმდეგ წაყენებული იყო ბრალდება ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსის 19 მუხლით, როგორც ორგანიზატორებისა და აჯანყების მომწყობთა წინააღმდეგ ძვ. ზაგორის ოლქში.

ახალ ზაგორაში დაპატიმრებულია 113 კ., რომლებიც სხედან საოლქო ციხეში. აი ზოგიერთების გვარები: ქ. ძვ ზაგორიდან: ენევი პეტკო (ნაფ. ვექ.), ბულგარეთის კომპ. პარტიულ საბჭოს წევრი და მდივანი მისი საოლქო კომიტეტისა ქ. ძვ. ზაგორში. კოლაროვი მინჩო, ივანოვი მინჩო (თერძი), მიფლიშვი მინჩო, სტრელოკი სლავი, ახმაკოვი ივანე, გენჩევი დენიუ, მოტევი ივანე, ტალასამოვი პეტრე, კარა-სლავოვი ივანე, პეტროვ მომჩინ, ვასილიევ მინჩო, ვასილიევ ივან, ლალევ ტრიფონ და სხვები.

კომუნისტებს გარდა - აქვე სხედან გლეხთა კავშირის წევრები: სახელდობრ: დრაგნევი გიორგი — (სახალხო საკრებულოს წევრი), ჩამოვი (აგრეთვე), გოჩევი გენჩო, ივანოვი (მაიორი), ვალკოვი ივანე (კაპიტანი), აბაჯიევი, სტოინო, (კაპიტანი), შესილევი ივანე, დრანდრევსკი მიჩნო (წევრი საგუბერნიო ერობისა).

„რემედასს"-ი და აღმოსავლეთის ხალხები

კოლონიების დაჩაგრული ხალხები ირაზმებიან იმპერიალისტების საუკუნოებრივი დამონების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა ყოველ დღე ითხოვს სულ ახალსა და ახალს მსხვერპლს. „რემედასს" არ შეუძლიან და არც უნდა აუხვიოს გვერდი კოლონიების განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ მხრით ნათელ მაგალითს სოლიდაროზისას იჩენენ ს. ს. რ. კ. აღმოსავლეთის ხალხები. თურქესტანი, კავკასია, ყირგიზეთი უწოდებენ დახმარების ძმურ ხელს თავის აღმოსავლეთის ძმებს.

„დემოკრატია" მუშაობაზე.

(როიას წერილი)

კაპიტალისტური ქვეყნების „დემოკრატიული", „სოც.-დემოკრატიული" და „მუშათა" მთავრობები ცილს სწამებენ საბჭოთა რუსეთს, რომ ის ინახავს ციხეებში სხვა და სხვა „სოციალისტებსა" და „დემოკრატებს". ამ საფუძვლით მე-2 ინტერნაციონალის სხვა და სხვა მოღვაწეები ქება-დიდებას ასხამდენ „დემოკრატიის" პრინციპს, რომელსაც ისინი უპირისპირებენ „დესპოტიზმსა" და „დიქტატორობას", საბჭოთა ხელისუფლებისას. ჩვენ გულახდილად ვალვიარებთ, რომ მუშათა კლასის გასამარჯვებლად ჩვენ ვდევნიდით და კიდევ დავუწყებთ დევნას ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონერებს, იმისდა მიუხედავად, გახვეულნი არიან თუ არა ისინი მუშათა კლასის მეგობართა ტანსაცმელში.

მაგრამ იმისთვის, რომ ჩამოვაცალოთ სახედან ყალბი ნიღაბი „დემოკრატიულსა" და „სოციალისტურ" მთავრობებს, მრავალი ფაქტებითა და ციფრებით ვაშუქებთ ამ მთავრობების მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია მუშათა კლასისა და დემოკრატიულ-ნაციონალურ მოძრაობის წინააღმდეგ. დავიწყოთ ინგლისელების კოლონიებიდან.

ი ნ დ ო ე თ ი

1. ჯერ ისევ ომიანობის დროს შეპყრობილ და დაპატიმრებულ იქნა და მოთავსებული ციხეში ან საკონცენტრაციო ბანაკში 3 ათას კაცამდე. მათ შორის ნაწილი გაძლიერებულ დაცვის შესახებ გამოცემული კანონის ძალით, ან 1918 წელს № 111 გამოცემულ ადმინისტრატიულ ცირკულიარის საფუძვლით იქნა შეპყრობილი. პატიმრებისთვის არა-

ვითარი კონკრეტიული ბრალდება არ წარუდგენიათ. ომის შემდეგაც გრძელდებოდა რეპრესიები ინდოეთის მშრომელი კლასის წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, 1919 წ. შესანიშნავი რამ მოხდა.

2. ამრიტცარის ჟლეტა. უიარაღო დემონსტრაცია შემორტყმულ იქნა ჯარებით, რომელმაც სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. თუ როგორ არ სურდათ ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ შემთხვევაში გაერჩიათ მტყუანი—დამნაშავისგან სჩანს იქიდან, რომ დემონსტრანტებს ჰაერობლანიდან ყუმბარების სროლა დაუწყეს. შედეგად—აუარებელი მოკლულ-დაჭრილი—მამაკაცი, დედაკაცი, დიდი, პატარა, განურჩევლად ხნოვანობისა. ამას მოჰყვა დაპატიმრებაც აუარებელ ხალხისა, რომელნიც რამოდენიმე თვეობით ჰყავდათ ციხეებში ბრალდების წაუყენებლად. თანამდებობის პირებმა, რომელთაც პასუხი უნდა ეგოთ ასეთი მხეცობისათვის მიიღეს მადლობა და საჩუქრები იმისათვის, რომ მათ მოახერხეს „დაეცვათ პრესტიჟი ბრიტანეთის ძლიერებისა“.

1922 წლის თებერვალში შემდეგ მოვლენას ქონდა ადგილი:

3) ჩორი-ჩორაში ჟლეტა. სოფ. ჩორი-ჩორაში გლეხებმა მოაწყვეს დემონსტრაცია და წამოაყენეს წმიდა ეკონომიური მოთხოვნილებანი. მოძრაობა მიმართული იყო ადგილობრივ მემამულეთა წინააღმდეგ, რომელნიც ღატაკ მოიჯარადრეებს ართმევდენ მიწებს და ქოხებს, ხოლო გლეხ-მოიჯარადრეთა გაღატაკება მოხდა იმიტომ, რომ ომიანობის დროს ამ მოიჯარადრეებს ძალდატანებით ხარკს ართმევდენ მაშინ, როდესაც, გაძლიერებულ ექსპორტის გამო პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები საგრძნობლად იწევდენ; დემონსტრაციები მაშინ მრავალ ადგილას იმართებოდა. ბრიტანეთის მთავრობამ, რასაკვირველია, დაიჭირა ადგილობრივი მიწათ-მფლობელების ინტერესების დამცველის პოზიცია. და აი, როცა დემონსტრანტები ჩორა-ჩორასი მიდიოდენ აღნიშნული სოფლის საპოლიციო უბნისაკენ, პოლიციამ მათ სროლა აუტეხა. მაშინ გლეხებმა იერიშით აიღეს უბანი, სადაც ამ ბრძოლის დროს ბევრი შენობა დაიწვა, და რამდენიმე პოლიციელიც იქნა მოკლული.

დემონსტრანტები უფრო სასტიკად დაზარალდენ. ხოლო ამ ისტორიის შემდეგ სოფლებში 172 კაცი შეპყრობილ იქნა, რომელთაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. რვა დასაჯეს, დანარჩენებს „აპატიეს“—ე. ი. მიუსაჯეს სამუდამო ციხე. ამას უნდა დავუმატოთ რომ, როდესაც პროვინციის გუბერნატორი პოლიციელებისთვის დადგმულს ძეგლსა ხსნიდა, იმ პოლიციელებისა, რომელნიც ინდოეთის მიწათმფლობელების ინტერესებს იცავდენ, იმ დროს ინგლისის კომუნისტების ორგანო იმ დღეს გამოსული, დახურეს და აკრძალეს. გაზეთის სახელწოდება იყო „მუშათა ყოველკვირეული“. მიზეზი მისი დახურვისა იყო ის, რომ გაზეთი მოუწოდებდა ბრიტანეთის პროლეტარიატს ეცადონ სიკვდილით დასჯა ეპატიოს გლეხებს.

4) 1920 წლის ბოლოს და 1922 წლის დასაწყისში ინდოეთში შეპყრობილ იქნა 20 ათასი გლეხი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მშვიდობიან ამხანაგობაში—„არა თანამშრომლობისა“. ასობით ხალხს მიესაჯა დატყვევება ძალიან დიდი დროით. მოძრაობის ხელმძღვანელს—განდის—6 წლით. ბევრი დღევანდლამდე იხდის სასჯელს.

5) სექტემბერ-დეკემბერში 1923 წ. კალკუტაში შეიპყრეს და ჩასვეს ციხეში 18 კაცი, კიდევ იმ გაზვიადებულ 1918 წლის ცირკულიარის ძალით. ბენგალიის საკანონმდებლო საბჭომ მოითხოვა მათი განთავისუფლება, ან კანონიერ სამართალში მიცემა. გუბერნატორმა უპასუხა, რომ ეს ხალხი მავნებელი არის საზოგადოებრივი მყუდროებისათვის, რადგან მათ კავშირი ჰქონდათ მე-III ინტერნაციონალის აგენტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბენგალიის საბჭოს ამორჩეულ წევრთა უმეტესობა მხარს უჭერდა რეზოლიუციას, მთავრობას მაინც ისინი დღევანდლამდე ციხეში ყავს გამომწყვდეული;

6) 1923 წ. დეკემბერში შეპყრობილი იქნა კიდევ შვიდი კაცი.

7) 1923 წელს დაიწყო მშვიდობიანი დემონსტრაციები სიკხებისა (ადგილობრივი ტომია). დემონსტრაციები სწარმოებდა მთელი ტომის მიერ ლეგალურად ამორჩეულ კომიტეტის ხელმძღვანელობით. ამ კომიტეტის მიზანი იყო რელიგიური რეფორმების გატარება და აგრეთვე გადაცემა საზოგადოებრივ მფლობელობაში იმ დიდი მიწებისა, რომლებიც სამღვდელოებას ჰქონდა დატაცებული და აი ამ მშვიდობიან დემოისტრანტებს პოლიცია სცემდა მხეცურად და აპატიმრებდა. დაპატიმრებულთა რიცხვი ერთ დროს ადიოდა 25 ათასამდე. ზემოაღნიშნული კომიტეტი დათხოვნილ იქნა და 40 კაცი მისი შემადგენლობიდან დააპატიმრეს. ამ დაპატიმრებას მოჰყვა კიდევ სხვა მრავალი დაპატიმრება. ბევრ დაპატიმრებულს მიუსაჯეს 2—7 წლამდე დატუსაღება, რის გამოც პატიმრები აქამდე იხდიან სასჯელს. სიკხების ყველა ორგანიზაციები გარეკილ იქნა.

დღევანდლამდე გაგრძელებულ ლოკაუტის გამო ბომბეის ბამბის ქარხნებში, ინგლისის გარნიზონი ხშირად იღებდა მონაწილეობას მუშების წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებში. მარტის დასაწყისისთვის ლოკაუტმა, რომელიც ორი თვე გრძელდებოდა, ძალიან დაასუსტა მუშები. სიმშილით სიკვდილის მაგალითებსაც ჰქონდა ადგილი. ამიტომ

მწარმოებლები შტრეიკბეხერების დახმარებით ადვილად ახერხებდენ მუშებში პროვოკაციის გავრცელებას. ფაბრიკის შენობებს დაუწყეს ქვების სროლა და ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იარაღი ყოფილიყო ამუშავებული. რამდენიმე მუშა მოკლულ იქნა, ბევრი დაიჭრა და ბევრიც დაატყვევეს.

ზემო-მოყვანილი ფაქტები, საკმაო ნათელსა ჰფენენ დიდი ბრიტანეთის „დემოკრატიულსა და მუშურ რეჟიმს“ ინდოეთში. ეს რეჟიმი გამოიხატება: 1) უცხო ტომის ხალხის არა ადამიანურ ექსპლუატაციაში, რაიცა იმ ზომამდე აღწევს, რომ სიმშილით სიკვდილმა ინდოეთში ჩვეულებრივი სახე მიიღო; 2) ინდოეთის პოლიტიკურ რეჟიმში, რადგან ადგილობრივი მცხოვრებნი სრულიად უფლება აყრილნი არიან, მათი ბედი სავსებით ადმინისტრაციაზეა დამოკიდებული, რომელიც სარგებლობს დრო მოჭმულ და დახავსებული ადმინისტრატიული ზომებით; 3) ინდოეთის საზოგადოებრივი აზრის სავსებით აბუჩათ აგდებაში, თვით არჩეულ ოფიციალურ ორგანოების აზრისაც კი; 4) ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოსახელეობის მხოლოდ იმ კლასისათვის მფარველობის აღმოჩენაში, რომლებიც ეხმარებიან ბრიტანეთის ბურჟუაზიას მშრომელი მასების ფართე ექსპლატაციაში; 5) ყველაზე საშინელ და არა ადამიანურ წესების გამოყენებაში, ადგილობრივი მცხოვრებლების დემოკრატიულ განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ.

პ ა ლ ე ს ტ ი ნ ა

დიდი ბრიტანეთის „დემოკრატიული“ იმპერია, არ აძლევს რა გასაქანს ასეულ მილიონიან ინდოეთის ხალხის ეროვნულ მოძრაობას, მეტად გულუხვობას იჩენს, როცა საქმე ბურჟუაზიის მცირე ჯგუფებისათვის ნაციონალურ დათმობას შეეხება. ჰსურს რა მიიზიდოს თავის მხარზე საერთაშორისო ებრაელი ფინანსისტები, რომელნიც გულ-უხვ კრედიტებს აძლევენ ანტანტის ქვეყნებს სამხედრო ვალებში, ანტანტამ ჩააბარა პალესტინის მმართველობა ინგლისელ—ებრაელ კაპიტალისტთა ჯგუფს. ეს პოლიტიკური ვაჭრობა იფარება „ებრაელი ხალხისთვის „ტერიტორიის შექმნის“ ლოზუნგით. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს „ეროვნული თვითგამორკვევა?“.

პალესტინის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არაბების ღარიბი ხალხი შეადგენს. ინგლისელი კაპიტალისტების მფარველობის ქვეშ მყოფი „ებრაელი ეროვნება“ პალესტინაში შეადგენს მცირე რიცხოვანს სავაჭრო-სამრეწველო კლასს, რომელიც არაბების არა ადამიანურ ექსპლუატაციას ეწევა.

როდესაც ამგვარ ეროვნულ და ეკონომიურ შეიწროებით აღელვებულნი არაბი—ღატაკები დაიწყებენ მოძრაობას, მაშინ ებრაელ ბურჟუაზიის განკარგულებაში ჩნდება ინგლისური არმია. — პალესტინის ციხეებში დღევანდლამდე სხედან მრავალი არაბები, როგორც ეროვნულ მოძრაობის მონაწილენი.

თუ „მბრძანებელ“ ეროვნებაში—ებრაელობაში დაიშვრის ხმა ამგვარ სისტემის გამკიცხველთა თუ ებრაელი მუშები, შეიწროვებულნი ებრაელი ბურჟუაზიის ექსპლოატაციით—გაილაშქრებენ არაბებთან ერთად საერთო-მტრის, ებრაელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მაშინ ინგლისის მთავრობის მფარველობის ქვეშ მყოფი ებრაელი ბურჟუაზია აპატიმრებს მათ.

ასე, პალესტინის ციხეებში 8 ებრაელი მუშაზის, რომელთაც ბრალი ედებათ ებრაელ და არაბ მოსახლეობაში „კომუნისტური პროპაგანდის“ გაწევაში.

ეს სურათი ნათელი დამტკიცებაა იმისა, რომ ექსპლუატორთა კლას სამშობლო არა აქვს.

საკანების რკინის მოაჯირებიდან და კარებიდან გავუწოდოთ ძმური დახმარების ხელი კაპიტალის ტყვეებს.



ძველებური ციხე ქ. არეცცოში (იტალია), სადაც 60 კაცამდე კომუნისტია მოთავსებული

ციხის დღიურები

გერმანიიდან გამოგზავნილ წერილებიდან, დღიურებიდან და კორესპონდენციებიდან.

„სიკვდილს მაინც დაელოცნა“

ჩემი პატარა საკანის მეზობელმა მოხუცმა ოტტომ გუშინ შებინდებისას დაბიკაკუნა: შენი საქმე სამშაბათს ირჩევა. როზას ნება მისცეს ხვალ შენთან შეხვედრისა, ოტტო 57 წლისაა. ამათგან 20 წელიწადი ციხეებში გაატარა ამ ხნის განმავლობაში დაწერილებით შეისწავლა მეფების დ სოციალისტების ტერორი. ციხეში ჯდომისას ის გრძნობს მაჯის ცემას არა მარტო ციხის ცხოვრებისას, არამედ მთელი ქვეყნისას რურამდე. მან იცის საქმის მდგომარეობა ყველა სამრეწველო რაიონებში, რაღაც განსაცვიფრებელი, და მხოლოდ მისთვის და ზოგიერთ მისი ამხანაგების ნაცნობი გზებით ჩახედული არის იატაკ ქვეშეთის ცხოვრებაში. მან იცის ბევრი რამ ისეთი, რის შესახებაც ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვებათ თავისუფლათ მყოფ ამხანაგებსაც——მოხუცი ოტტო! ჩვენ მას პროფესიონალ რევოლიუციონერს ვეძახით.. მაგრამ ეს სავსებით სწორი არ არის, ის უფრო, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე პროფესონალი. ჭაღარით შემოსილი გამხდარი. თითქოს შიგნიდან მოელვარე დიდი ლურჯი თვალებით; იგი მოთავსებულია საკანში, სადაც „სოციალისტურ“ ჰებერტის მთავრობამ შეაგდო ის ზის და ყურს უგდებს მილიონი მუშათა გულის ცემას. მას შეუძლია ეწამოს მათი წამებით, იფიქროს მათი ფიქრებით. ეხლა როგორ ეწამება, სხვებისთვის, რომლებიც ციხეში არიან ჩაყრილი, ხელფეხი შებორკილი აქვთ და ნანობენ ცოცხალ რევოლიუციონურ ბრძოლაზე! აი გუშინაც დამიკაკუნა: „გვჯერა შენი სიფხიზლე“—მე ვიცი, რის თქმაც უნდოდა მოხუცს: მათგან შეწყალების იმედი—დიდი გულუბრყვილობაა, მზად იყავ უფრო უარესისათვის, მაგრამ გამაგრდი, ჰაბუკო, ჩვენი საქმე არ დაიღუპება. ვიცი, რა უყოთ, მე მზად ვარ! ერთი წუთითაც არ ვინანებ იმას, რაც გაკეთდა. აჯანყება არ მოხერხდა. ჩვენ დარბეულნი ვართ. ზეგ სასამართლო, „სწრაფი და მიუკერძოებელი“. მაგრამ იფეთქებს ახალი აჯანყებები, რომელთა ჩაქრობაც არავის არ ძალუძს.

* * *

საცოდავი ავადმყოფი და როზა. სამი კვირის წინეთ ის დაითხოვეს ქარხნიდან იმისთვის, რომ კომუნისტის და არის. მან პროტესტი განაცხადა. გულუბრყვილო!—ის წავიდა ქარხნის კომიტეტში, სადაც ოთხმოცი პროცენტი „სოციალისტები“ არიან. სოციალისტებმა მოისმინეს ქალის პროტესტი და ღიმილით უთხრეს: ადმინისტრაცია, სამწუხაროდ, მართალი არის, მოძებნეთ ადგილი იქ, სადაც თქვენ ძმას არ იცნობენ. ქალი უმუშევართა მრავალ რიცხოვან რიგებში მოექცა. რით ცხოვრობს? საიდან მოულობს საზრდოს თავის პატარა ძმის შესანახად? გულუბრყვილო და კეთილი! დღეს მან მოიტანა ხორციანი სადილი და ერთი წყვილი თბილი საცვალი, ის დარწმუნებულია, რომ ამ მესაჭიროება და არ იცის, რომ ზეგ მიუკე- „რძოებელი ჩქარი სასამართლო“ გაარჩევს ჩემს საქმეს, რომლის შემდეგაც მის ძმისთვის არავითარი საცვლები აღარ იქნება საჭირო. იცი რა? დამ მითხრა: გაგანთავისუფლებენ და წავალთ ერთად რუსეთში. შენისთანა კვალიფიციური ტეხნიკების იქ დიდ საჭიროებას გრძნობენ, მეც გამოვდგები რამეში: რუსები ხომ საზღვარ-გარეთიდან იწერენ, ექსტრატებს მაშინ, როცა ადგილობრივ შეიძლება მისი მომზადება. მართალია ხომ?

გამშორდა ცოცხალი, ბედნიერი, დარწმუნებული იმაში, რომ სასიხარულო დღე უსათუოდ დადგება, როდესაც მე და ის ერთად სოციალისტურ სამშობლოს საზღვარზე გადასვლისას, დავეკონებით სულ სხვა, ნამდვილ შრომის და თავისუფლების მიწას, მაგრამ წინ სულ სხვა სინამდვილეა.

* * *

განაჩენი განაჩენია და სხვა არაფერი. „შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის სიკვდილით დასჯა“.

* * *

გავიდა დღე. ნერვები დაჭიმულია. სულს აღფრთოვანება ეძლევა. საკანის ჩუმი კედლები და ბორკილები ფსიხოლოგიურად აღარ არსებობენ. თითქოს იმათ იქით ვცხოვრობ; ცხოვრების გზა დალეულია. და თითქოს განსაცვიფრებელ როიალზე ამოაკვნესებს სიტყვებს: ოტტო! ყური დამიგდეთ... სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი მაქვს... სულით მაგრათ ვარ და მწამს, რომ თქვენ გაიმარჯვებთ. პასუხი: „ჩემო მეგობარო, მე ყველაფერი ვიცი მაგრამ ნუ ჩქარობ; დარწმუნებული ვარ სიკვდილით დასჯა შეგეცვლება „დაპატიმრებით“. ეს უკეთესი. რევოლიუციას მოვესწრებით.

და უცებ სულს გაჭანება მოსწყდა. ცეცხლი ჩაქრა ძარღვებს რომ ანათებდა. ბორკილები მოუთმენლად იწვიან დაბლა—ქვის იატაკისაკენ...

* * *

მართალი გამოდგა ოტტო: სიკვდილით დასჯა შეცვლილი იქნა სამუდამო ციხით. საძაგელი აყროლებული დღეები. ჭერიდან სცვივა და ნახვრეტებიდან გამოდიან სხვადასხვა გვარი ჭიები. ნახევარი საათის გასეირნება ჭუჭყიან ეზოში, თბილი წყალი, გამხმარი პურის ნაჭერი. ბორკილები. ღრიალი ზედამხედველებისა, ჟანდარმების ყვირილი.

მაგრამ, ახლობელნო და შორეულნო! მე გული დამონებული მაქვს, საშინელებაა და ვფიცავ, დავლოცავდი სიკვდილს, დახვრეტას, წამებას, მხოლოდ კი გავსულიყავ ბატონ სოციალისტ ჰებერტის ამ ციხიდან...

სამჯერ მაწამეს. უკანასკნელად, როდესაც შეთქმულებაში მონაწილეობის ცილი დამწამეს, ჩემს გულ-მუცელზე ჟანდარმები ხტოდენ. მაგრამ ყველაფერი თავდება, მას შემდეგ ჩემს სხეულზე ჭრილობებიც მორჩა. არა უშავსრა: ჩვენს რესპუბლიკაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

მაგრამ სხვა ხასიათის წამებაც არის. იმას ეხლა განვიცდი ვალდგეიმის,—ჩემს ცხოვრებაში მეექვსე,—ციხეში, ეს წამებანი არა ფიზიკური, არამედ სულიერი ხასიათის არიან: უმაღლესი განკარგულებით ჩემი ამხანაგების მიერ ჩვენთვის შეძენილი ციხის ლარიბი (სამკითხველო) წიგნთ-საცავი ციხის ზედამხედველმა გადაიტანა საკუთარ სახლში. ჩვენ პროტესტზე მან გვიპასუხა: კითხვა არ გეკრძალებათ, მაგრამ ადმინისტრაციის ნებართვით თუ გსურთ თქვენი ხარჯით შეიძინეთ ლიტერატურა. ჩვენ ფული საპონზედაც არა გვყოფნის. ნათესავებმა მოგაწოდონო—იყო მოკლე პასუხი.

ამხანაგებო და მეგობრებო! ციხის ჩაშავებულ კედლებიდან თქვენსკენ მოვმართავთ ჩვენს მუდარას: წიგნაკები მოგვაწოდეთ, თუ არა, ფურცლები მაინც რამენაირად. საშინელი მოწყენილობაა. დაგვეხმარეთ დამშეულებს.

თოკით ყელში.

სამ ენაზე დაწერილი ცნობები კომუნისტებზე ამ მღალ:დებელ დაცინვის შესახებ, ჩვენ მივაწოდეთ მრავალ რედაქციებს, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ ბურჟუაზიული პრესა, ასე ხმა მაღლა რომ გაჰკივის ზეკლასიურსა და საკაცობრიო სამართლიანობის შესახებ—არა გაუშვებს ჩვენ წერილებს.

ამხანაგებო, თქვენ გწერთ! ბერლინ-ბრესლავი.ის მატარებელში, პირველი კლასის ვაგონში, რომელიც გავსებული ვალიუტით მოვაჭრეებით, სპეკულიანტებით, მაღალი—წრეების გარყვნილი ქალებით, რუს-თეთრგვარდიელთა ემიგრანტებით,—შემოჰყავთ კომუნისტი ბარტელი. ყელზე შებმული აქვს თოკი, ხოლო მისი მეორე თავი ჟანდარმს უჭერია ხელში. ბარტელი სასამართლოში მიჰყავთ. კო-მუ ნი-სტია!—ახსნა-განმარტებას აძლევს გარშემორტყმულ ხალხს უკან მოჰყოლი ჯარისკაცი. ჰა, დაჯიქი! ლრიალებს გაწითლებული სახის ჟანდარმი. ხალხი სიხარულშია —მე თქვენს ადგილას ბატონო, ჟანდარმო, ავიღებდი მაგას და ტელეგრაფის ბოძზე.. პრანჭვა გრეხით ჩაურთო სქელ ტუჩებიანმა ქალმა.

აი ამგვარი ვერაგებისაგან არის წარმომდგარი ჩვენი უბედურება,—უმატებს სპეკულიანტი, რომელმაც მარკის კურსის დაცემით მთელი ქონება შეიძინა. ცნობის მოყვარე ხალხი ამხანაგ ბარტელის გარშემო თანდათან დიდდება. დაცინვა საათობით გრძელდება. ხალხი კმაყოფილია. ჟანდარმიც კმაყოფილია. მგზავრების კლასიური გრძნობა სავსებით დაკმაყოფილებულია.

„გონება მახვილი“.

1924 წ. 8 თებერვალს, ლიუნებურგის ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა მუშა ეკკელი. ციხის წიგნებში მისი გვარის ქვეშ აღნიშნულია: „გონება მიხდილი, პოლიტიკური“.. თქვენ იცით რად მოჰყვა მუშა ეკკელი გონება მიხდილთა კატეგორიაში? რძისათვის. იმ რძისათვის, რომელსაც ის არა ერთხელ თხოულობდა ციხის ზედამხედველისაგან; ჩვენ არა ერთხელ გაგვიგონია, როგორ წყნარათ, თითქოს ბოდიშის მოხდით განუცხადებდა ბატონ ზედამხედველს: საშინელი ტკივილები მაქვს კუჭში. სისხლზე გავდივარ. ექიმი უარს ამბობს ჩემს გასინჯვაზე, იძახის, რომ ეს ავადმყოფობა—მოკლე ვადიანი მოვლენაა, რომელიც ადრე თუ გვიან გაივლის. მაგრამ მე ვგრძნობ, ბატონო ზედამხედველო, რომ, რაც უფრო ხანი გადის, მით უფრო უარესი მემართება. ერთსა გთხოვთ—ნუ მომცემთ ნურც ხორცს, ნურც პურს, ნურც არაფერს მაძლიეთ მარტო ფინჯანი რძე. გულითა გთხოვთ, ბატონო ზედამხედველო.—ზედამხედველის პასუხი:

„აქ გასასუქებლათ როდი მოგათავსესო“. და ჩვენ ვხედავდით როგორ ხმებოდა, ილეოდა და საკვირლად ყვითლდებოდა ჩვენი ამხანაგი მუშა ეკკელი.

ჩვენ კოლექტიურად დავეხმარეთ და ერთხმად გ ნ-ვუცხადეთ ადმინისტრაციას: კაცი კვდება, შეამოწმეთ. ჩვენ მუდარას ყურადღება მიაქციეს. ეკკელი წაიყვანეს, ხოლო ორი დღე ღამის შემდეგ გავიგონეთ: ეკკელი გონება მიხდილათ არის გამოცხადებულიო. სამი კვირის შემდეგ გავიგეთ, რომ ეკკელი გარდაცვლილიყო. მასთან ერთად ლაზარეთში მწოლარე ამხანაგები გადმოგვცემდენ: როცა დასაფლავების დღეს ეკკელს ტანსაცმელი გახადეს, მუცელზე რაღაცა შავი-ლურჯი ნიშნები ეტყობოდათ.

ფაშისტების შურის ძიება.

ჩემი ქმარი ხემნიცში პროლეტარული ასეულის ჯარისკაცი იყო. ერთი თვის წინათ დაჭერილი იქნა რეიხსვერის ჯარის კაცების მიერ. როცა ჩემმა ქმარმა ორს არისტოკრატიულს ყმაწვილს მიჰმართა მისი შეპყრობის ორდერი ეჩვენებინათ, მათ უპასუხეს: ძაღლებს უორდერებოთ იჭერენო; აშკარა იყო, რომ ამ ყმაწვილებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩემი ქმრის შეპყრობა საკუთარი ინიციატივით.


თვითგამართლების რადგან მეშინოდა, გონება დაკარგულმა, მოვავლე ჩემ ქმარს ხელი და განუცხადე ფაშისტებს, რომ ხელისუფლების განკარგულების გარეშე ქმრის შეპყრობას არ დავანებებდი.

უფროსმა ჯარისკაცმა თავში კონდახი დამარტყა, მე გონება დამეკარგა, და გონს მოვედი მაშინ, როცა ოთახში არც ქმარი, და არც ჯარისკაცები აღარ იყვნენ. ციხეში გავიქეცი, ყარაულებს შევეპარე, და ეს მომენტი იყო, როცა ჩემი ქმარი დასისხლიანებული სახით გამოყავდათ ეზოში. ხელები ულონოთ ჰქონდა ჩამოკიდებული, თმა მიწებებული ჰქონდა გასისხლიანებულ შუბლზე. შემდეგ რა უყვეს, აღარ ვიცი. საფეთქელში დარტყმა ვიგრძენი და ხელმეორედ გონება დავკარგე.

ჰამბურგის საგამომძიებლო ციხის ეზო სავსეა ჟანდარმებით და მეციხოვნეებით. ხელში გძელი რეზინის როზგები უჭირავთ, აქა იქ ყურ მოკრულ სიტყვებიდან ირკვევა რომ ციხეში მოელიან ქალებსა და ქალიშვილებს. წუხელ ღამე შეუპყრიათ ორმოცდა ათამდე მუშების ცოლები, დები, ქალიშვილები, რომლებიც თავის ძმებისა და ქმრების დახმარებას უწევდენ ჰამბურგის აჯანყების დროს. ჟ ნდარმების და მეციხოვნეების დაცინვა აუტანელია. ბატონი თეისი წინადადებას აძლევს გახადონ ქალიშვილებს ყველაფრი და ისე გაატარონ.

ურემიც მორახრახდა დაჭერილი ხალხით; ქალიშვილები, მოზრდილები ხელფეხშეკრულები შეშის ნაჭრებივით აწყვიან ურემში. მეციხოვნენი მისცვინდებიან ურმებს, ჭუჩური ლანძღვა გინებით, ყრიან დაჭერილებს ურმებიდან და, ვითამც წინად აუღებელი აზრით ტანსაცმელს ზევით სწევენ და ხელფეხს უხსნიან. დაჭერილების პროტესტები უშედეგოა.

ციხის ალაყაფის კარებთან მოგროვილი ხალხი სანახაობით იქცევს თავს.



ამერიკელი ჯარისკაცები მუშათა ორგანიზაციასთან (კალიფორნიაში)

ციხე გელასტოპში

გერმანიის რევოლიუციამ 1918 წლებში, ეს მხარე გაანთავისუფლა ოკუპანტებისაგან და დაიწყო ახალი ერა ციხის ისტორიაში — „თავისუფალ და დემოკრატიულ" პოლონეთის „უმაღლეს" მფარველობის ქვეშ. პანების და შლიახტების პოლონეთმა, გერმანიის და რუსეთის რევოლუციის წყალობით აღორძინება დაიწყო იმით, რომ გამოუცხადა ომში რუსეთის მუშებსა და გლეხებს და მათთან ერთათ პოლონეთის ყველა ქალაქებსა და სოფლების პროლეტარებს.

აბობოქრდენ სამხედრო პოლიტიკური სასამართლოები. ციხები გაივსო პოლიტიკური პატიმრებით; და პირველ ყოვლისა, რუსეთის მოსაზღვრე მიდამოებში კრეხებზე მდებარე ციხეები. სადაც მოსახლეობის უმეტესობა არა პოლონური, არამედ უკრაინულ ან ბელოროსიულია.

ბელოსტოკი ადმინისტრატიული ცენტრია დასავლეთ ბელორუსეთისა. და მისი ციხეც აგრეთვე პირველი იყო ავსილი ბელორუსი მუშათა და გლეხებით. რომელნიც სამხედრო საველე სასამართლოს მიერ, სისხლის სამართლის კოდექსისა 108—და 109 მუხლის ძალით იყვნენ დასჯილნი. და ეს მუხლები ლიტვა-ბელორუსების დივიზიასთან მყოფ სამხედრო მოსამართლეების მიერ განმარტებული იყო, როგორც სახელმწიფო ღალატი. ადმინისტრაცია უმეტეს ნაწილად შემდგარია მეფის ჟანდარმერიის შავ-ბნელ ელემენტებისაგან; ისინი ბელოსტოკის ციხეში მიმართავენ ყველა თავის ძველ ჩვეულებებს. პოლიტიკურების წამებას არ აქვს დასასრული. პატიმართ საშინელ საზრდოს აძლევენ, დღეში ერთ მერვედ გირვანქა პურს და ამღვრეულ წყალს აძლევენ, რასაც ისინი წვენს „ეძახიან". პოლიტიკურები და სისხლის სამართლის დამნაშავენი ხშირად ერთად სხედან. პატიმართა ყველა პროტესტები უშედეგოდ რჩებოდ: პოლიტიკურებმა დაიწყეს სიმშილობის გამოცხადება; უკანასკნელ ათი თვის განმავლობაში სიმშილისაგან ათ კაცამდე გარდაიცვალა. სამწუხაროდ დამთავრდა უკანასკნელი სიმშილობა გასული წლის ივლისში. მოთმინებიდან გამოსული პოლიტიკურებმა, რიცხვით 37 კაცმა, მათ რიცხვში 4 მასწავლებელმა ქალმა და ორმა მოხუცმა, ივლისის დასაწყისში გამოაცხადეს სიმშილობა, ნიშნად პროტესტისა, და წარადგინეს მთელი რიგი მოთხოვნილებისა: პოლიტიკურების გამოყოფა სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან, იატაკების ჩვრებით გაწმენდა; ადამიანური მოპყრობა პოლიტიკურებისადმი და სხვა. ამის საპასუხოთ ციხის ადმინისტრაციამ მიმართა მხეცურ ზომებს მათ წინააღმდეგ, ისინი გაანაწილეს ცალ-ცალკე საკანებში, ძალით აიძულეს ეჭამათ, ჯიუტებს კი სცემდენ გასაღებებით.

ამ სიმშილობის მსხვერპლი გახდენ, რაც ალბათ თქვენ უკვე იცით, ამხ. პანტელი, ბრესტ-ლიტოვსკის მუშა და ბონდარჩუკი—ბელოროსიელი გლეხი. მათ გარდა დარჩა უამრავი ავადმყოფი, რომელნიც დღითი დღე მოელიან სიკვდილს; ასე ამ დღეებში მოკვდა ერთი ამ „მომლოდინე" ავადმყოფთაგანი—ამხ. კირილ ბარტოვჩუკი. ამ სიმშილობამ, რომელიც რვა დღე და ღამ გაგრძელდა, არ შესცვალა მდგომარეობა ციხეში. ბელოსტოკის ოლქის პროლეტარიატი ყოველ ძალღონეს ხმარობს დაეხმაროს პატიმართ. მაგრამ ვინაიდან პატიმართა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება. ბოლო ხანებში (აგვისტოში მაგალ. იყო 11—12 კაცი. ნოემბერში 37 კაცი. ხოლო იანვარში 70 მეტი), ამიტომ მხოლოთ მეზობელ ქვეყნების ძმური ორგანიზაციების წყალობით შესაძლებელი ხდება პატიმართა და მათ ოჯახების გადარჩენა სიმშილისა და სიკვდილისაგან; ბელოსტოკის პროლეტარიატს სწამს, რომ შემდეგშიც ამგვარი ძმური დახმარება არ შეწყდება, რათა მათ მისცემს შეძლებას იმ პატიმართა სიცოცხლის შენარჩუნებისას, რომელნიც მოუთმენლათ მოელიან ძლევა-მოსილ რევოლიუციის გამარჯვების საქმის დაბოლოვებას.

ერთ ერთი პატიმართაგანი.

არაფერი ისე არ ამსუბუქებს ბრძოლის სიმწვავეს, როგორც რეალური ამხანაგური მზრუნველობა, როცა ციხეში მყოფი ამხანაგები ხედავენ, რომ ჩვენ არ ვივიწყებთ არც მათ, არც მათ ოჯახებს.

ჩრდილო-ამერიკის თეთრი ტერორის სამეფოდან

ეს ფაქტები სხვა ას ფაქტებთან ერთად ნათელს ფენენ „დიდებული დემოკრატი"-აში არსებულ წესებს.

ლოს ანჯელოს (კალიფორნია) მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშების კავშირის რვა წევრის გასამართლება დასრულდა სამ მარტს; ბრალდებულნი — კლოდერვინი, ლეონარდი, ლორენს ლორსი, ჯემს ფინსკი და ულიანალენი „დამნაშავე სინდიკალიზმის" აგიტაციაში კანონის ძალით დასჯილი არიან 2—28 წლამდე. დანელ დეფი, მარტინ ლარსონი, არტურ ორიო 14-14 წლით თითო; მე-2 სააპელაციო სასამართლომ კასაცია უყო დადგენილებს; შესაძლებელია დამნაშავენი მეორეთ სასამართლოს წინაშე არ წარდგენ.

სანპედრო (კალიფორნია) 13 წლის გაზეთის დამტარებელი მარტიუს კარიტო შეპყრობილ და ჩასმულ იქნა ციხეში, სადაც მას მარცხენა ხელზე ამოუწვეს ნიშანი (M. C.) მთელი დანაშაული ამ პატარა ბავშვისა მდგომარეობდა იმაში, რომ ის ყიდდა მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშათა კავშირის გაზეთებს.

კალდუელი. „იდაგო". წევრი მუშათა კავშირისა გამმოდი დათუთქული იქნა ცხელი წყლით ადგილობრივ ციხეში, იმისათვის, რომ თავის ტანსაცმელს რეცხავდა.

ბუტტი. (მონტანა) საილონ ბაუში. მუშათა საბჭომ მიიღო დადგენილება „სინდიკალიზმის აგიტაციაში დამნაშავეთა" კანონის შეცვლის შესახებ და აგრეთვე ყველა იმ პირთა განთავისუფლების შესახებ, რომელიც დასჯილი არიან აღნიშნული კანონით.

ნიუორლიანი. (ლუიზიან). საზღვაო ტრანსპორ-

ტის სათემო მუშათა კონფერენციამ, რომელიც მუშათა პარტიას ემხრობიან, გამოიტანა დადგენილება „სინდიკალიზმის აგიტაციაში დამნაშავეთა“ ყველა კანონების შეცვლის შესახებ და ფორდისა, სუნისა, მუნცისა, ბილინგასისა და შვიდი სხვა მუშათა განთავისუფლების შესახებ, რომელთაც მისჯილი აქვთ სამუდამო კატორღა. შეერთებულ შტატების იუსტიციის დეპარტამენტთან არსებულ მაძებარ ბიუროს გამგე უ. პ. ბენსი იყენებს ამ ბიუროს თავის კერძო მაძებარ სააგენტოს ინტერესებისათვის. გაზეთ „მუშათა სოლიდარობას“ აქვს თავის განკარგულებაში წერილები და საბუთები, აღნიშნულ ფაქტის დამადასტურებელი, და აგრეთვე მაჩვენებელი იმისა, რომ ეს მთავრობის ჯაშუში სდევნის ყველა რადიკალურ ელემენტებს. (i. w. w.) და მოუწოდებს მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ, კუკლუკსანის, გამოლაშქრების წინააღმდეგ საბრძოლველად, „ამერიკული ლეგიონისა“ და სხვა ყველა რეაქციონურ ძალების მოსასპობად. (i. w. w.) ოფიციალური ორგანო 28 მარტის თარიღით სწერს: „დროა ამერიკის მუშათა კლასმა შეკრას თავის რიგები, თუნდაც დროებით დაივიწყოს ზოგიერთი გამთიშველი დოგმები და ალაგმოს თეთრი ტერორი, ვიდრე ეს უკანასკნელი იმასვე დაგვმართებდეს, რა დღეც დააყენა ფაშიზმმა „იტალიის პროლეტარიატს“.

კანზას-სიტი. (მისური). ნავთის სკანდალის განვითარებაში სჩანს ახალი ცნობები გამოქვეყნებულია ფაქტები, რომელიც უჩვენებენ, რომ მსოფლიო მუშათა კავშირის წევრების გასამართლების სულის ჩამდგმელები იყვენ სინკლერი და სტანდარტოილ დაკამპ). აღნიშნული მუშათა კავშირის წევრები ამჟამად იხდიან სასჯელს ლიველუორგის გამასწორებელ სახლში.

ლოსანჯელოს (კალიფორნია). მსოფლიო ინდუსტრ. მუშათა კავშირის 22 წევრს სასტიკათ სცემეს. ჯონ ელიოტს, მსოფლიო ომის ვეტერანს, მუცელში დაკვრის გამო გაეხსნა ძველი ჭრილობა და სისხლისაგან დაცლილი წაიყვანეს საავადმყოფოში. სწორედ ასევე სცემეს ჯიმი ფოლის, რომელსაც ცხვირიც გაუტეხეს.

ცნობა მოგვაწოდა ვ. ხეივუდმა.

ჰოლანდიის ინდოეთში

(მარინგის წერილი)

შაჰრის, ჩაის, ყავის პლანტაციები. ნავთის ადგილები. სასოფლო მეურნეობის ინტენსიური მექანიზაცია: კონცესიები. ტრესტები და სინდიკატები, რომლებიც აერთიანებენ ინგლისელ და ჰოლანდიელ კაპიტალისტებს. შეძენა-გამდიდრების შეუკავებელი წყურვილი. უცხო მასების მტაცებლური ექსპლუატაცია. წვრილი მწარმოებლისა და კაპიტალისტურ მეურნეობის შორის უთანასწოროთ ბრძოლა, უცხო ტომის ხალხის გალატაკება. ამ უკანასკნელების მიერ წარმოებულის მიერ ყიდვა ჰოლანდიელ კოლონიზატორებისათვის. სრულიად დაკლებულ ფასებში თავისი მიწებისა და პატარა პლანტაციებისა. უმუშევართა არმიის ზრდა. უცხო ტომის ბურჟუაზიის ახალი სოციალური ჯგუფების გაჩენა.—მოიჯარადრეთა და ბოგანო გლეხების სიმდიდრის შეგროვება კოლონიზატორებისა და უცხო ტომის მცირე ჯგუფების ხელში, აჯანყებანი და გამოსვლები კოლონიების უზომო გალარიბებულ მონებისა, სისხლში ჩაღრჩობა აჯანყებებისა, კაპიტალის განუზომელი ბრძანებლობის განმტკიცება.—ასეთია ჰოლანდიის ინდოეთის უკანასკნელი ათი წლის ისტორია.

ნამდვილი მნიშვნელობის რევოლიუციონური იწყება ბრძოლა 1918—1919 წ.წ. ამ ხნიდან ის იღებს უფრო გარკვეულსა და მკაფიო ფორმებს. ვიწრო ნაციონალურ ლოზუნგების ნაცვლად—კლასობრივი წყობილების ლოზუნგები. მივიწყებულნი, უსახლკარონი, გალატაკებული მასები ჰოლანდიის ინდოეთისა თავისთავს უცქერიან ისე, როგორც ნაწილს მთელი ექსპლოატაციაქმნილ კაცობრიობისას, და თავის ბედს ისინი უკავშირებენ მსოფლიო პროლეტარიატის მოძრაობას. ისახებიან, მტკიცდებიან და იზრდებიან პირველი კომუნისტური ორგანიზაციები. მუშავდება ბრძოლის ახალი მეთოდები. ამ ბრძოლებში ებმებიან მებრძოლთა სულ—ახალი და ახალი მასები.

1923 წ: მებრძოლთა მოწინავე ჯგუფები პირველ სერიოზულ ბრძოლას უმართავენ კოლონიზატორებს: უცხო ტომის რკინის-გზელი მუშები აწყობენ შეთქმულობას და კოლონიის ბურჟუაზიას უდგენენ წმინდა ეკონომიურ ხასიათის მოთხოვნილებებს. ეს მოთხოვნილებები მთავრობის მიერ უარყოფილია და მუშებს კატეგორიული წინადადება ეძლევათ შეწყვიტონ შეთქმულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა ტერორით იმუქრება. მთავრობის ულტიმატუმი ნიშანი ხდება საერთო აჯანყებისა, რომელიც მთელ კუნძულს ედება. სამრეწველო ცხოვრება კვდება. აქ პირველად გაისმის ლოზუნგები კოლონიებისთვის: „კლასობრივი

„ახალგაზრდა საბჭოთა სოფლის ჩაბმა რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საქმეში, დიდს აღმზრდელობითი მნიშვნელობას იძენიებს“ (ტროცკის—რემედასის ცეკაში მიწერილ წერილიდან).

ბრძოლა, ძირს კაპიტალიზმი, გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!“. რასაკვირველია, აჯანყება ვერ იქნებოდა გამარჯვებით დამთავრებული: კოლონიალურ მთავრობის ხელში იყო ჯარები, (ტყვიის მფრქვეველები, ჯავშნ. მატარებლები); აჯანყებულთა მხარეზე — ენტუზიაზმი, კლასიური შეგნება, მაგრამ აკლდათ საჭირო ორგანიზაცია და საკმაო შეგნება.

პლანტაციები და სოფლები სისხლით მოირწყვა, ქალაქების ციხეები პატიმრებით აივსო. აჯანყებას მარტო მოწინავენი 120 კაცამდე აღწევდა. მათგან ასმა კაცმა განაცხადა: „ჩვენ კომპარტიის წევრები ვართო!“ კომუნისტებს გადაუწყვიტეს ხუთი წლის ციხე, მთავარი ხელმძღვანელის, ამხ. სემაუნას შესახებ კი კამათი გაიმართა. საქმის დაბოლოვებათ დახვრეტა მოსჩანდა. და აი აქ ბრძოლის არენაზე მასები გამოვიდენ. დროგამოშვებით სჩანდა, რომ მთელი კოლონია გადიქცეოდა მრისხანე, გავარვარებულ ზვავათ: ღამ-ღამობით კოლონიზატორების პლანტაციები იწოდა, საწყობებს სტეხავდენ, მატარებლებს აფეთქებდნენ. მეტროპოლიის ზოგიერთ რეაქციონურ წარმომადგენლებზე თავდასხმას ახდენდნენ. —მთავრობა დათმობაზე წავიდა—დროებით—და ამხ. სემაუნა კოლონიიდან გადაასახლა.

ხოლო ერთი კვირის შემდეგ მოვიდენ ახალი ჯარები—ტეხნიკური საშვალებებით და გაზებითაც კი კარგად შეიარაღებული.

აჯანყებულთ თავს საშინელი დევნა-შევიწროება დაატყდათ და მრავალი მათგანი იმ დღეებში გაეცნო ციხის კედლებს.

* * *

იავის ციხე. ქვის გლახა შენობა. ადმინისტრაცია ხმარობს ყოველ ღონეს, რომ ციხეში მჯდომი ამხანაგები ციხიდან ინვალიდები გამოვიდენ და მათი წადილი სრულდება კიდეც.

* * *

რევოლიუციონური მოძრაობის ცენტრი—წითელ რუსეთს დაშორებული კოლონია განუწყვეტელი ძაფებით არის დაკავშირებული პროფინტერთან და კომინტერთან. ჩუმი, ყრუ ბრძოლა სწარმოებს ჯერ ხნობით კომუნისტური დროშის ქვეშ. კოლონიალური მონების შვილებმა იციან ინტერნაციონალის სიტყვები. ეს სიტყვები უკვე მეორდება იავისა და მალაის ენებზე. იავის ქალები ნამგლისა და ჩაქუჩის სახეებს ჰკერავენ თავის ცხვირსახოცებზე. იავის ამხანაგები შეკავშირებულს, მტკიცე, ერთიან რაზმს შეადგენენ კომინტერნისას. ეს რაზმი ახალი ბრძოლებისთვის ემზადება. ამათ არ აშინებს ის სიმკაცრე საშიშროებანი, რომელიც შექმნილია ციხის ადმინისტრაციის მიერ.

წმინდა ჯვრის ციხე

„რევედასის“ ცეკას მოუვიდა საბუთები, რომლებშიც აწერილია კელეცკის გუბერნიის წმინდა ჯვრის ციხე პატიმართა ძდგომარეობა, მოგყავს თვით პატიმართა წერილებიდან ადგილები:

„ნამდვილი სამარე“

ციხე განმარტოებითა სდგას 700 მეტრის სიმაღლე მთაზე. მუდმივი, სქელი, გაუმსჭვირვალე ბურუსი საშინლად მოქმედებს ჩვენ ჯანმრთელობაზე. „ნამდვილი სამარე“-ა, როგორც წერდა ბურჟუაზიული გაზეთის „ჩერნოვონის კურიერის“ კორესპონდენსი 18... 1923 წ. ამხ. ლიბერმანი, რომელიც აქა ზის და ჭლექით არის ავად დაყრუვდა, დამუჯდა, გვეშინიან მისი დღეები დათვლილი არ იყვეს“.

საშინელი სიკვდილიანობა.

1920 წლიდან დაწყებული, ე. ი. დღიდან პოლონელების ხელში ციხის გადასვლისა, 500 კაცზე მეტი მოკვდა მაშინ, როდესაც ციხე სულ 320 კაცს იტევს მთლიანად. 1923 წ. 90 კაცი მოკვდა. 1924 წ. იანვარში—11 კაცი. ციხე მუდამ გავსებულია, ასე რომ 320 ციფრი მუდამ უცვლელადა რჩება.

„პატარა ფაქტი“: ციხის ექიმმა ბილნიკმა გადმოგვცა: ეკონომიის გულისთვის ციხის ადმინისტრაცია 30 ავადმყოფზე 3 ბოთლ რძეს ანაწილებს. იმავე ექიმის სიტყვით, ციხეში 60 კაცზე მეტი ჭლექიანია. 30 ავადმყოფი კი, რომლებიც 3 ბოთლს იღებენ, აშკარაა საიქიოს გასაგზავნები არიან. ამგვარივე ეკონომიაა სხვა ყველაფერშიც.

ჩვენ შეკითხვაზე რა საჭიროა ავადმყოფობის გასინჯვა, როცა ფაქტიურად არავითარი საექიმო დახმარება მათ არ ეძლევათ, ექიმმა გვიპასუხა: „თვითონ მე უხერხულობასა ვგრძნობ თქვენთან მოსვლისას. ჩემთვის უმჯობესია თავი დავანებო სამსახურსო“. მხოლოდ ციხის უფროსის ნებართვით შეიძლება ჩათვალო ავადმყოფად ესა თუ ის ამხანაგი“.


ციხის უფროსისათვის პოლიტიკურები არ არსებობენ.

ციხის უფროსს არა სწამს პოლიტიკურები, „კარცერით“ ემუქრება, ძალებით მუშაობაზე გზავნის და სხვა.

როგორც სოროში.


საკანი თავის შეხედულებით ზიზღს იწვევს. ქვის კედლები სისქით სამი მეტრი. იატაკზე გვძინავს. ლებებში თივა არ არის. დახვრეტილ იატაკიდან სულ მუდამ ქარი მოჰქრის. იატაკს სრულებით არა რეცხავენ. ნახევარ წელიწადია, რაც თოკის ცოცხი არა გვაქვს. სიმყრალე და ტალახია გამეფებული, საცვლებს უსაპნოთა რეცხვენ.

ძნელია აწერა იმის, რაც აქ ხდება. წყალი მოაქვთ სპეციალურად ამისთვის გაკეთებულ ორმოდან; ამავე ორმოში პატიმარი მთელი ზამთრის განმავლობაში ჭყრიდენ ყავრებიდან ჩამონახვეტ თოვლს, და სხვა ნაგავს. ამის გამო წყალი საშინლათა ყარს; იმის მიუხედავათ, რომ ავადმყოფები ცალკე ბანაობენ, ისინი ჯანსაღებსაც სდებენ ავადმყოფობას, ვინაიდან ყველანი ერთ დღესა და ერთ ადგილზე ბანაობენ. ჰეშმარიტად—ჯოჯოხეთია აქა ფიზიკურისა და მორალური წამებისა. პროკურატურის წარმომადგენელი სრულებით არა სჩან.



ამხ. დიმიტროვი

25 წლ. მოკლულია თეთრების მიერ ქ. ფერდინანდში. წევრი ბ. კ. პ.



ამხ. შახგ̈ასიანი,

ყოფილი მდივანი პარტ. ორგანიზ. ფილიპოპოლში. 42½წლ. მოკლულია თეთრების მიერ 23 სექტ. 1923 წ.



ამხ. მეჩკაროვი

32 წლის. წევრი ბ. კ. პ. მოკლულია თეთრების მიერ ქ. ფერდინანდში

და თუ იქნება ისიც ლოთი.

რამდენიმე თვის წინათ ამნისტიასთან დაკავშირებით, ჩვენთან მოვიდა ვილაც „ბობოლა“, მთვრალი, როგორც „საპოჟნიკი“, და დაგვიწყო ამგვარი ქათინაურები: „რუსეთში თქვენი ამხანაგებიც უკეთესად არ იქცევიან“.

გვიშველეთ.

„ის, რასაც თქვენ გწერთ, ცოცხალი ფაქტია ჩვენ თავზე ვიღებთ პასუხისმგებლობას ყველა იმ ფაქტების სინამდვილისას, რომელსაც თქვენა გწერთ. მიიღეთ რომორმე ზომები, რომ ჩვენი მძიმე ბედი შეაჩსუბუქოთ. ჩვენ უიმედობა გვიპყრობს. მოუთმენლად ველით სასწრაფო დახმარებას, ვინაიდან ჩვენი მდგომარეობა უარესზე უარესია.

ხელის მოწერა: იულიანროსრა, ვაინტრაური, ლიბერმანი, ფელჩუმი, დანცგერი, იზრაილი, ველტშანი, რუბენი, ბენჩიცკი, კლეიმანი, სტასიჟი, როზენგრესი, კეიესნიც, გიბელი.

წმ. ჯვრის ციხე, 10 მარტი, 1924 წ.

ციხეები პლოდვიგში და ძველ ზაგორაში

ბულგარეთში დაპატიმრებულ მუშა-გლეხებს მხეცურად ეპყრობიან, არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ციხის ადმინისტრაცია არ არჩევდეს პოლიტიკურებს სისხლის სამართლის დამნაშავეებისაგან. პირიქით, არჩევს, მაგრამ პოლიტიკურებს უფრო სასტიკად ეპყრობა, ვიდრე სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ერთ-ერთ დატყვევებულთაგანის წერილი, 1923 წ. სექტემბრის აჯანყებაში მონაწილეობის მიმღებისა, რომელიც აგვიწერს თავის ცხოვრებას ქ. პლოდვიგის ციხეში,—და აგრეთვე მოვიყვანთ ძველი ზაგორის ციხის აღწერასაც.

ქ. პლოდვიგაში

„ამა წლის თებერვლის დასაწყისს წავიდა მთავარი ზედამხედველი ვაკარჯევი და მის ადგილზე დაინიშნა ფელდფებელი ტ. პოპოვი. მსწრაფლ იქნა შემჩნეული ახალი დამოკიდებულება „ბუნტოვშჩიკებთან“. რამდენიმე კაცი, მორიგის ოთახში გაწვევის შემდეგ, გაროზგილ იქნა; თვით ჰუნგრეთის კონსულმაც კი პროტესტი განაცხადა დატყვევებულ ჰუნგრელთა ცემის წინააღმდეგ.

თავის თანაშემწეთ პაპოვმა დანიშნა სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელიც პატიმრებს ჩვეულებრივათ მიჰმართავს სიტყვებით: „მე თვით მოვკალი ბევრი თქვენი ამხანაგთაგანი და გავაგზავნე კუნძულზე ქვიშაში, თქვენგანაც გავაგზავნი ვისმეს“. პაპოვის დროს საკანები სავსეა პატიმრებით.

თებერვალში მან გვაიძულა კამერები გაგვეცხა, და რადგან ნახევარი იატაკისა უფიცრო არის, და, ამასთანავე ზოგი დამპალია და დანგრეული, წყალი, ამ ფიცრებს ქვეშ-დაგროვილი, საოცარ სინესტეს აყენებს, რაც გათბობის უქონლობის გამო, მთელი ზამთარი არ გამშრალა.

ჩვენ ვითვლებით პოლიტიკურ დამნაშავეებათ, ნამდვილად კი პოლიტიკურ განყოფილებაში ცხოვრობს დირექტორის ოჯახობა და სამეურნეო ნაწილის გამგე--არტელშჩიკი. ჩვენ კი გაგვაცალკევეს კამერებში, სადაც უწინ ყველაზე საშინელ სისხლით დამნაშავეებს ათავსებდენ.

რომ გვაჩვენოს თავისი ძალა, პაპოვი ხშირად იშიშვლებს რევოლვერს და მომართავს ჩვენსკენ. საკანშიც კი სცემენ პატიმრებს.—ახლო ხანში ციხე

პროკურორმა დაათვალიერა. პაპოვი უკან მოსდევდა და ტრაბახობდა, — „ყველაფერი ამ საწვრილმანოებში ერთი ორად, და ერთი სამადაკ იყიდება“; საწვრილმანიების მოგებიდან ადმინისტრაცია და ზედამხედველი ზედმეტად კიდევ იგებენ

8 მარტს ვრაცის ციხეში სიმშილობა გამოაცხადა სამოცმა პატიმარმა პროტესტის ნიშნად. მათი პროტესტი მიმართული იყო ამგვარი მხეცური მოპყრობის წინააღმდეგ, და აგრეთვე იმ ამნისტიისა, რომელიც ვრცელდებოდა მხოლოდ სექტემბრის აჯანყების ხალხის მკვლელებზე. ისინი თხოულობდენ სრულ ამნისტიას ყველა რევოლიუციონერებისათვის.

ამგვარი თვალთმაქცური „ამნისტია“ ბევრს სამშობლოში დაბრუნებულს პოლიტიკურ ემიგრანტს სიცოცხლედ დაუჯდა. როგორც დაბრუნდენ ისინი სახლში, მაშინვე შეიპყრეს და მათი უმრავლესობა უკვალოდ დაიკარგა. ასეთი ბედი ეწვიათ მაგალითად მაკლიშიდან წამოსულ ემიგრანტებს, რომლებიც იმავ ღამეს იყვნენ შეპყრობილნი: ორი დღის შემდეგ მათი გვამები იპოვეს სასოფლო გზაზე.

ამ დღეებში გადარჩენილმა ბევრმა მოწინავე მუშამ, პროფკავშირის მდივნებმა და სხვებმა მიიღეს ანონიმური წერილები მუქარის, რომ მათ შეეწყვიტათ თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიკვდილი მოელოდათ. პროკურატურა, რასაკვირველია, არავითარ ზომებს არ იღებდა ამგვარი წერილების ავტორების მოძებნისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორები იმყოფებიან პოლიციის სამსახურში. ეს გამომდინარეობს აგრეთვე იქიდანაც რომ, მთავრობამ გამოსცა განკარგულება ყველა მუშათა კოოპერატივებისა, პროფკავშირებისა, პარტიებისა ახალგაზრდათა ორგანიზაციების დაშლის შესახებ. ის, რაც ანონიმური წერილების მუქარით არ იყო შესრულებული, განხორციელებულ იქნა მთავრობის განკარგულებით.

რასაკვირველია, ხაზ გაუსმელათაც ცხადია ის გარემოება, თუ როგორ აუწერელ გაჭირვებაში არიან ხუთი ათასი პატიმარი და 30 40 ათასი მათი ნათესაობა. საერთაშორისო მუშათა პრესა არ უნდა უშვებდეს არც ერთ შემთხვევას და უნდა მოაგონებდეს ბულგარეთის მებრძოლთა სავალალო მდგომარეობას, და მოუწოდებდეს ყველას ამ ძლევამოსილ წარმომადგენლებს და კლასიური ბრძოლის მსხვერპლთ სათანადო დახმარება აღმოუჩინონ.

ა გ

მუშებო და მუშა-ქალებო! თქვენი რევოლიუციონური მოვალეობა არის — დაეხმაროთ კაპიტალის ტყვეებს.

„რემედასსი“ გელოვრუსიის ს. ს. რესპუბლიკაში

(წერილი მოსკოვიდან)

„რემედასსის“ პირველი საკავშირო კონფერენციის მიერ წამოყენებული მახლობელი ამოცანები — წევრთა შეგროვება, „რემედასსის“ უჯრედების ორგანიზაცია ჩვენი მმართველობის მიერ უკვე მოდის სისრულეში. მინსკის გუბერნიის ექვსი მაზრა თებერვლიდან დაწყებულნი სააგიტაციო კამპანიას ეწევა. მარტში მუშაობას შეუდგენ კომარტიის სამაზრო კომიტეტებთან არსებული, ეგრედ წოდებული, საორგანიზაციო კომისიები. მინსკში მუშაობა საორგანიზაციო ბიურომ იდვა თავს.

წევრად ჩაწერის კამპანიის საქმე კარგად მიდის. აპრილის მეორე ნახევრისთვის, მოთხოვნის თანახმად გაცემული იქნება 29 ათას საწევრო წიგნაკზე მეტი. პირველი მაისის კამპანიამ შესამჩნევად გაადიდა წევრთა რიცხვი, რომელთა რაოდენობაც ამ ჟამად 50 ათასზე ნაკლები არ უნდა იყვეს. მომავალი სამაზრო კონფერენციები სინამდვილით გამოარკვევენ „რემედასის“ წევრთა რიცხვს.—ადგილებზე მუშაობის გამოცოცხლება გამოიხატება აგრეთვე შემოწირულებათა შეგროვების გაცხოველებაში.

ფულადი შემოწირულებაში შედის — საწევრო გადასახადი, სალამო-კონცერტების, კლუბებში გამართული წარმოდგენების შემოსავალი. დრო გამოშვებით მინსკის სახელმწიფო თეატრში გამოჩენილ არტისტების მონაწილეობით ვდგამთ წარმოდგენებს. შემდეგ შემოწირულებაში შედის პროფკავშირის ორგანიზაციების გადარიცხვანი და სხვაგვარი შემოწირულებანი, ამას გარდა ფართოდ არის დაყენებული მარკების გაყიდვა.

„რემედასსის“ უჯრედებს ფართე ინიციატივა აქვსთ საშუალებათა გამონახვისათვის. იმართება საბათობანი, ზედმეტი საათების ნამუშევარი გადადის „რემედასსის“ სასარგებლოდ. მუშათა მასები დაინტერესებულნი არიან დატყვევებულთა მდგომარეობით და, გამოაქვთ რა კოლექტიური პროტესტები ციხეებში გამეფებულ ბურჟუაზიულ თვითნებობის წინააღმდეგ, კერძოდ მოწერილ წერილებში თავიანთ პროლეტარულ სოლიდარობას ამჟღავნებენ. ბელორუსეთს ბელოსტოკის ციხის შეფობა გვაქვს აღებული. ბობრუისკმა 18 მარტს გროდნოს ციხის შეფობა მიიღო. ქ. ორშის მუშებმაც დაადგინეს—საზღვარგარეთის რომელიმე ციხის შეფობა მიიღონ.—წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა ბელორუსეთში დასასრულს უახლოვდება.

მაისის დასაწყისში „რემედასის“ სამაზრო კონფერენციები შესდგება—პარტიულ კონფერენციებ-

თან ერთად. მინსკის სამაზრო კონფერენციები შესდგება მაისის შუა რიცხვებში. მას მოჰყვება სრულიად ბელორუსეთის კონფერენცია. დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1) საორგანიზაციო ბიუროს ანგარიში. 2) სარევიზიო კომისიის ანგარიში; 3) მოხსენებები ადგილებიდან; 4) საორგანიზაციო საკითხები და 5) არჩევნები.

ი ვაინერი.

„რემედასსი“ ლენინგრადში

„რემედასსის“ მოქმედებას ლენინგრადის მუშები გასული წლის შუა რიცხვებში გაეცვნენ. აქამდე აქ არავითარი კამპანია არ ყოფილა ჩატარებული, თუ არ მივიღებთ სახეში პირველ მაისს, როდესაც ირჩეოდა საკითხი რევოლიუციის მებრძოლთა დახმარებისა. მაგრამ, როდესაც გასული წლის ბოლოს საჭირო გახდა შემოსული ფულის საერთო ჯამების გამოყვანა, იმ ფულის, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებიდან, სამხედრო ნაწილებიდან, დაწესებულებიდან, სკოლებიდან, სხვა და სხვა კოლექტივებიდან, და სხვა ადგილებიდან იყო შემოსული, მაშინ თვით ყველაზე უფრო სკეპტიკურად განწყობილი კაციც უნდა დარწმუნებულიყო „რემედასისს“ ამოცანებისადმი მშრომელთა ფართო მასების თანაგრძნობის გაღვივება-გადიდებაში.

ამა წლის დასაწყისს ლენინგრადში, ფაქტიურად შესდგა „რემედასის“ საგუბერნიო კომიტეტი, და მაშინათვე შესდგა რაიონებსა და მაზრებში დროებითი კომისიები. ორი თვის საორგანიზაციო მუშაობის შედეგი არის ის, რომ არ არის არც ერთი დაწესებულება ქალაქში, ან ასე თუ ისე ცოტაოდნად ცნობილი თემისა, სადაც არ იყოს „რემედასსის“ უჯრედი.

საგუბერნიო კომიტეტს, რომლის აპარატიც მეტად ზომიერია, არ შეუძლიან ანგარიში გაუწიოს იმ დიდსა და საორგანიზაციო მუშაობას, რომელსაც მისგან ადგილები მოითხოვენ. „რემედასის“ პირველი საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებით, ლენინგრადს 1924 წ. 1 მაისისთვის უნდა შეეკრიფა 100 ათასამდე წევრი, მაგრამ საორგანიზაციო მუშაობის პირველმავე თვემ გვაჩვენა, რომ წევრთა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია განსაზღვრულს რაოდენობაზე. მხედველობიდან არ უნდა იქნას გაშვებული ის გარემოება, რომ საგუბერნიო კომიტეტი უკიდურესი დაჟინებით მოითხოვდა „რემედასის“ წევრობაში ინდივიდუალურ შესვლას. ზოგიერთ პატარა დაწესებულებაში, სადაც მუშები წევრად კოლექტიურად შედიოდნენ „რემედასში“; მათ (მუშებს) მაინც კიდევ წინადადება ეძლეოდათ ინდივიდუალური განცხადებანი შეეტანათ წევრათ შესვლაზე. ზოგიერთ დაწესებულებაში „რემედასის“ წევრთა რიცხვი 120% აღწევს. ეს აიხსნება იმით, რომ საორგანიზაციო პრინციპები მუშებს ნებას რთავენ თავიანთ ოჯახებიც ჩარიცხონ წევრთა რიცხვში. ადგილებზე მომუშავე ამხანაგები სასტიკად იცავენ „რემედასის“ წევრობის სახელის ღირსებას და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ორგანიზაციაში მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტი არ შეიპაროს. და მაინც გუბერნიაში ამ ჟამად „რემედასის“ წევრად ირიცხება 300 ათასამდე მშრომელი.

ადგილებიდან შემოსულ ანგარიშებიდან, პირადი ნალაპარაკებიდან სჩანს, რომ ჩვენი ორგანიზაციის მუშები ძალიან დაინტერესებულები არიან საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხებით. ეს უფრო ნათლადა სჩანს მოხსენებების დროს, და შემოსულ მთელი წყება შეკითხვევებიდან. აქ ჩვენს წინ ამოცანა სდგას მშრომელთა ფართე მასებში მსოფლიო მუშათა მოძრაობის შესახებ პროპაგანდის გაწევისა. ეს მუშათა ფართე მასები „რემედასს“ უკვე დაპყრობილი ყავს ორგანიზაციულად.

ბლეიზი

ლენინგრადი, 11, 4, 23.

შეკითხვა

დეპუტატ სტეფანე კრულიკოვსკისა და სტანისლავ ლანტუცკის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისათვის შეკითხვა პოლიციელების მიერ ქ ლვოვში წარმოებულ დაპატიმრების დროს ოლღა ბესარაბოვას (იგივე ლევიტსკაიას) საიდუმლოდ მოკვლისა და ქ სამბორში დატყვევებულ აპფელზის ცემისა და დაცინვის შესახებ.

---

9 თებერვალს ლვოვის პოლიციის მიერ შეპყრობილ იქმნა ვისპიანსკის ქუჩაზე № 34 სახლში მცხოვრები ოლღა ბესარაბოვა, ინჟენერ დიმიტრი ბესარაბოვის ქვრივი. ეს ინჟინერი დაიღუპა მსოფლიო ომის დროს იტალიის ფრონტზე. გამოურკვეველია, მოასწრო თუ არა პოლიციამ მოეხდინა „წინასწარი გამოძიება“ ბესარაბოვას საქმის შესახებ, რადგან უკვე 13 თებერვალს მისი გვამი ჩამოკიდებული აღმოჩნდა იახოვის ქუჩაზე მდებარე პოლიციის ოთახის რკინის მოაჯირზე. ლვოვის გაზეთებმა მოათავსეს პრესაში ცნობა თვითმკვლელობის შესახებ, და ეს ცნობები აშენებული იყო იმ ცნობებზე, რომელიც პოლიციამ გამოაქვეყნა, და რომლებშიც დამახინჯებულად იყო ნაჩვენები გვარი ასე ტრაღიკულად და საიდუმლოდ დაღუპული ქალისა. ასე, მაგ, სახალხო ყოველ კვირეული 19 თებერვლიდან სწერს: „14 თებერვალს იახოვიჩის ქუჩაზე მდებარე ლვოვის პოლიციის საპატიმრო საკანში საცვლებიდან გაკეთებული თოკით თვი ჩამოიხრჩო 23 წლის იულია ბარასკაიამ; პოლიცია აწარმოებდა გამოძიებას ბარასკაიას პოლიტიკურ საქმეში მონაწილეობის საკითხის გამოსარკვევად“. საინტერესო იყო გამორკვევა, რა იყო მიზეზი იმისა, რომ 35 წლის ოლღა ბესარაბოვიდან, რო-

მელიც ლვოვში დააპატიმრეს. იულია ბარასკაია გამოიყვანეს? რწმენა იბადება, რომ ლვოვის პოლიციას არ უნდოდა, რომ გვამის გაჭრას ვინმე ნათესავი დასწრებოდა. დასაფლავება სახელმწიფოს ხარჯით მოხდა. მაგრამ სად და როდის მოხდა დასაფლავება, ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, თუმცა ლვოვის პოლიციამ იცოდა, რომ მიცვალებულს ჰყავდა ლვოვის სამასწავლებლო სემინარიის პროფესორი—ძმა და ქ. გროდნოში და ყველაფერ ამას ნათელსა ჰფენს ერთი წერილი ლვოვის მედიკ ქალის მიერ გამოგზავნილი. ის სწერს:

„გუშინ გასჭრეს გვამი ერთი კომუნისტი ქალისა, რომელმაც ლვოვის ციხეში თავი ჩამოიხრჩო, (რამდენათაც მე ვიცი, ეს პირველი შემთხვევა არ არის ლვოვის ციხეში პატიმართა მიერ თავის მოკვლისა).

საშინელი სურათი გადაეშალათ გვამის მჭრელებს. ეს გაზვიადება არ არის, არამედ ნამდვილი აწერა სანახეობისა, რომლის მნახველსაც, სამწუხაროდ არ შეუძლია აშკარად გამოვიდეს თავისი ჩვენებით, რადგან პოლონეთში სიმართლის თქმისათვის სცემენ.

„გაჭრამ აღმოაჩინა, რომ მთელი სხეული დაფარული იყო მეტად დასისხლიანებული ადგილებითა და ჭრილობებით, რომელიც იყო შედეგი ტყავის აბზინდიანი ქამრით ცემა სიკვდილის წინ. იმ ადგილებში, სადაც აბზინდი იყო მოხვედრილი ტყავზე, იისფერი გაბერილი ბურთებივით ნაჭრები ჰქონდა გაჩენილი, რომლის მოჭრაც მოინდომა პროფესორმა სტუდენტებისათვის საჩვენებლად, როგორც „სპეციალური და იშვიათი“ პრეპარატი ცემისა. ეს ფაქტი განსაკუთრებულია და სამაგიეროს გადახდისაკენ მომწოდებელი. მაგრამ შურისძიებისაკენ არ მოგიწოდებთ მე თქვენ; სულ ერთია, შურის ძიების რისხვა მაინც თავს დაატყდებათ როდისმე მტარვალებს. ჩემთვის უფრო საინტერესოა—უცხომ არავინა სთქვას, რომ როგორც უწინ მეფის რუსეთში, პოლონეთში ახლაც დაუსჯელად თავდება ამგვარი საქმეები. ამისი კი მეშინიან იმიტომ, რომ მინახავს ბევრი პოლიციის კომისრები, რომლებიც დაძვრებიან პროფესორთან, რომ გავლენა იქონიონ მაზე და აიძულონ საქმე ჩუმად ჩაატაროს.

ამიტომ გწერთ ამ წერილს, რომ საქმეს მსვლელობა მისცეთ ენერგიულად, და არამც თუ პრესაში, სეიმში შეკითხვის შეტანითაც კი შემდგარი იქნეს სეიმის კომისია, რომელიც ჩაერევა პოლიციის საქმეში და დაწვრილებით გაეცნობა ლვოვის პოლიციის კედლებში არსებულ წესებს“.

ეს წერილი დამტკიცებაა იმისა, თუ რა მძიმე პირობებშია მოქცეული ჩვენი ქვეყანა, სადაც მნახველ—მოწმეს გამბედაობა აკლია თავისი ხელი მოაწეროს, რადგან იცის, პოლიციას ვერ გადარჩება. ვინც ერთხელ ჩაუვარდება პოლიციას ხელში, ის დარწმუნებული არ უნდა იყვეს ხვალინდელ დღეში. ქვეყნის ყოველი კუთხიდან ცნობები მოდის პატიმრებზე წარმოებულ დაცინვა წამების შესახებ—აი მეორე ცნობა, რომელსაც ქ. სამბორში ჰქონდა ადგილი: „მუშათა ტრიბუნა“ ს 12 თებერვლის № 19—მოყვანილი აქვს შემდეგი წერილი:

17 იანვარს 12 საათზე ჩემს ბინაზე ქ. სამბორში შემოიჭრა პოლიცია, რომელიც მაშინვე ყოველგვარ ავეჯეულობის გადმოყირავებას შეუდგა, ჩემ პროტესტზე საიდუმლო აგენტმა დედა შემიკურთხა და თან მუშტებითაც დამემუქრა. მთელი ავეჯი გადმოალაგეს, ლეგალურად გამონაცემი გაზეთები—„მუშათა ტრიბუნა“ „მიწა და თავისუფლ, „გუთანი“, „წინ“.

ჩამოგვართვეს. აგრეთვე პოლიტკურების ხელწერილის ფურცლები და „ტრიბუნის“ კუთვნილი ფულები. იმ დროსვე წამართვეს შვიდი მილიონი მარკა, რომელნიც ჩემს საკუთრებას შეადგენდა, პაპიროსის ქალალდი. გაჩხრეკის შემდეგ მიმიყვანეს პოლიციაში, სადაც სიცივისგან კანკალით გავატარე 4 დღე რკინის ლოგინზე დაგდებულმა დაკითხვის დროს აგენტი შურკაკი წარმოუდგენლათა მცემდა. მუშტებით სახეში მცემდენ, ჯაჭვით ხელებს მიკრავდენ, ფეხებს მიტყაპუნებდენ და საძაგლათ მაგინებდენ, და სცდილობდენ როგორმე გამოვტეხილიყავ იმ საქმეში რომელიც მე არ ჩამიდენია. ეს პროცედურა ყოველ დღეს მეორდებოდა. გონება დავკარგე. მესამე დღეს აგენტთან ერთად ჩემთან მოვიდა კომისარი ვიროგლიგლიანსკი და ხელახლა დამიწყეს ცემა. თავი რომ გადამერჩინა, ყველაფერში დამნაშავედ ვალვიარე ჩემი თავი, რასაც კი მაბრალებდენ.

აპფელზისი დავითი.


ეს ფაქტები მოწმობენ იმ სისასტიკესა და ველურობის შესახებ. რომლის ერთად ერთი მიზანიც არის—განწირული მსხვერპლის დაცინვა და გათახსირება. ხელის მომწერნი ეკითხებიან ბატონ მინისტრებს: 1) მოწადინებულნი არიან თუ არა ისინი უბრძანონ ქ. ლვოვის პროკურორს, ასე საშინელ და საიდუმლოდ დაღუპულ ოლლა ბაესრაბოვას გვამის გაჭრა მოახდინოს?

2) მოწადინებულნი ჰრიან თუ არა ისინი გვამის გაჭრას დაესწრონ მიცვალებულის ახლო ნათესავები და იქიმები, რომელთაც ნათესავები ან მათი მეურვენი მოიწვევენ?

3) გაგზავნის თუ არა იუსტიციის მინისტრი სპეციალ დელეგატს ქ. ლვოვში, რომელმაც დაუყონებლივ უნდა მოაწყოს ამ საქმის გამოძიება, რომ გამოირკვეს ამ ტრაღიკულ ისტორიის ყოველი მხარეები?

4) ოლლა ბესარაბოვას მკვლელობის მონაწილეთა აღმოჩენის შემთხვევაში (აღმოჩენა კი აუცილებელია, რადგან დამნაშავენი იმყოფებიან იახოვიჩის ქუჩაზე მდებარე პოლიციის საპატიმრო სახლში),—თანახმა არის თუ არა იუსტიციის მინისტრი დანიშნოს სპეციალური გამოძიება, რომ აღმოჩენილი იქნენ არა მარტო დამნაშავენი, არამედ ამ ბოროტმოქმედების მთელი ხელშემწყობი პირობები?

5) ფიქრობს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი დაინტერესდეს მეორე საქმით, სამბარში მომხდარ ცემა-ტყეებით?



ტურინის კოოპერატიული სასადილოს დარბევა

„რემედას“-ის სრულიად საქართველოს განყოფილების მუშაობის შესახებ

თითქმის წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც დაარსდა რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების სრულიად საქართველოს განყოფილება. მაგრამ თავისი მუშაობა ობიექტიური პირობების გამო მან ვერ გააღრმავა ამ უკანასკნელ დრომდე.

დაარსებისთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ იყო დაგზავნილი სათანადო ცირკულიარული წერილები და მოწოდებები სამაზრო კომიტეტებისადმი. სადაც ცეკა აღნიშნავდა ამ საზოგადოების ფრიად დიდ და ღრმა მნიშვნელობას და წინადადებით მიმართავდა, რათა ადგილობრივ გამოეყოთ ამ მუშაობის საწარმოებლად რწმუნებულები. მაგრამ სამაზრკომების მიერ ვერ იქნა ამაზე სათანადო ყურადღება მიქცეული და მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებდა.

ამ უკანასკნელ თვეებში კი მუშაობა ძლიერ გაცხოველდა და უკვე არ ეტყობა ის გულგრილობა ზემოაღნიშნულ მუშაობისადმი, როგორც ცენტრში აგრეთვე პერიფერიებშიც, რასაც დღემდე ჰქონდა ადგილი.

„რემედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილების განზრახული ჰქონდა ფართე კამპანიის—კვირეულის ჩატარება, როგორც ტფილისში ისე ყველა მაზრებში. მაგრამ ამას ხელი შეუშალა ლენინის გარდაცვალებამ, და კამპანია-კვირეული როგორც ასეთი არ ჩატარებულა.

განყოფილებამ ბოლო ხანებში გამოუშვა 25 000 ცალი „რემედასს“-ის საწევრო წიგნაკი და ამდენივე ცალი საკვიტანციო ფურცლები, რაც უკვე თითქმის წევრებს შორის გავრცელებულია და მოგვდის სისტემატიურად სხვა და სხვა მაზრებიდან მოთხოვნილება, ასეთი წიგნაკების გადაგზავნის შესახებ. აქედან ნათლად არის წარმოსადგენი ის, თუ რამდენა სიმპატია მოუხვეჭია ამ ნორჩ ორგანიზაციას საქართველოს მშრომელი გლეხობის მუშებს და ინტელიგენციის შორის.

პირველი მაისი, როგორც ტფილისში ისე ყველა მაზრებში ჩატარებულ იქნა „რემედასს“ ის ლოზუნგით და უნდა სიმართლე ითქვას, რომ სწორედ ამ დღეს პირველად გაეცვნენ. საქართველოს მთელი მშრომელი მასა ამ ორგანიზაციის დიდ მნიშვნელობას. ამ დღეს ტფილისში, და შემდეგ საქართველოს სხვა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. როგორიცაა ქუთაისი, ბათომი და სხვა.. „რემედასს“-ის მნიშვნელობის და მისი მუშაობის შესახებ ყველა კრებებზე და მიტინგებზე გამოდიოდნენ კომინტერნის და რემედასის ცეკას წევრები—საზღვარ გარეთელი აძხანაგები **ხეივუდი** და **შიფრინი.** აგრეთვე მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა საკავშირო ქვეყნების მეგობარი გამოჩენილი ამერიკელი მწერალი **ვილიამსი.** აი სწორედ ამ უკანასკნელთა გამოსვლამ საგრძნობლად იმოქმედა მშრომელ მასსაზე და დიდის აღტაცებით და სიხარულით შეეგებენ მათ.

„რემედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილებამ მიიღო რემედასის ცენტრალური კომიტეტისაგან 1.000 ცალი რემედასის ჟეტონები, რაც მოკლე ხნის განმავლობაში იქმნა გავრცელებული რემედასის წევრებს შორის, აგრეთვე განყოფილების მიერ იქმნა გამოცემული 3000 ცალი ჟურნალი „რემედასს“, ქართულ ენაზე, რომლის როგორც შინაარსმა, ისე ყოველმა მხარემ დააკმაყოფილა მკითხველები და ყოველ დღე მოდიოდა განყოფილებას პროვინციებებიდან მოთხოვნილებები ასეთის გადაგზავნის შესახებ. ამ ჟურნალთან ერთად სისტემატიურად ვრცელდება რუსული ჟურნალი „მოპრ“-ი, რომელსაც ველ”ულობთ ცენტრალური კომიტეტიდან.

წერილობითი კავშირი, როგორც ცენტრალური კომიტეტს და სრულიად საქართველოს განყოფილების შორის, ისე უკანასკნელის და მაზრებს შორის, ცოცხალი და კარგი.

საერთო რიცხვი მაზრებში დაგზავნილი ცირკულარული წერილებისა განისაზღვრება 7 ცალით. გასული ქალაქდების რიცხვი არის 43—შემოსულის—51.

უკანასკნელ დროში „რემედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილების მიერ გამომუშავებულ იქმნა საზაფხულო მუშაობის შემდეგი გეგმა:

1. ორ თვეში ერთხელ გამოშვებულ იქნეს ქართულ ენაზე ჟურნალი „რემედასს“-ი.

2. დაევალოს კურორტებზე მიმავალ ამხანაგებს აგილობრივ აწარმოონ „რემედასსის“ სასარგებლოდ მუშაობა.

3. ეთხოვოს ს. კ. პ. ცეკას, პოლიტგანათლების მთავარ მართველობას, განათლების სახალხო კომისარიატს და შინაგან საქმეთა კომასარიატს, დაავალონ თავიანთ ინსტრუქტორებს პირადი მოვალეობის აღსრულების დროს აგრეთვე აწარმოონ მუშაობა რემედასის სასარგებლოდ.

4. გამოშვებულ იქნეს 20.000 ლითონის ჟეტონები და 2.000 ვერცხლის მასთან ეთხოვოს ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შესწიროს რემედასის სასარგებლოდ ერთი ფუთი ვერცხლი ზემოხსენებული ჟეტონების გასაკეთებლად.

5. ახლო მომავალში გამოშვებულ იქმნას პლაკატები „რემედასსის“ ლოზუნგებით ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

6. ეთხოვოს ტფილისის აღმასკომს რათა ყოველ ტრამვაის ბილეთზე დააწესოს თითო კაპეიკი ზედმეტი რემედასის სასარგებლოდ.

7. იქმნას მიღებული ყოველივე ზომები, რათა საქართველოს ცაკის მიერ იქმნას გამოშვებული დეკრეტი რომლის ძალითაც დაევალება საზღვარ გარეთ მიმავალ ყოველ მოქალაქეს გამგზავრების ნებართვის მიღების დროს შესწიროს 5 მან. რემედასის სასარგებლოდ.

8. ეთხოვოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს რათა ყოველ გაჭირავებულ საკურორტო ოთახზე დააწესოს ზედმეტი 50 კაპ. რემედასის ფონდის გასაძლიერებლად.

9. ეთხოვოს ხელოვანთა კავშირს რათა არა უგვიანეს 15 ივნისისა დასდგას საღამო რემედასის სასარგებლოდ.

აი რა უნდა გააკეთოს, ამ მოკლე ხნის განმავლობაში სრულიად საქართველოს განყოფილებამ. რაც შეეხება წევრების რიცხს ამაზედ არა გვაქვს მაზრებიდან ნამდვილი ცნობები, მაგრამ შეიძლება თამამად ითქვას, რომ წევრთა რიცხვი უდრის არა ნაკლებ 25.000.

ამ დღეებში აგრეთვე საქ. კომპარტიის ცეკას მიერ მუშაობა უფრო გაცხოველებულ იქმნა. ყველა ოლქებში და მაზრებში დაგზავნილია ცირკულიარი, სადაც წინადადებითი მიმართვაა მაზრკომებისადმი რომ მაქსიმუმი ყურადღება მიაქციონ ამ დიად საქმეს.

რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს განყოფილებისა ამ

მხრივაც უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რემედასის ცენტრალურ კომიტეტს გადაეგზავნა ერთ დროულად 60.000 მან. და აგრეთვე მომავაშლიაც სისტემატიურად გაეგზავნება. დღეს დღეობით ჩვენი სალაროს განკარგულებაში 8.000 მანეთამდეა. თუმცა ზოგიერთი მაზრები თავის დროზე არ აგზავნიან შემოსულ თანხას ადგილობრივ აჩერებენ, მაგრამ ამ მხრივაც ზომები არის მიღებული.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობა დამაკმაყოფილებელია, წევრთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება და არის გარანტია იმის, რომ არც ერთი პატიოსანი მუშა, გლეხი და ინტელიგენტი არ დარჩება ამ ორგანიზაციის გარეთ.

ჟ. მიქავა.

ცირკულიარები

„რემელასს“ ყველა სამაზრო რწმუნებულებს და განყოფილებებს

ძვირფასო ამხანაგებო.

ექვს თვეზე მეტია, რაც „რემედასს“ სრულიად საქ. განყოფილებამ დაიწყო მუშაობა. თავის დროზე ადგილებზე იქნა დაგზავნილი დირექტივები. ცირკულიარები. ინსტრუქციები, თეზისები და სხვ.

ჩვენს ხელში არსებულ ცნობების თანახმად ზოგიერთი სამაზრო განყოფილებები აწარმოებენ ბრწყინვალე მუშაობას, მაგრამ სამაზრო განყოფილებების და რწმუნებულების უმრავლესობას ჯერ კიდევ ვერ განუვითარებიათ მუშაობა.

სამაზრო განყოფილებების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ წარმოუდგენიათ განვლილი მუშაობის ანგარიში.

სამაზრო განყოფილებებს და ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ შეუთვისებიათ რემედასის მუშაობის მნიშვნელობა. არ მოგვეპოვება მაზრებში მუშაობის, წევრების რაოდენობის, ლიტერატურის გავრცელების და სხ. სწორი ანგარიში.

აქამდის ცენტრალური გამგეობა ძალიან ცუდათ არის დაკავშირებული ადგილობრივ ორგანიზაციებთან. მუშაობის ანგარიში არ იგზავნება. აგრეთვე ძალიან გვიანდება შეგროვილ თანხის გადმოგზავნა.

ამისათვის, რათა გვქონდეს ნათელი წარმოდგენა რემედასის მდგომარეობის შესახებ საქართველოში, აგრეთვე, რათა დავისახოთ მომავალი მუშაობის გეგმა და გამოვარკვიოთ წარმოებულ მუშაობის დეფექტები, რემედასს ც. კ—ას სრულიად საქართველოს განყოფილება გთხოვთ:

1. რეგულიარულად მოგვაწოდოთ ინფორმაცია წარმოებულ მუშაობის შესახებ: ა) გვაცნობეთ მოწყობილ კრებების და სხდომების რიცხვი, დამსწრეთა რიცხვი, მათი სოციალური მდგომარეობა და პარტიული მიმართულება (მამა-კაცი. დედა კაცი, მუშა, გლეხი, ინტელიგენტი, პარტიული, უპარტიო ახ. კ. კ. წევ.) ვ) ყოველთვიურად შეგვატყობინეთ თუ რამდენი პროც. მოემატა რემედასს წევრთა რიცხვს. გ) ყოველთვიურად გადმოგზავნეთ თქვენ მიერ შეგროვილი თანხები. დაიტოვეთ ძალიან ცოტა აუცილებელი ხარჯებისათვის.

2. გვაცნობეთ თქვენი შეხედულება ჟურნალ „რემედასს“-ზე (როგორ ვრცელდება ადგილობრივ, რა განყოფილებების შეტანაა საჭირო ან რომელი განყოფილებები საჭიროებენ დამატებას).

აუცილებლათ გამოგზავნეთ წერილები და ცნობები მაზრაში მუშაობის შესახებ, ჟირნალში მოსათავსებლათ.

3. გვაცნობეთ, აუცილებელ საჭიროდ ცნობთ თუ არა რემედასის ქეტონების გამოშვებას. ან რამდენს გაავრცელებთ ადგილობრივ, როგორი ფასი უნდა ქონდეს ქეტონს თქვენი შეხედულებით. ჩვენ მიერ გაბზრახულია ლითონის და ვერცხლის ქეტონის გამოშვება. რამდენიმე გირვანქა.

4. რამდენი გჭირდებათ საწევრო და საქვითარო წიგნაკები. ყოველგვარი ცნობები და მასალები გადმოგზავნეთ მისამართით: ტფილისი რუსთაველის პროსპ. № 22, ც. კ შენობა, სააგიტ. საპროპ. განყ. რემედასს მდივანს. გვაცნობეთ აგრეთვე თქვენი სწორი მისამართი.

რემედასის სრულიად საქ. განყოფილების თავმჯდომარე **ა. გეგეჭკორი.**

რემედასს ც. კ—ის რწმუნებული **ა. კვირიკაძე**

ყველა მაზრკომებს და ოლქკომებს

ძვირფასო ამხანაგებო!

წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენში დაარსდა „რემედას“-ის სრულიად საქართველოს განყოფილება. თანახმად მიღებულ ცნობებისა, ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ „რემედასს“-ის მუშაობა ადგილებზე არ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე.

მიუხედავათ იმისა, რომ ადგილებს თითქმის ერთი წლის წინად დაეგზავნა სათანადო ინსტრუქციები და სახელმძღვანელოები—მეტ ნაწილ ჩვენი ორგანიზაციებში დღემდე ეს საქმე ვერ არის მოგვარებული. ზოგიერთი პარტიული ორგანოები ამ საქმეს ზერელედ და ფორმალურად უყურებენ. გამოყვეს წრმუნებული და შემდეგ კი არ იციან, რა კეთდება ამ მხრივ.

ასეთი დამოკიდებულება „რემედასს“-ის ორგანიზაციებისადმი უნდა ჩაითვალოს არა ნორმალურად. ამის გამო ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ:

1. სადაც არ არის სამაზრო და სარაიონო რწმუნებულები – დაუყონებლივ გამოჰყოთ ასეთები

2. მაქსიმალურად გააცხოველოთ მუშაობა ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში, რომ ჩააბათ „რემედასისს“ წევრებათ მუშა მოსამსახურენი და აგრეთვე უღარიბესი გლეხობა.

3. მიაქციეთ სათანადო ყურადღება იმ ცირკულიარის და ინსტრუქციების ცხოვრებაში გატარებას, რომელთაც აგზავნის „რემედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილება ადგილობრივ განყოფილებებში.

4. ამ ცირკულიარის მიღებისთანავე დაუყონებლივ მოისმინოთ მოხსენება „რემედასს“ ის სამაზრო განყოფილების და სამაზრო რწმუნებულისა საქმის მდგომარეობის შესახებ.

თქვენ მიერ მიღებული ზომების და საქმის მდგომარეობის შესახებ „რემედასის“ ადგილობრივ განყოფილებაში დაუყონებლივ აცნობეთ როგორც ცენტრალურ კომიტეტს, ისე „რემედასის“ სრულიად საქართველოს განყოფილებას.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი—**კოსტანიანი.**

ცეკას სააგიტ. საპროპაგანდო განყ გამგე—**ბახტაძე.**

კაპიტალის ციხეების საკანებში მოთავსებულ პატიმრებმა უნდა იგრძნონ მუშურ-გლეხური ზურგის მტკიცე მზრუნველობა. ჩაეწერეთ რემედასში!

„რემედასს“-ი და მისი ამოცანები

(თეზისები მოხსენებისათვის)

1. თანამედროვე ხანა ხასიათდება კლასობრივ წინააღმდეგობათა უკიდურესი გამწვავებით. მსოფლიო კაპიტალი მუშათა კლასის მდგომარეობის თანდათანობით გაუარესებით ცდილობს თავის ბრძანებლობის გახანგრლივებას. სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის შემცირება, რევოლუციონური პარტიების სასტიკი დევნა,—ამგვარია ძირითადი საშუალებანი, რომლითაც ბურჟუაზია ცდილობს თავის დაღუპვის საათის გადიდებას.

2. მთელ რიგ ქვეყნებში კლასიურმა ბრძოლამ სამოქალაქო ომის ხასიათი მიიღო და მიაღწია ფაშისტური მუშტის გამარჯვებას (იტალეთი, ბულგარეთი, ვენგრეთი), ებერტის „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ქურქის ქვეშ გერმანეთში ფაქტიურად ფაშისტები ბატონობენ. პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი თავისი ბატონობის მაგალითს მისდევენ. ინგლისში მუშათა კლასის მთავრობის გამოჩენა და „მემარცხენე ბლოკის“ გამარჯვება საფრანგეთში,—ეს მუშათა კლასის აქტიობის ზრდით გამოწვეული ბურჟუაზიის ტაქტიკური მანევრებია, რომლითაც თეთრი ტერორისა და რეპრესიების საერთო სურათი არ იცვლება.

3. კაპიტალთან ბრძოლის პროცესში პროლეტარიატი დიდს მსხვერპლს იღებს. თავისი აპარატის—პრესისა, სასამართლოსი, ეკლესიისა, ჟანდარმერიის წყალობით ბურჟუაზია მუსრს ავლებს მუშათა კლასის ავანგარდს, სპობს მის წელადებს—(კარლ ლიბკნეხტი, როზა ლიუქსენბურგი, იოგიხესი, ლევინე, კინგისენი, კრეუკსი და სხვა), და მოქმედების საშუალებას ართმევს პროლეტარიატის საქმისთვის უფრო გაბედულს და მოწინავე მებრძოლთ. გერმანეთის ციხეებში ამჟამად 7 ათას პოლიტიკურ პატიმარზე მეტი იმყოფება, იტალეთში—5 ათასი, ბულგარეთში—4 ათასი, პოლონეთში 4,000, ისპანეთში—3,000, ფინლიანდიაში—1,200, ჰუნგრეთში—800 და სხვა მთელი ევროპის ციხეებში დაახლოვებით 50 ათასამდე რევოლიუციონერი მუშები და გლეხები იქნებიან დატყვევებულნი. ისინი იტანენ ციხის რეჟიმის მთელ საშინელებას—ცემას, წამებას, ყრუ საკნებში ჩამწყვდევას. ამას გარდა—იმპერიალიზმის ფერადი მონების ათეული ათასები ინდოეთისა, აფრიკისა და სხვა ახალშენების ციხეებში აღამებენ დღეებს. მათი ოჯახების წევრთა რიცხვი, რომელნიც საშინელს გაჭირვებაში და უიმედობაში იმყოფებიან, ორასი ათას აღემატება.

4. მსოფლიო კაპითალთან ბრძოლაში საერთაშორისო პროლეტარიატმა გამოსჭედა თვით დაცვის და შეტევის მტკიცე იარაღი—საერთაშორისო მუშათა სოლიდარობა. ამჟამად საერთაშორისო მუშათა კლასი, იღებს რა თავის-თავზე ზრუნვას ბურჟუაზიის კლანჭებში მოხვედრილ თავის ამხანაგების შესახებ,—ამით ის ანხორციელებს მებრძოლი პროლეტარიატის ზურგის შექმნის ამოცანას რიგებიდან დროებით გამოსულ ამხანაგთა დახმარებით. პროლეტარიატი ამით თავის მომავალ გამარჯვებას უზრუნველყოფს.

5. ამ დახმარებამ თავისი ორგანიზაციული გამოსახულება ჰპოვა „რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების“ დაარსებაში (რემედასსი). **რემედასსი** 1922 წ. „ყოფ. პოლი. კატორღელების საზოგადოებისა“ და „ძველი ბოლშევიკების“ საზოგადოებათა ინიციატივით დაარსდა. კომინტერნის მეოთხე კონგრესმა ამ ინიციატივას მხარ დაუჭირა და მიიღო დადგენილება —მთელი ქვეყნის კომპარტიების მიერ **რემედასსის**-მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღების შესახებ. რ. კომპარტიის ცეკამაც განსაკუთრებული ცირკულიარით მიუწერა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ ინიციატივისათვის ყოველგვარად ხელი შეეწყოთ.

6. რემედასსი—ეს საზოგადოებრივ კლასიური ორგანიზაცია არის, რომელსაც საფუძვლათ უდევს—თავისუფალი წესით მის წევრად შესვლა. ს. ს. კ. რესპუბლიკებში რემედასსის წევრად ყოველ მშრომელს შეუძლია იყვეს—სქესის განურჩევლად, 16 წელს მიღწეული, რომელსაც არა აქვს მოსპობილი საარჩევნო პასიური და აქტიური უფლება და რომელიც იღებს მონაწილეობას რემედასსის განყოფილებებისა ამ მისი ორგანოების მუშაობაში. ვისაც აღნიშნულ წლოვანებას არ მიუღწევია (პიონერები) მათ შეუძლიათ შეადგინონ რემედასსის დამხმარე განსაკუთრებული ჯგუფები, რემედასსის „ახალგაზრდა ჯგუფები“ და სხვა.

7. ს. ს. კ. რესპუბლიკებში რემედასის წევრად ამ ჟამად 2 მილიონამდე კაცი ირიცხება. რემედასის ამგვარი ზრდა მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად ახლო სდგას და გასაგებია მისი ლოზუნგები და იდეები, იმ მშრომლებისთვის, რომლებმაც თავის თავზე გადაიტანეს ცარიზმის და ბურჟუაზიული ხელისუფლების ყოველგვარი საშინელებანი. თავისი მუშაობის მანძილზე რემედასმა 700 ათასამდე მანეთი შეკრიბა, იმათგან—ბურჟუაზიულ ციხეებში ჩამწყვდეულ ამხანაგების დასახმარებლად გადაგზავნა ხუთ ათას მანეთამდე. დანარჩენი ფული რემედასის სათადარიგო თანხებში გადირიცხა, რომლებიც საჭიროა საჩქარო დახმარებისათვის, როცა თეთრი ტერორი და რეაქცია საშინელსა და განსაკუთრებულ მძვინვარებას დაიწყებენ. რემედასის ცეკა ორგანიზაციულ ხარჯებს ჰფარავს თავისი გამოცემების გავრცელებით მიღებულ შემოსავლიდან. კაპიტალის ტყვეებისათვის გაწეულ დასახმარებელ თანხებს რემედასი იღებს თავისუფალ შეწირულებებიდან და მისი ორგანიზაციების საწევრო გადასახადებიდან.

8. ყველაზე ძლიერი რემედასის სექცია ს. ს. კ. რესპუბლიკებში იმყოფება, სადაც რემედასის 85 საგუბერნიო განყოფილება აქვს. საზღვარ-გარეთ რემედასს ყავს თავისი სექციები გერმანეთში, იტალეთში, საფრანგარეთში, პოლონეთში, ისპანეთში, ლატვიაში, ლიტვაში, ბულციათა უმრავლესობა საზღვარ გარეთ არალეგალური—ან ნახევრად ლეგალურია, რაიცა, რასაკვირველია, თავის დალს ასვავს მათი მუშაობის მსვლელობას: მათ არ შეუძლიათ სავსებით დააკმაყოფილონ თავისი საშვალებიდან პატიმარნი. რემედასის მიერ წარმოებულ პატიმართა ან მათი ოჯახების დახმარების 90 პროც. ამიტომ ს. ს. კ. რესპუბლიკების მშრომელთ ხვდებათ.

9. რემედასის მუშაობა მარტო ჭონებრივი დახმარებით არ განისაზღვრება. არა ნაკლებადაა საჭირო მორალური დახმარებაც. უნდა ვუჩვენოთ რევოლიუციისთვის მებრძოლ პატიმრებს, რომ ისინი მიტოვებულები არ არიან, დავიწყებას არ არიან მიცემული, რომ, მიუხედავად საზღვრებისა და ციხის გალიებისა, მსოფლიო პროლეტარიატი და მისი ავანგარდი—ს. ს. კ. რესპუბლიკების პროლეტარიატი მათთვის ზრუნავს. ეს მორალური დახმარება გააღვიძებს და გააძლიერებს რწმენას, განამტკიცებს

პატიმართა იმედს და დაეხმარება მათ ადვილად გადაიტანონ ციხის ცხოვრების ყოველგვარი შევიწროებანი და საშინელებანი.

10. პატიმრებისათვის ზნეობრივი დახმარება უფრო მკაფიოდ გამოიხატება კაპიტალის პატიმრებზე შეფობის მიღებაში. პირველად ეს იდეა გატარებულ იქნა ცხოვრებაში ს. ს. კ. რესპუბლიკებში, სადაც რემედასის 40 საგუბერნიო ორგანიზაციებზე მეტი დასავლეთის პატიმართა შეუებად ითვლებიან, მაგ., ტომსკი ითვლება რომის ციხის შეფად, ხარკოვი—მიუნსტერისა, პერმი—ფორდოსა (იტალეთი), პოლტავა—პლევნის (ბულგარეთი), ვიატკა—ნიდერ-ბენენდელფის (ბავარია) და ბრესლავლის (სილეზია), კოვნო (ლიტვა), ვინსკი—ბელოსტოკისა (პოლონეთი), სიმფეროპოლი კონსტანტინეპოლისა კრასნოიარსკი—გამბურგისა, ჩელიაბინსკი—ლოდზისა, (პოლონეთი) დ სხვა. რემედასსის საშეფო ორგანიზაციების წევრები, რემედასსის წევრები რემედასის ცეკას საშუალებით შეფობის ქვეშ მყოფ ამხანაგებთან აწარმოებენ მიწერ-მოწერას, იღებენ მათგან საპასუხო წერილებს, უგზავნიან მათ საჩუქრებს და სხვა.

11. ამგვარი ზნეობრივი და ქონებრივი დახმარებით „რემედასს“-ი მიზნად ისახავს—პატიმრებს შეუნარჩუნოს სიცოცხლე მომავალ სარევოლიუციო ბრძოლებისათვის. როდესაც დასავლეთში რევოლიუცია იფეთქებს. აღმსდგარ პროლეტარიატის მიერ განთავისუფლებული პატიმრები, როგორც დიდი რევოლიუციონური გამოცდილების მქონენი, შეძლებენ მებრძოლი პროლეტარიატის ძალთა გამაგრებას და მით დააჩქარებენ დასავლეთში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებას. აქედან ცხადია, რომ რემედასსი საქველმოქმედო დაწესებულება კი არ არის, არამედ კლასობრივი სარევოლიუციო ორგანიზაცია პროლეტარიატისა.

12. პატიმართათვის დახმარებასთან ერთად რემედასი არ ივიწყებს აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომლებიც, ბურჟუაზიული მთავრობის მიერ დევნილნი, საშინელი შევიწროებისა, სიკვდილის მუქარის ქვეშ მყოფნი, იძულებულნი არიან თავი შეაფარონ საბჭოთა რუსეთს, რომელიც არის დასავლეთის ყველა რევოლიუციონერისათვის ნავთსაყუდელი. რემედასის ცეკასთან გამოყოფილია ცალკე სპეციალური კომიტეტი პოლიტ. ემიგრანტების საქმეების შესახებ, ეს კომიტეტი დახმარებას უწევს და ადგილებზე განაწესებს რუსეთში იძულებით გადმოსახლებულ პოლიტ. ემიგრანტებს.

13. ს. ს. ს. რესპუბლიკებში არსებული რემედასი, როგორც საზოგადოებრივი კლასიური ორგანიზაცია, ხელს უწყობს კავშირის განმტკიცებას რუსეთისა და საზღვარგარეთელ მშრომელ კლასის შორის. ესევე ორგანიზაცია შკოლად ხდება, რომლის წყალობითაც უპარტიო მშრომელთა დიდი მასა, რემედასის ადგილობრივ ორგანიზაციებში შეკავშირებული, შედის საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის საერთო ოჯახში. თავიანთ შეფობის ქვეშ მყოფ პატიმრებთან კავშირის მეოხებით რუსეთის მშრომლებს ადვილად შერძლიათ დასავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობას თვალ-ყური ადევნონ. ამაში მდგომარეობს რუსეთის რემედასის დიდი აღმზდელობითი მნიშვნელობა.

14. რემედასსის მახლობელ ამოცანათ ითვლება: თეთრი ტერორისა და საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობის შემსწავლელ საორგანიზაციო წრეების შემწეობით, რუსეთის რემედასის უჯრედების მუშაობის გაღრმავება, რემედასის კუთხეების მოწყობა და სხვა. საზღვარგარეთის მუშაობის გაძლიერება, იქიდან საშუალებების მოხიდვა, და იმ ქვეყნებში სექციების მოწყობა, სადაც ამგვარი არ მოიპოება, და ადგილობრივი ორგანიზაციების ცენტრთან კავშირი, სააგიტაციო-საპროპაგანდო და საგამომცემლო მუშაობის გაძლიერება და სხვა.

საზღვარგარეთი.

თეთრი ტერორი.

გერმანიაში.

ამ ბოლო ხანებში საქსონიაში 152 მუშათა საქმე ირჩეოდა, რომელთაც ბრალი ედებოდათ „სახელმწიფო ღალატი“, საზოგადოებრივი წესებისა და მშვიდობინობის დარღვევა. მათ მთლიანად 96 წლის ციხე და კატორღა მიუსაჯეს, ამას გარდა, იმავე სამი კვირის განმავლობაში, დაჯარიმებული იქნა 286 საქსონიის მუშა საერთოდ 22.812 ოქროს მანეთით.

— ჰამბურგში მომხდარ აჯანყების შემდეგ დაიწყო სასამართლოს პროცესი 22 ამხანაგის წინააღმდეგ, რომელთაც ბრალათ ედებათ გაფიცვის დროს „საზოგადოებრივი მყუდროების დარღვევა“.

პარალელურად 49 ამხანაგის პროცესი სწარმოებს, რომელთაც ბრალა ედებათ 1923 წ. აჯანყებაში მონაწილეობის მიღებაში ჰამბურგის მახლობლად ალტრასტედში მნიშვნელოვანი არეულობები მოხდა. 49 ბრალდებულიდან ერთი იქნა გამართლებული, დანარჩენებს მიესჯათ ციხე 6 თვიდან წელიწად და ცხრა თვემდე.

— ჰამბურგის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე განყოფილებაში ირჩეოდა 17 პირის საქმე, რომელთაც ბრალათ ედებოდათ კომპარტიის წევრობა, ამ უკანასკნელის არალეგალობის დროს. ყველას მათ დანაშაულობათ ეთვლებათ კომუნისტური ყრილობების მოწყობა, ბროშიურების გასაღება და პროკლამაციების გავრცელება.

— მასიური პროცესები. მიუნხენში ირჩეოდა 8 მუშის საქმე, რომელთაც ბრალათ ედებოდათ დაშლილად გამოცხადებული კომპარტიისთვის დახმარების აღმოჩენა. სახალხო სასამართლომ ბრალდებულებს მიუსაჯა ციხე 3 კვირიდან 8 თვემდე.

— ჰეტინგენის სასამართლომ რვა მუშას მიუსაჯა კატორღა საერთოდ 89 წელი და 7 თვე.

— ჰამბურგის სასამართლო არჩევდა გემის ამშენებელი მუშა რემკეს საქმეს, რომელსაც ბრალს სდებდენ იმაში, თითქოს ის მონაწილეობას იღებდა ორმოცდა მეორე საპოლიციო უბნის დაპყრობაში და თოფს უმიზნებდა პოლიციელს, თუმცა კი არა უსვრია. პროკურორმა განაცხადა, რომ არ შეიძლება მუშას ვინტოვკა ჰქონდეს ხელში და არ გაისროლოსო. ასეა თუ ისე, ბრალდებულმა მუშამ, ესროლა თუ არა ვინტოვკა, 4 წლის ციხე მაინც მიიღო სასჯელათ.

— ხემნიცის სასამართლომ ანნაბერგის 5 მუშას საერთოდ რვა წელი და 4 თვე მიუსაჯა ფაშისტების აღლუმის დარღვევისათვის.—ფრეიბერგის სასამართლომ—ცხრა მუშას, აკრძალულ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის, საერთოდ მიუსაჯა 1 წლის და 8 თვის ციხე და ჯარიმათ 436 მარკა. იმავე სასამართლომ 42 ბრალდებულს უწესოებაში მონაწილეობის მიღებისათვის საერთოდ 23 წლის და 2 თვის ციხე მიუსაჯა.

— ლეიპციგის საიმპერიო სასამართლო არჩევდა ორი წლის განმავლობაში წინასწარ ტყვეობაში მყოფი ორი კომკავშირელის—ვიშნევსკისა და ერიხ ბემსის საქმეს, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებათ. „სახელმწიფო ღალატი“ გამოიხატებოდა იმაში, რომ რეიხსტაგის კომფრაქციისათვის ისინი კრებდენ მასალას აღმოსავლეთ პრუსიაში ფაშისტური ბანდების მუშაობის შესახებ. პროკურორს არ შერცხვა წამოეყენებია ბრალდება ჯაშუშობაში პოლონეთის სასარგებლოდ, მოსყიდვაში, და, ამასთან ერთად,—წინადადებას იძლეოდა 10 წლის კატორღა მიესაჯათ მათთვის. დამცველმა ადვილად დაამ-

ტკიცა გრალდების სრული უნიადაგობა. განაჩენი—ვიშნევსკის—წელიწად ნახევარი ციხე, ბემს—სამი თვის ციხე, წინასწარი დატუსაღების ჩათვლით.

პოლონეთში.

პატიმართა სახარგებლოდ შემოწირულების შეკრებისათვის—ციხე.

23 აპრილი. ვარშავის ახლოს მდებარე კასელსკაში პატიმართა სასარგებლოდ შემოწირულებათა შეკრების—საათს დაპატიმრებულ იქნა 14 მუშა. 24 საათის განმავლობაში ისინი დაჭერილები ჰყავდათ, შემდეგ კი 25 კილომეტრით დაშორებულ ქ. პუტუსუკში ფეხით წაიყვანეს. ქ. პულტუსუკში ამხანაგები 24 საათის განმავლობაში კომისარიატში ჰყავდათ ისე, რომ საჭმელი არ მიუციათ. დაჭერის მიზეზად გამხდარა ამ ამხანაგების მიერ წარმოებული შემოწირულებათა აკრება. ხელის მოწერა იყო „სოფლისა და ქალაქის მუშათა კავშირის სასარგებლოთ. ამასთან ერთად შეპყრობილ იქნენ ამ შეწირულების მიმცემნიც.

— **სიმშილობა**. 7 მაისს ლოძჩი წინასწარ ტყვეობაში მყოფ 45 პატიმარმა სიმშილობა გამოაცხადა. ცხოვრების პირობები ისეთი მძიმეა, რომ პატიმრებმა სხვა ციხეში გადაყვანა მოითხოვეს.

11 მაისს კრაკოვის წმ. მიხეილის ციხის 40 პატიმარმა სიმშილობა გამოაცხადა. სიმშილობა მოულოდნელად იქმნა გამოცხადებული. ცხადია—სიმშილის მიზეზად ციხის ადმინისტრაციის დაცინვა და პატიმართა აბუჩად აგდება უნდა გამხდარიყო.

— მთელი თვეების განმავლობაში ლვოვის ციხეში ზის ამხ. ანტონ ჩერნეცკი, მუშათა მოძრაობის ერთი ძველესი მესვეურთაგანი. ამხ. ჩერნეცკი ავადაა. ცნობილმა ექიმმა პანჩოშინმა ავადმყოფს „ბრონხიტი“ აღმოუჩინა და შესაფერი წამალი გამოუწერა. ამხ. ჩერნეცკის ცოლმა წამალი ციხის ადმინისტრაციას გადასცა ავადმყოფისათვის გადასაცემად. ადმინისტრაციამ მოითხოვა რეცეპტის შემოწმება ციხის ექიმის მიერ და წინადადება მისცა წამალი ციხის სამართველოს ეყიდნა პატიმარის ხარჯზე. ციხის ექიმმა რეცეპტი დაამოწმა, ამხ. ჩერნეცკის ცოლმა ადმინისტრაციას 11 მილიონი მარკა გადასცა წამლის საყიდლად, ამხ. ჩერნეცკის კი დღევანდლამდე წამალი არ მიუღია.

საფრანგეთში.

სენის დეპარტამენტის პროფკავშირის ფედერაციის პირველი მაისის მოწოდება ნაწილობრივ მიძღვნილი არის პოლიტიკურ პატიმართადმი. აქ სწერია: „ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ აფრიკის კოლონიალურ კატორღებში სულს ღაფავენ საცოდავი ჩვენი ამხანაგები. ამხ. —მორანი, კოტეტენი, გასტონ როლანი და ათასი სხვა იტანჯებიან ციხეებში მხოლოდ იმისთვის, რომ მათ გამბედაობა იქონიეს და ყველას გასაგონად განაცხადეს ის, რასაც ყოველი ჩვენგანი ფიქრობს“.

— **რურში.**—მაინცის სამხედრო ციხეში ამ ჟამად კიდევ იმყოფება 120 ათასი ამხანაგი. თებერვლის პირველ რიცხვებში დიუსელდორფიდან ამხანაგები კირტნერი და ზარესნერი შეპყრობილ იქმნენ და ისე სცემეს მათ, რომ საჭირო გახდა მათი საავადმყოფოში გაგზავნა. მათ მისჯილი აქვთ რამდენიმე თვის ციხე, მოწყვეტილები არიან თავიანთ ოჯახებს და გაგზავნილები ცვეიბრიუკენის სამხედრო ციხეში. დინსლაკისკის პარტიის კომიტეტის მდივანს ამხ. კოპს რამდენიმე თვის ციხე აქვს მისჯილი მხოლოდ იმიტომ, რომ უარი განაცხადა პოლიციისთვის მიეცა ორგანიზაციის წევრთა სიები. 10 წლის ციხეზე მეტი აქვთ გადაწყვეტილი: ნეიბერტიდან—4 ამხანაგს, ბოხუმიდან—რვას, დიუსელდორფიდან—4, ბიურიდან—ორს, ბოლესევიდან—ხუთს, ესენიდან—3 და გერნედან—4. ვეტტენში ორ ამხანაგს მისჯილი აქვს 6 თვის ციხე და ჯარიმა 2 ათასი ოქროს მარკა. თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, მაშინ 3 ნახ. წელიწადი ციხე.

— პოლიტიკური ტყვეებისათვის საერთო ამნისტია—ლოზუნგია, რომლითაც ტარდება თითქმის ყველა დემონსტრაციები და კრებები საფრანგეთის მრავალ ქალაქებში. უფრო ენერგიულ ბრძოლას პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათვის ამ ახლო ხანში ციხიდან განთავისუფლებული ამხანაგები—მარტი და მოლლი ეწევიან.

— რომანიეში საერთო გაფიცვას სერიოზული შეტაკება მოჰყვა ჯარსა და აჯანყებულთა შორის. 30 აპრილს შეპყრობილ იქმნენ აჯანყების ხელმძღვანელნი, რომელთაც სასტიკად სცემეს. 2 მაისს აჯანყებულებმა მოაწყვეს კრება, რომელზედაც გამოტანილ იქმნა დადგენილება—დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივი განთავისუფლების შესახებ. კრებაზე დამსწრე ათასამდე აჯანყებულმა დაადგინა, თუ ვინიცობაა, პატიმართ არ გამოუშვებენ, მაშინ ისინი წავლენ ციხეში და განუცხადებენ, რომ ისეთივე საქმე გააკეთეს, რასაც ისინი ემსახურებიან.

— 4 მაისს პარიზის სასამართლოში ირჩეოდა საქმე ამხ. კამილა რენოსი, რომელსაც ანტიმილიტარისტური პროპაგანდა ჰბრალდებოდა სასამართლომ რენოს 6 თვის ციხე გადაუწყვიტა და 1000 ფრანკის ჯარიმა.

„თავისუფალ“ ამერიკაში.

— ამერიკული გაზეთი „Sabor Herold“ 21 აპრილს რიცხვით იტყობინება: მარტის დასაწყისში პანსილვანიის შტატის ციხიდან გაანთავისუფლეს ვინმე ვილიამ მემფორდი. ეს უკანასკნელი ფოლადის ტრესტის ხელში კარგი იარაღი იყო ჯეკობ დონისათვის ბრალდების თავზე მოსახვევად, რის შედეგადაც დონის 17 წლის ციხე მიუსაჯეს. მემფორდი—ერთი პროვოკატორ—აგენტთაგანია, რომლითაც ფოლადის ტრესტი სარგებლობდა დაოლას წინააღმდეგ. დაოლა კიდევ ციხეში ზის.

მემფორდმა პირველმა გამოამჟღავნა ამ პროცესის სიმართლე 1922 წ. 30 დეკემბერს. მან თითქმის 1000 სიტყვისაგან შემდგარი მონანიება დასწერა, რომელიც 1923 წელს თებერვალში იქნა გამოქვეყნებული და რომლითაც ის ადასტურებდა, რომ დაოლას წინააღმდეგ მის მიერ მიცემული ჩვენებანი,—ყველა ყალბია. აი მისი ჩვენების ადგილი! „ტყვეობისაგან დავუძლურდი და წამების ატანა მეტი აღარ შემეძლო. მე იძულებული ვიყავი ჩვენებები მიმეცა, ვიცოდი რა წინასწარ რომ ისინი ყალბი იყო. ისინი მცემდენ და განუწყვეტლივ მაწამებდენ, ვიდრე არ უთხარი, რაც იმათ უნდოდათ. წინააღმდეგობის გაწევა აღარ შემეძლო. ჭრილობაზე მცემდენ. რაც იმათ მიკარნახებს, არც ერთი სიტყვა მართალი არ არის, მაგრამ იმათ მაინც მაიძულეს ფიცი მიმეცა“.

ესტონეთში.

— ესტონეთის პროლეტარიატის საერთო ბელადის —კინგისენისა და პარტიის საუკეთესო ორგანიზატორის ამხ. კრეუკსის მკვლელობა, შემაერთებელი გახდა ესტო-

ნეთის „დემოკრატიული“ რესპუბლიკისა, მუსოლინისა, და ხორეტის „რესპუბლიკებთან“. მაგრამ—მიუხედავად ამისა მუშათა მოძრაობა მაინც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ბურჟუაზიული პრესა კარგახანია—კომუნისტების დარბევას მოითხოვს. ახლა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს „მტკიცე ხელი“ 230 მუშათა ორგანიზაცია და კავშირები იქნა დახურული, დაიჭირეს 300 მდე აქტიური მომუშავენი და მუშები, პარლამენტის კომუნისტური ფრაქციის, მუშური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმართველობათა ყველა წევრები.

ჩხრეკა-რბევის დროს მუშთა ორგანიზაციების ბევრი შენობა დაარბიეს. ბევრს ადგილის პროფკავშირების შენობები ნანგრევებათ გადააქციეს, მთელს ქონებას კონფისკაცია უყვეს. განსაკუთრებით „მცველები“ რეველში მუშაობდენ. რეველის მუშათა ორგანიზაციები სარდაფის სამ პატარა ოთახში იყო მოთავსებული და ეს ოთახებიც ქალაქის თვითმართველობის მოწყალებით ჰქონდათ კავშირებს დათმობილი. სარდაფმა „მუშათა სარდაფის“ სახელწოდება მიიღო. ჩხრეკის დროს „მცველებმა“ ამ „მუშათა სარდაფში“ „კაპიტალისტური რეაონტი“ მოახდინეს. მთელი იატაკი დამტვრეულია, კედლის ნალესი სულ ჩემოფხიკეს ,,გმირი მცველები'' იარაღის საწყობებს ეძებდენ, იატაკ ქვეშ სტამბასა,—მაგრამ ვერ ნახეს. სხვა ქალაქებშიც არანაკლები ბრაზმორევით აწიოკებდენ პროფკავშირების შენობებს.

— მთელი ციხეები გავსებულია. საკანებში, სადაც ჩვეულებრივათ 10 კაცი იყო ხოლმე მოთავსებული, ეხლა „შემჭიდროებით“ მოათავსეს თითოში 20—25 კაცამდე, ახალი ძალების შემატებამ ციხე გამოაცოცხლა.

— ცხოვრების პირობები უფრო სასტიკი შეიქნა. პატიმრებს ხშირად აჯარიმებენ, უფრო კი იმიტომ, რომ ციხის უფროსებს რომელიმე მათგანის სახე არ მოსწონს ხოლმე. დაჯარიმება გამოიხატება: საკანში ჩასმაში, სურსათის გამოწერაში. უფლების წართმევაში, გასეირნებისა და მომსვლელების ნახვის ძოსპობაში. ამგვარი დაჯარიმების მსხვერპლი გახდენ მუშა ქალები, რომელთაც ინტერნაციონალისა და სხვა სარევოლიუციო სიმღერების მუშა ქალთა საერთაშორისო დღე იდღესასწაულეს. ამ გვარი დაჯარიმების გახშირებისათვის პატიმარნი სიმბოლობას აცხადებენ, რის შემდეგაც ცხოვრების პირობები ცოტა რბილდება. ამ ჟამად ესტონეთის ციხეებში მოთავსებულია 300 პროლეტარი.

რ უ მ ი ნ ე თ შ ი.

თეთრი ტერორის თარეში რუმინეთში სულ უფრო საშინელ სახეს იღებს. ამას წინად დახურულ კომუნისტურ ყოველდღიურ გაზეთის „სოჩიალიზმულის“ ნაცვლად გამოსული გაზეთი—„კომუნისტური ბრძოლა“-ც დაკეტილ იქნა. კომპარტიას უფლება აქვს წართმეული გამოსცეს რაიმე ორგანო. მთავრობის განსაკუთრებული განკარგულებით რუმინეთის ყველა სტამბებს ეკრძალებათ სამხედრო ცენზურის წინასწარი ნებართვის გარეშე რაიმე დაუბეჭდონ კომუნისტებს.

12 აპრილს შეპყრობილ და მე-2 კორპუსთან არსებულ სამხედრო სასამართლოს გადაცემულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: გ. კრისტესკუ, ალ. დობროჯან-გვრეა, იმრე ალადარი, ანდრია პეტრაჩანუ, ელენა ფილიპოვიჩი, სტუდენტი ზახარესკუ, ვაზილესკუ ვასია და სხვები.

გლაცში—კომპარტიის მიკედლებისათვის შეიპყრეს რამდენიმე ამხანაგი. ქალთა ორგანიზაციები, ვითომ და როგორც კომუნისტური გაერთიანებანი, აკრძალულნი არიან. სასპორტო გაერთიანება, „ბუნების მეგობრები“-ც აკრძალულია მიუხედავად იმისა, რომ მასში სოც-დემოკრატებიც შედიოდენ, გაზეთები „მუშა“ და „სინათლე“—დახურულია. მწერალი,—ამბ. ლესტენაუ შეპყრობილ და გადასახლებულ იქნა რუმინეთის საზღვრებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის რუმინეთის ქვეშევრდომია.

12 აპრილს დატუსაღებულმა ამხანაგებმა, რომელთა რიცხვშიაც იყვნენ პარტიის აკრძალულ ორგანოს „სოციალიზმულის“ რედაქტორი ვაზილესკუ-ვასა, ამბ. ანნა პიუკერი,—რემედასის რუმინეთის სექციის მუშაკი და ახალგაზრდათა ჟურნალ „სოციალისტურ ახალგაზრდას“ რედაქტორი ამბ. ნუნცა ფილიპოვიჩი და სამი სტუდენტი—პროტესტის ნიშნად სიმშილობა გამოაცხადეს, რაც დღევანდლამდე გრძელდება იმისათვის, რომ დღევანდლამდე არავითარი ბრალდება არა იქვთ მათ წაყენებული და დაკითხვაზე არ არიან გამოძახებულნი. ვგრედ წოდებულ „დემოკრატიულ“ პრესის მიშარა შეკითხვებზე, რათ გრძელდება კომუნისტების მასიური დაპატიმრებანი მაშინ, როდესაც ბრალდებული—ფაშისტები თავისუფალნი არიან მთავრობის ორგანომ -„გამარჯვებამ“ უპასუხა, რომ კომუნისტები თავისი რწმენისათვის კი არა, არამედ სახელმწიფო ღალატისთვის არიან დასჯილებიო...

ე გ ვ ი პ ტ ე.

მაისის დასაწყისს შეპყრობილ და სამართალში იქნა მიცემული 19 კომუნისტი, რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობას აბრალებდენ. შეპყრობილთა შორის არიან ამბ. ხოსინი და არაბი—ეგვიპტეს კომპარტიის მდივანი. ისინი მოთავსებულები არიან ციხეში სისხლით დამნაშავეებთან ერთად, მათ საშინლად დასცინიან და აიძულებენ ფეხშიშველა იარონ. ზოგიერთი ამხანაგები დაავადმყოფდენ და მათი სიცოცხლე განსაცდელშია. მათი ტყვეობის ადგილი არ არის გამორკვეული. პატიმართ ასფალტის იატაკზე ეძინავთ. ერთად ერთი მათი საჭმელი—არჟანოვის შავი პურია, ზოგიერთებმა ამგვარ მოპყრობის საპროტესტოდ, სიმშილობა გამოაცხადეს დაპატიმრება გრძელდება. ზაგლულ ფაშის მთავრობის მმართველობის ამგვარი მეტოდების წინააღმდეგ კომპარტიამ პროტესტი განაცხადა, რადგან მთავრობა იჭერს მხოლოდ იმისთვის, რომ კომუნინტები სცდილობენ პროფკავშირებში მუშათა ორგანიზაციები მოაწყონ.

როცა ერთი თვის წინ ეგვიპტეში სახელმწიფო მოსამსახურეთა გაფიცვამ იფეთქა, მთავრობამ განკარგულება გასცა ეგვიპტის კომპარტიის ყველა პარტ. მომუშავეებისა და პასუხისმგებელ პროფესიონალური მომუშავეების დაპატიმრების შესახებ. მთავრომ იარაღსაც კი მიჰმართა მუშათა მოძრაობის ჩასაქრობად. პოლიციამ ას ამხანაგის მეტ ბინაზე მოახდინა ჩხრეკა და პროფკავშირების კანცელარიები დალუქა.

ჰ რ ო ნ ი კ ა

მ ო ს კ ო ვ შ ი.

— რემედასის მოსკოვის კომიტეტმა ფაქტიურად განავითბრა თავისი მუშაობა მარტის თვიდან და მოახდინა რემედასის მართველობის ახალი არჩევნები. ამ ხნის განმავლობაში შემდეგია გაკეთებული: 18 მარტს მოეწყო დღე კაპიტალის ტყვეთა დი მათი ოჯახების—საერთაშო-

რისო დახმარების. ამ დღისთვის ფაბრიკა-ქარხნებში კრებებზე გაკეთებულ იქნა მოხსენებები რემედასის მნიშვნელობის შესახებ. კლუბებში რემედასის სასარგებლოდ გამართულ იქნა კონცერტები და წარმოდგენები. კრებებსა და თეატრებში შეწირულებათა აკრეფა სწარმოებდა, რამაც საგრძნობი თანხა მოგვცა. მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 17-18 მარტს სწარმოებდა ლიტერატურისა და მარკების გაყიდვა, რომელმაც 400 მანეთზე მეტი (ოქროთი) მოგვცა.

რემედასის უწყების ფართე პროპაგანდის შედეგი ამგვარია: 1 მაისისთვის რემედასის წევრთა რიცხვი მოსკოვში 100 ათასზე მეტი იყო, 500 უჯრედია. უჯრედები რაიონებათ არის დანაწილებული: ბაუმანოვის რაიონში—100 უჯრედი, ზამოსკვორეჩიეში—77, ხამოვნიჩესკში—51, წითელ პრესანენსკში—100, სოკოლნიჩესკში—100 და როგოჟო სიმონოვსკში—55 რაიონებში გატარებულია უჯრედების ბიუროების პლენუმები რემედასის ამოცანებისა და მათ პრაქტიკული ღონისძიებათა შესახებ. შემუშავებულია დებულებები რემედასის საგუბერნიო, სამაზრო და რაიონული კომიტეტებისა და რემედასის პირველი უჯრედის შესახებ, და დაგზავნილია ადგილებზე განსახილველად—რემედასის მოწოდებებს მოსკოვის მშრომელი ხალხი ფხიზლად ეხმაურება, და მთელ რიგ დაწესებულებებში რეზოლიუციებია გამოტანილი რემედასში შესვლისა და რევოლიუციის მეპრძოლთა ყოველმხრივი დახმარების შესახებ.

— ციმბირში პირველმა ბოდაიბინსკის უპარტიო მუშათა კონფერენციამ, მოისმინა რა მოხსენება „რემედასის“ ამოცანების შესახებ, მუშათა განთავისუფლებისათვის ყველა ნამდვილ მებრძოლთ. გაუგზავნა მილოცვა მორალურისა და ჭონებრივი დახმარების აღმოჩენის აღთქმით. დახმარების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით, კონფერენციამ ერთხმად დაადგინა. ჩაეწეროს „რემედასს“-ის წევრთა რიცხვში. კონფერენცია ამავე დროს, მოუწოდებს რადრაიონის ყველა პროლეტარებს ამგვარი ნაბიჯმსაკენ და ადგენს—მიიღოს შეფობა იაპონიის ერთ-ერთ ციხეზე.

— 23 აპრილს ქ. ეკატერინბურგში შესდგა „რემედასის“ საოლქო კონფერენცია. წარმომადგენლობითი ნორმა ოლქისთვის—1-1000 ზე, ქალაქისათვის—1-300-ზე. დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და „რემედასის“ ამოცანები. 2) საორგანიზაციო საკითხი. 3) საოლქო და სარევოლიუციო კომიტეტების მოხსენებანი. 4) არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

— 17 აპრილის დღე ხაბაროვსკში (დღე ლენის ამბებისა) ჩატარდა, როგორც „რემედასის“ დღე.

— ქვემო-ნოვგოროდის ლითონის ქარხნის 2 ათასი მუშების კრებამ დაადგინა—1 მაისის აღსანიშნავად ყველანი კოლექტიურად ჩაეწეროს „რემოდასის“ რიგებში.

— ტულის „რემედასის“ საგუბერნიო კონფერენცია შეიკრიბება 16 მაისს. დღის წესრიგი: 1) „რემედასის“ ცეკას მოხსენება. 2) საგუბერნიო მმართველობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები. 3) მოხსენებები ადგილებიდან. 4) „რემედასის“ მუშაობის პერსპექტივები მუშაგლეხთა შორის. 5) არჩევნები. საარჩევნო ნორმა 500 კაცზე 1 წარმომადგენელი. სამაზრო უჯრედები და ორგანიზაციები, რომელთაც ყავთ 500 კაცზე ნაკლები 1 დელეგატს გზავნიან.

— ტულის თოფის ქარხნის საინსტრუმენტო განყოფილების მუშები, პირველი მაისის მნიშვნელობის შესახებ მოსმენილ მოხსენების შემდეგ, ერთხმად ადგენენ ყველანი ჩაეწეროს „რემედასის“ რიგებში.

— ეკატერინოსლავშჩინაში მაისი გამოცხადებულია „რემედასის“ წევრთა დაკვრითი წესით პილების დღეთ. ამ თვემ „რემედასს“ უნდა მისცეს 125 ათასი კაცი. ორგანიზაციაში ეწერებიან არა მარტო მუშა-მოსამსახურენი, არამედ სოფლელებიც, რომლებიც საბჭოს არჩევითი უფლებით სარგებლობენ.

— სტავროპოლის გუბერნიის საბჭოთა მეურნეობის მე-5 ღვინის რაიონის მუშა მოსამსახურეებმა—13 მარტს გამართულ საერთო კრების შემდეგ „რემედასის“ სასარგებლო დათესეს ათი დესეტინა ყუბანის პურისა.

— 30 აპრილს სტავროპოლში გაიხსნა „რემედასის“ საგუბერნიო კონფერენცია.

— კიევში 8 მაისს გაიხსნა „რემედასის“ საგუბერნიო კონფერენცია.

— კალუგის საგუბერნიო განყოფილებამ, დაიწყო სამაზრო განყოფილებების დათვალიერება. ორგანიზაციების 75 პროცენტი უკვე დათვალიერებულია. გამოირკვა, რომ ყველაზე კარგად მუშაობა დაყენებულია მუშებში, გლეხებში კი—ცუდად. გლეხობა „რემედასის“ მუშაობაში სუსტადაა ჩაბმული. კომპარტიის გუბკომთან შეთანხმებით გამომუშავებულია მთელი რიგი საშუალებათა—საზოგადოებებში მუშაობის გაძლიერების შესახებ.

— ვიატკის ცეცხლის მჭრობელებმა მიჰმართეს ნიუიორკის და სოფიის ცეცხლის მჭრობელებს. მამართვაში ვიატკის წითელი მჭრობელები საყვედურს უთვლიან ნიუიორკის და სოფიის მჭრობელებს—მათ ჟანდარმულ მოქმედებაში რევოლიუციონურ მუშებთან დამოკიდებულების დროს, კომუნისტების დევნაში, და ბურჟუაზიის ზურგის გამაგრებაში. ვიატკის მჭრობელები მოუწოდებენ მათ ჩადგენ მებრძოლ მუშათა რიგებში კაპიტალის ტყვეების დასახსნელად.

— რუსეთის ახალგაზრდა კომკავშირის ტერის საგუბერნიო განყოფილების პლენუმმა თერგის ახალგაზრდათა კომკავშირს მოუწოდა „რემედასის“ აქტიურ მუშაობისაკენ. მთელ თერგის ოლქში გაწეულ იქნას აგიტაცია ახალგაზრდა კომკავშირის წევრთა „რემედასში“ ჩაწერის შესახებ, ისე რომ 1 მაისისათვის ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა წევრები „რემედასის“ წევრებად ითვლებოდენ. თერგის განსაკუთრებული პირობების გამო დადგენილ იქნა—ეთხოვოს რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირს შეერთებულად იქნას ჩატარებული—გერმანიის ახკომკავშირის დახმარების და „რემედასის“ საორგანიზაციო კომპანიები, რადგან „რემედასის“ მუშაობა ერთგვარია, „რემედასის“ ადგილობრივ ორგანიზაციაში უნდა უსათუოდ რუსეთის ახკომკავშირის წევრიც შედიოდენ.

— კიევის განყოფილება შემდეგ კამპანიას აწარმოებს: „რითი ცხოვრობენ ჩვენს შეფობის ქვეშ მყოფნი“. მომხსენებლებათ გამოდიან ჩვენი შეფობის ქვეშ მყოფ ლვოვის ციხის ყოფილი პოლიტიკური ემიგრანტები—პატიმრები. სამაზრო განყოფილებების მუშაობის გასაძლიერებლად გამოყოფილია სპეციალური ინსტრუქტორი—ორგანიზატორი.

— მე-VI კორპუსის მესანგრე ბათალიონის კრებამ, მისასალმებელი წერილით მიჰმართა ბრესლავის ციხეში მჯდომს ჰელცს. წერილში სხვათა შორის, ნათქვამია. „იმუშავე პროლეტარიატის სასარგებლოდ, ჩვენ კი საჭიროების დროს დაგეხმარებით. თუმცა ჩვენ ცოდნით ვიარაღდებით მაგრამ ჩვენი ვინტოვკებიც მზადაა“.

— ტომსკის გუბერნიის სუჯინის № 10 მაღაროების კომპარტიის უჯრედმა, საერთო პარტიული კრების დადგენილებით, მისასალმებელი წერილით მიჰმართა იტალიის რეგინაჩელის ციხეში მჯდომ პოლიტკურებს.

— სასურსათო კომისარიატმა შემდეგი წინადადებით მიჰმართა თავის ორგანიზაციებს: „რემედასის“ სასარგებლოდ საწყობებში შენახული სხვა და სხვა შემოწირულებანი გაიყიდოს ბაზარზე მათი გაფუჭების თავიდან ასაცილებლად. აღებული ფული „რემედასის“ ადგილობრივ საგუბერნიო განყოფილებებს უნდა ჩაჰბარდეს, ან შეტანილ იქნას ხაზინაში რემედასის ცეკას მიმდინარე ანგარიშზე.

— პოლეხვშჩინაში „რემედას-“ის წევრთა რიცხვა 60 ათასს. აღწევს ხელ-ახლა შეკვეთილია 50 ათას საწევრო წიგნაკი. პოლონეთიდან და რუმინეთიდან პოლიტ ემიგრანტების გადმოსვლის გამო რემედასის პოლტავის განყოფილებამ პოლიტემიგრანტებისათვის სავანგებო სასახლი მოაწყო. პოლიტემიგრანტებისათვის ქონეზრივი დახმარება, და მათი სამსახურში მოწყობა თავს იდვა წითელჯვარმა, შრომის ბირჟამ და სამეურნეო კომიტეტმა.

— 18 მარტს პერმში დაწყებული „რემედას“-ის წევრად ჩარიცხვის კამპანია ბრწყინვალე შედეგებს იძლევა. ყველა დაწესებულებებში შექმნილია დამხმარე უჯრედები, რომელთაც ათასი ახალი წევრი შესძინეს ორგანიზაციას. წინასწარი ანგარიშით ხელის მოსაწერი წიგნაკებით. 1000 ოქროს მანეთამდეა შეკრებილი, გარდა ვერცხლისა და ოქროს ნივთებისა.

ამ დღეებში ქ. პერმში პირველად უჩვენეს სურათი „ლენინის დასაფლავება“. ამ სურათის მნახველთა რიცხვი ისეთი დიდი იყო, რომ საოლქო პროფსაბჭო იძულებული იყო რიგი დაეწესებინა ცალკე კავშირებისათვის.

— პეტროზავოდსკში (ქარელიის რესპუბლიკა) აპრილის შუა რიცხვებში №№ 37 და 38 ქარხნების ახალგაზრდობის [illegible]ერ გამართული იქნა საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი რემედასის სასარგებლოდ გადაირიცხა.

— ტიუმენიდან იწერებიან: ჩვენთან მე 12 №-ის სკოლაში ხშირად იმართება საერთო კრებები, რომლებზედაც ჩვენ სხვა და სხვა თემებზე ვაკეთებთ მოხსენებებს. ამას წინად გაზ. „ტრუდნაბადში“ წავიკითხეთ წერილი რემედასის დაარსებისა და ბურჟუაზიული ქვეყნების რევოლიუციონერებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მაშინვე ერთ-ერთმა ჩვენმა ამხანაგმა მოხსენება გააკეთა რემედასის ამოცანების შესახებ. მოხსენების შემდეგ ჩვენ, მე-IV ჯგუფის მოსწავლეებმა მთელს სკოლას მივეცით წინადადება რემედასის რიგებში ჩაწერის და თითო კაპეიკის შეტანის შესახებ. ყველანი თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას. თუ ყველა არ შემოიტანს, მაინც 3-4 მანეთს შევაგროვთ და ესეც კარგია.

ა დ გ ი ლ ე ბ ზ ე:

— კურსკი. ყოფილ იატაკ-ქვეშ მომუშავეთა და პოლიტკატორღელების კრებაზე არჩეულ იქნა 3 კაცისაგან და 2 კანდიდატისაგან საგუბერნიო განყოფილების მუშათა აპარატი, რემედასის ღღისათვის დაბეჭდილ იქნა 24 ათასი ცალი ლოზუნგი. წინადღით, 18 მარტს ყველა დაწესებულებასა და წარმოებაში გამართულ კრებებზე გაკეთებულ იქნა მოხსენებანი შემდეგ თემაზე: „პარიტის კომუნა და რემედასი“. კამპანიის შედეგი 1 აპრილისათვის ქალაქში 2000 წევრი ირიცხება და ბელგოროდში —1000—წერვი.

— ეკატერინოსლავი. მუშაობის ცენტრი გადადის სოფლებში და ქალაქებში, 18 მარტი აღინიშნა გაზეთებში წერილებით, კლუბებში—მოხსენებებით. ზოგიერთ ოლქში სწარმოებს ყულაბებით ფულის შეკრება. პირველმა საქალაქო კონფერენციამ (49 დელეგატმა) დაადგინა ჯამაგირიდან გადარიცხოს განსაზღვრული საწევრო გადასახადი. უმუშევრები ფულის შემოტანისაგან განთავისუფლებულები არიან. რემედასის შესახებ გამოშვებულია მოწოდება-მიმართვა. მტკიცე კავშირი არის გაბმული პოლიტკურ კატორღელებთან, რომლის წარმომადგენლნიც რემედასის საგუბერნიო მართველობაში შედიან. საწევრო ბილეთები დაგზავნილია 30 ათასი.

— პენზელ საერთო კრებაზე გადაწყდა წევრთა რიცხვის 10 ათასამდე აყვანა. 1 მაისს ყველა მაზრებში გაიმართა მოხსენებები, კამპანიები, სალაპარაკო წარმოგზავნები, სწარმოებდა შემოწირულებათა შეკრება და სხვა. დაიწყეს „რემედასის“ უჯრედების მოწყობა ოლქებში და საზოგადოებებში. თათრების და მორდერის გაზეთებში თავსდება წერილები „რემედასის“ შესახებ. კომკავშირების აქტიურ მომუშავეთა ყრილობაზე გადაწყდა—კომკავშირების ყველა წევრის „რემედას“-ში შესვლა.

— ოდესა. რემედასის უჯრედებზე პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრებამ დადებითი შედეგები მოიტანა. საგუბერნიო კომიტეტის ბიუროს წევრები—ადგილებზე მოგზაურობის დროს გამოყენებულ არიან ხოლმე რემედასის საინსტრუქტორო ცნობების მიცემაში. რემედასში არმიის მუშაობა გრძელდება. დივიზიაში 6.000 კაცია. პოლიტიკური მეცადინეობის საათების დროს ხელმძღვანელნი რემედასსაც ეხებიან. დემობილიზაციით გაშვებულებს მიეცათ მოწოდებები და ცნობები. გლეხთა კლუბებში ეწყობა რემედასის კუთხეები. ყველა კერძო წისქვილების და ქარხნების მუშები რემედასის წევრებათ შევიდენ რამდენიმე დესეტინა რემედასის სასარგებლოდ არის დათესილი. მარტში საგუბერნიო პირველი კონფერენცია რემედასის კინო „პალას“-ის გახსნით დასრულდა. ლენინის რაიონში სააგიტაციო პუნქტი არის შექმნილი. მუშაობის განსავითარებლად. რაიკომების ორგანიზაციებმა დიდი როლი ითამაშეს. უჯრედებისთვის ინსტრუქციები არის გამომუშავებული. უჯრედთა რიცხვი 54 არის, 2,743 წევრით. გადაწყვეტილია პროფკავშირების საგუბერნიო ყრილობაზე დღიურ წესრიგში დაისვას რემედასის საკითხი. რემედასს ძალიან ეხმარება პარტორგანიზაცია საწევრო გადასახადი შემდეგნირად არის განაწილებული: წითელარმიელები, მილიციონერები, სახელ. ხარჯზე მოსწავლენი 1-ნახ. კაპ., მწერლები—10 კაპეიკი, დანარჩენი კატეგორიებიც—10 კაპიკი, მუშათა ცოლებისაგან—5 კაპ. არსებულ კოლექტიურად შესვლის ნაცვლად გადაწყდა ნებაყოფლობითი წევრობა.

— ბავშვები და რემედასი.—პეტროზავოდსკში (ქარელიის რესპუბლიკა) აპრილის შუა რიცხვები №№ 37 და 38 ქარხნების ახალგაზდა პიონერების მიერ გამართულ სალამოს მთელი შემოსავალი რემედასს გადაეცა.

ცენტრალურ კომიტეტში.

გამოცემლობა.

ადგილებიდან მიღებულმა მასალებმა და ცნობებმა, პირველ მაისის კამპანიის გატარების შესახებ, ცენტრ. კომიტეტის პარტიის დაჟიმვა გამოიწვია—ადგილების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. რემედასის წევრთა სწრაფმა ზრდამ და გამოცემების—ადგილებზე გვიან მიღების საყვედურებმა ცეკა აიძულეს პირველ რიგში დაესვა საკითხი მისი გამომცემლობითი მუშაობის გაძლიერების შესახებ. ცეკამ მიზან შეწონილად სცნო გამოცემათა

დაბეჭდისა და დაგზავნის მოქმედება ლენინგრადიდან მოსკოვში გადატანა.—ხელმეორედ იცემა „„ბურჟუაზიის ციხეები“, და „ვლადიმერ ილიჩი ციხეში და გადასახლებაში“ (25 ათასი ეკზემპლიარი თითო). მზადდება დასაბეჭდათ: „ისმინე ახალკომკავშიროს“, „ბოიარების რუმინეთში“, და „თეთრი ტერორი პოლონეთში“.

ჟეტონები.

რემედასის ჟეტონების მეტად დიდი მოთხოვნილების გამო გადაწყვეტილია მოეწყოს დახურული იჯარით გაცემა ერთი მილიონი ნიშნების დამზადებისა. ამასთანავე ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობისათვის ნიშნების შეძენის გასაადვილებლად ცეკამ გადასწყვიტა—ნება დართოს ნიშნების საერთო რიცხვი 10 პროც.—10 კაპიკობაზე თითო გაყიდვის, როგორც მაგ —უმაღლეს სასწ. მოწაფეებს, წითელარმიელებსა და უმუშევრებს.

დამატებითი ასიგნება.

პირველი მაისის დაპატიმრებით სხვა და სხვა ქვეყნებში, და 1 მაისის შემდეგ დაწყებულმა რეპრესიებმა უცხოეთის ციხეებში საგრძნობლად გადიდდა ტყვეთა რიცხვი, რომელნიც დახმარებას საჭიროებენ. ცეკამ მთელი რიგი შუამდგომლობათა განიხილა ასიგნობის გადადების შესახებ. სხვათა შორის—რემედასის პოლონეთის სექციის წარმომადგენლის მოხსენების თანახმად გადაწყდა პოლონეთის დატყვევებულებს გადაეგზავნოს 3 ათასი დოლარი.

შ ე ფ ო გ ა.

ცეკამ განიხილა ადგილობრივ ორგანიზაციების მთელი რიგი განცხადებებისა მათ მიერ შეფობის მიღების შესახებ. (გომელისა, მოსკოვისა, იაროსლავისა და სხვა ორგანიზაციების). ამ ინსტიტუტის გაფართოება აუცილებლობას ჰქმნის უფრო ცოცხალ დამოკიდებულების დაჭერას უცხო ქვეყნების ციხეებში მყდომ პატიმრებთან. ამიტომ საზღვარ გარეთის სექციების ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ გაძლიერებულ იქნას მიმოწერა დაპატიმრებულებთან, გადმოგზავნილ იქნან პატიმართა ფოტოგრაფიული სურათები და ცნობები მათი ციხეში ცხოვრების შესახებ, აგრეთვე სია დაპატიმრებულებისა.

საქართველოს „რემედასსი“
სექტემბერში განზრახულია მოწვევა სრულიად საქართველოს „რემედასს“-ის პირველი კონფერენციის.

● კეთდება და ამ დღეებში გამოვა „რემედასსი“-ს ნიშნები (სპილენძ. ს და ვერცხლის, რომელიც დაურიგდება ფასში „რემედასს“-ის წევრებს.

● იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ ფურცლები, სხვა და სხვა რევოლიუციონური შინაარსის ლექსებით. ეს ფურცლები დარიგებული იქნება კოოპერატიულ და კერძო სავაჭროებში, ტფილისში და პროვინციაში გასაყიდათ.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
სარედაქციო კოლეგია.

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, სამა წულუკიძის ქუჩა, № 4.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1) მუშაობა უნდა გავაცხოველოთ. **არ. კვირკაძე.**
2) „რემედასს“-ის მუშაობის შესახებ. **ი. სოფლელი.**
3) ევროპის ციხეებში გამომწყვდეულ კომუნისტებს (ლექსი) **ალ. ულმობელი.**
4) ევროპას (ლექსი). **შ. ჯ—ძე.**
5) ლორდ ჯონ სტერლინგი (თარგმანი). **პ. ოდიშელი.**
6) დიბიტრი სტ. პაპოვი.
7) „დედის ალერსში“ (რუმინიულიდან). **ნ. რ.**
8) ვერ მოსპობენ. **პ.—ლი.**
9) ბურჟუაზიის ბრძოლის მეთოდი. **მ. ბ—ძე.**
10) ციხეები და წამებანი ვერ უშველიან რუმინიის ბოიარებს. **კომინტერნის აღმასკომი.**
11) ცანკოვის ქვეყანაში. **ამრევი.**
12) საოლქო ციხე ქ. ძველ ზაგორში.
13) „რემედასსი“ და აღმოსავლეთის ხალხი.
14) ციხის დღიურები.
15) ციხე ბელოსტოკში. **ერთი პატიმართაგანი.**
16) ჰოლანდიის ინდოეთში (გარინგის წერილი).
17) წმინდა ჯვრის ციხე.
18) ციხეები პლოდვიგში და ძველ ზაგორში. **ა. ბ.**
19) „რემედასს“-ი ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაში. **ი. ვაინერი.**
20) რემედასსი ლენინგრადში. **ბლეიზი.**
21) შეკითხვა.
22) „რემედასს“-ის სრულიად საქართველოს განყოფილების მუშაობის შესახებ. **უ. მიქავა.**
23) ცირკულიარები.
24) „რემედასს“-ი და მისი ამოცანები (თეზისები).
25) ქრონიკა.



ფასი 30 კაპ.